ჭოროხი

მზის ჩასვლა ჭოროხის ხეობაში.
ლალი ჯონცელიძის ფოტო

5 2022

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 64-ე წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2022 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2022

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲛᲝᲜᲐᲗᲔ, ᲐᲮᲚᲝᲜᲔ

ნინო სადღოგელაშვილი – ლექსები 3
ზურაბ ფირცხალაიშვილი – ლექსები 18
ლიკა ჭელიძე – წიგნიდან „სიმშვიდის იმიტაცია“ 24
ნანა ნანო შაინიძე – ლექსები 45
ვაჟა ოთარაშვილი – პოეტური დუეტი – ბარათები ლექსებად 51
ეკა კვანტალიანი – პოეტური დუეტი – ბარათები ლექსებად 56
გრიგოლ გაგუა – ლექსები 60

ᲗᲐᲠᲯᲣᲛᲘ

სელაჰათინ დემირთაში – მოთხრობები (თურქულიდან თარგმნა **ინგა მამულაიშვილმა**) 64

ᲐᲮᲚᲘᲗᲘᲗ, ᲡᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲗ

ირმა ვადაჭკორია – ფრედერიკ ბეგბედერი „99 ფრანკი“ 78
მიხეილ მახარაძე – იდეოლოგიური წნეხი და რეპრესიები
შალვა ნუცუბიძის წინააღმდეგ 85
შორენა მახაჭაძე – „გრილ ნიჟარაში გამომწყვდეული“ პოეზია 92
– „არ გადაგვქართულდა!“ 98

ᲞᲐᲣᲚᲔᲜᲘ

ნინო დარგაისელი – პოეტური დემენცია 104
– „დარი არ დარობს დარულად“ 106
– ვინ არის ადრესატი იოსებ გრიშაშვილის ლექსისა –
ქალს ულვაშებით, კეპით და ჯოხით 111
– ლექსის გადამკითხველთათვის 113

ნინო სადღოჯელაშვილი

დაუწერელი ლექსების ქრონიკა

მთელი დღეა ვაპირებ დავწერო ლექსი
სიყვარულზე,
მაგრამ ვერაფრით ვივიწყებ, რომ ამ სიყვარულს
დღეს ბანკში ვალი აქვს
გადასახდელი,
ამიტომ წერას ისე ვწყვეტ, რომ
ფურცელიც არ გამირხევია
და გავრბივარ ფულის საშოვნელად.
მთელი დღეა ვაპირებ დავწერო ლექსი მეგობარზე,
უფრო სწორედ – მეგობრებზე,
მაგრამ მახსენდება, რომ
ერთს სახლის ყიდვა უნდა და
შვილებს ოცნებებს უზოგავს,
მეორეს საბანი დაუმოკლდა, რომელშიც
ძაღლივით ახვევდა დიდთვალება შიშს,
ცხოვრების შიშს,
თენებისა და დაღამებისა,
მესამეს კი წამალი სჭირდება,
არა, – წამლის ფული,
ასე ბანალურად – წამლის ფული
და არა ლექსით თავის მოტყუება
ან მსგავსი სისულელეები,
ამიტომ ვწყვეტ ლექსებზე ფიქრს და
გავრბივარ ჩემი თავიდან.
მთელი დღეა მინდა დავწერო ლექსი
თოვლზე,
რომელიც იმდენად სუფთაა და
გულუბრყვილო,

რომ ყველაზე რკინის და ყველაზე
უსახურ ქალაქშიც შეუძლია
თავის თეთრი ნაფეხურით გადმოაბიჯოს,
თუკი პოეტი ინატრებს და
გამოიძახებს,
მაგრამ მახსენდება, რომ
დღეს რომელიღაც იანვარია
და კიდევ კარგი არ თოვს
და მით უფრო არ ყინავს,
თორემ ეს შექმნიდა ახალ
პრობლემას
და შემაწყვეტინებდა ფიქრს
მოუსვლელ თოვლზე
და გამაქცევდა ფულის საშოვნელად
გაზის, შუქის და მისთანების
მრავალნიშნა ქვითრებისგან
გასათავისუფლებლად.
მთელი დღეა მინდა დავწერო ლექსი
იმაზე,
ირემმა ირემს რომ ბალახი გაუწოდა,
ვიწყებ ღიღინს და მინდა
ამ ბალახის გაზაფხულიც წარმოვიდგინო,
მაგრამ ვიგებ საშინელ ინფორმაციას:
ჩემმა ირემმა ჩემთვის გამოწვდილი
ბალახი მოიშია,
რადგან არც გაზაფხული მოსულა და
არც სიყვარული აყვავებულა,
რადგან ჩემს ირემს
ფეხი ხრიოკ ცხოვრებაზე ედგა
და აღარც ბალახი იყო
ორისთვის,
ამიტომ ვწყვეტ ფიქრს ლექსზე
და გავრბივარ ბალახის ვალის
დასაბრუნებლად.
მთელი დღეა მინდა დავწერო ლექსი
ბავშვებზე,
რომლებიც დედამიწის არშიებზე
მიგორავენ ნიჟარებივით
და ცხვებიან მათ გულებში
ხელუხლები მარგალიტები,
მაგრამ მახსენდება, რომ
მე ერთი მათგანიც ვერ შევიფარე,
როცა კარზე მომადგნენ და

ჩემი წილი ჰაერი მთხოვეს,
ამიტომ ყურებზე ვიჭერ ხელს
რომ გავწყვიტო ლექსის
ძაფი
და გავრბივარ ჩემი წილი ჰაერის
ამოსანთხევად.
მთელი დღეა მინდა დავწერო ლექსი
ფულზე,
რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ
არაა,
მაინც ძალიან საყვარელია,
მაინც დიდი სიკეთეა,
თუკი შეძლებ და ისე შემოხვევ
მკლავებს,
როგორც მოულოდნელ სტუმარს,
მაგრამ მახსენდება, რომ
ამ ბოლო დროს
მასზე ფიქრი ისე მამძიმებს,
როგორც ტყვიას წყალში,
თავქუდმოგლეჯილი ფსკერისკენ რომ
მიექანება,
ამიტომ ვწყვეტ ფიქრს ლექსზე
და გავრბივარ ფულის საშოვნელად,
რომ ვიყიდო
ლამაზი ვერცხლისფერი თოკი,
ლამაზი ოქროსფერი თავი
მის მარყუჟში გავუყარო და
მისი ბოლო კი
ზემოთ ავაწოდო ღმერთს,
დაიხვიოს ლამაზ მაჯებზე და
ჩემი ოქროსფერი თავი
თავის ნებაზე
აათამაშოს.

შუაღამის იავნანა

ხეებს და ნისლებს და ტყეებს რომ გავივლი,
მტვერი რომ აუვა ნაბიჯებს,
და ჩემგან გახდილი ცა რომ ემგვანება
თეთრსა და უწყინარ საგიჟეთს!..
რტოებს რომ დავიქნევ-შვინდისფერ მარაოს,
ტყემლების გამცვივა ჟრიალი

და ფეხს ავუჩქარებ და შევკრავ კამარას
და გადმოვეშვები რიალით!..

არ გეძინა შეგამჩნიე
დაუვალო მზეო.
შავკაბით ჩამოგიჯექი
წითელ ლოგინზეო..

მინდვრები. მინდვრები ქარებს რომ მიანდე,
როგორც საკრავები – მომღერალს..
ნეტა ამაღამაც არ დამაგვიანდეს,
ბგერების ღვარცოფი მოვხელო!
წამოვწვე მაგ შენი ზურმუხტის ბოლოზე,
თავქვე ამოვიდო მდინარე
და ვიწვე, და ვიწვე მზეების კორომზე,
პროფილი მიგავდეს მინარეთს..

შუბლზე ცვარი მოგიწმინდე
გული მოგანდეო,
გეძინა თუ არ გეძინა
მზე შემოგანთეო..
შავკაბიან მკლავებშუა
დარდებს გაათევო?..

ბალახით სარეცელს ლამაზად მოვირთავ,
დავგეშავ ნაზამთრალ ბეღურებს
და მოვალ მარჯვნიდან და შვილებს მოვიყვან
და ქარვის სიმშვიდეს შევყმუვლებ!..
როგორ გაგვითოვდა სიშორე მე და შენ,
რა მყუდროდ, რა ძლიერ თოვდა!
ვერხვების, ჭადრების, ცაცხვების კიდეში
ვაი მარტოდმარტო მდგომთა!..
მე შენი ფესვების სამშობლო მახარებს,
მოვალ და დავიწყოთ თავიდან.
და კვლავ გაგიფიქრებ და მოვალ ახლავე
და ციდან სამარხებს გავიტან!..

გულზე ყური მოგაპყარი,
ჩუმად გისმინეო,
ნეტა, ჩემო უძინარო
მღერი ვისთვიმეო?..
იას ნანა, ვარდებს ნანა,
სიზმრის ჭირიმეო...

ჩვენ - წყვილი ლიანდაგი

ჩვენი გზები წყვილი ლიანდაგია და ისინი
ერთმანეთს ვერასოდეს გადაკვეთავენ.
ჩვენ ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ,
შეგვიძლია თითის წვერებით შეხება,
შეგვიძლია ერთმანეთს მხრებზე ჩამოყრდობა და
თავის მიდებაც,
მაგრამ ამ გზებმა ერთმანეთი გადაკვეთონ –
არ შეგვიძლია.
ჩვენ ვუყურებთ ერთმანეთის ცხოვრებას
როგორც პარალელურ კადრს
საკუთარ ფოტოფირზე,
ვსუნთქავთ ერთმანეთის ნატკეპნ ყვავილებს,
ჩვენ მივდივართ გვერდიგვერდ და
ერთმანეთს მიბჯენილი გზები ხანდახან
ძვლებივით გვტკივა...
ასე ვივლით სულ,
გვერდიგვერდ დავწვებით სხვებთან,
სხვებისგან გავაჩენთ შვილებს,
სხვებს ჩავკიდებთ ხელს და
წავალთ ხავერდოვან საღამოებზე,
სხვებთან ერთად დავესწრებით
ვარსკვლავებიანი ზამთრის აღლუმებს,
სხვებთან ერთად ჩავერთვებით
უთვალავ ომში და
ერთმანეთის ჭრილობებს
შორიახლოდან დავათვალიერებთ...
სულ ასე ვივლით,
შეიძლება, ერთმანეთის თვალსაც მოვეფაროთ,
მაგრამ განგების უტყვი ტალღა
რომელიმეს, როგორც ნიშანს,
მალევე ამოატივტივებს,
შეიძლება დაგვავიწყდეს კიდეც
ერთმანეთი,
მაგრამ გზა, რომელიც
გვერდიგვერდ მიდის,
ვინმე უცხო მგზავრს, როგორც წერილს
შენიდან ჩემკენ გადმოაგდებს,
ანაც პირიქით...
რადგან არის ასეთი სიყვარულიც –

წყვილმა ლიანდაგმა მორჩილად, მშვიდად და
ერთგულად უნდა იაროს
და არასოდეს გადაკვეთოს თავისი თავი,
რადგან, ესე იგი ეს გზები
რაღაც სხვას, სულ სხვას და იდუმალს ნიშნავს,
რადგან, ამ გზებმა
თავის თავს რომ გადაუხვიონ,
სხვაგან დაირღვევა დიადი წესრიგი!..
ნეტავი მათ, ასეთ შეყვარებულებს,
ნეტავი მათ, გზებს და ლიანდაგებს,
სამყაროს ჯებირს!..

* * *

შენ, ვინაც ამ დილით ხეები შემოსე
და დრო შეუმოწმე ქოთნიან აივნებს,
შენ თბილი ხელებით ტოტზე რომ შემომსვი
და გულში გამივლე...
შენი ჩანაცვამი, გუბეშენასვამი,
გზაგამონაცვალი ქოშებით დავალ.
საკოცნად გამოწვდილ ბაგეებს დავყვირი
რომ: და ვარ... და ვარ...
წყვილებად წავიდნენ შრიალა ღრუბლები,
შენ, ვინაც ღრუბლებსაც ცა გამოუნახე,
პატარა ტოტიდან კრძალვით გეუბნები:
ღრუბლებს დაუძახე!
შენ, ვინც მომახარე ყველა გაზაფხული,
მოკუმულ მუჭში ვინც სინათლე ჩამიდე,
ვინც შორს გამიტყუე...
ისე გამიტყუე, რომ არც კი დამინდე!..
თოვლის სიმძიმისგან ხერხემალშემუსვრილს
იმდენს მატარებდი უკაცო ღამეში!..
შენ, ვინაც მოტეხილ რტოებზე შემომსვი
და ხელი გამიშვი!
ზევიდან პატარა სახლები მოჩანან
პატარა ბებრები. პატარა ალაგი.
ეს ალბათ, – ძალიან რომ არ გაიმეტო
პატარა ქალაქი!..
გაფრინდნენ ფრთადახრით კეთილი სიზმრები,
რომლებიც ოდესღაც შენ თვითონ მანახე.
ჩემს ტოტებს ათასი ქარი და გრიგალი
შენ შემოალახე...

და ახლა მარტოდენ ღრუბლები მკენკავენ
შემჭკნარი ხილივით უღონოდ თავდახრილს.
არ გესმის, – შორიდან ღრუბლები რეკავენ:
გადახტი!.. გადახტი!..
ვერ გადავურჩები დამშეულ ნისკარტებს,
ზეცას ჩამაყოლებს ყველა ამათგანი.
და შენ კი, რომელმაც შიშველი მიკადრე,
შენ – ელი,
შენ – ელი, ლამა საბაქთანი!

მღვრიე გულის საგალობელი

– შენ ჩემო მარტოყოფნაო, ნაპირო დახავსებულო,
მზის ენით ძვლების ლოღნაო, ტკივილო ალმასებურო,
ხან ელდავ, ხანაც ოხვრაო, წყვდიადში გაასებულო,
სიზმარში თვალის მოკვრაო, ქარისგან გატაცებულის...
– არ ისმინო, არ გაუღო
კარი მღვრიე გულის სათქმელს,
რაც გეაჯოს, გეამინოს
და გირჩევდეს გრძელ-გრძელ საქმეს,
კარი მაგრად მოუხურე,
ცეცხლის ენით ჩაურაზე
და ნაღველზე დასაგეშად
რუხი მგლები გაუბრაზე!..
– მოდიან ღრუბლის მხედრები, ფეხქვეშ იგებენ არწივებს,
საწარღვნოდ ატრიალებენ ქარბორბალებს და ქარცივებს,
ამ ყიამეთში იფშვნება წუთისოფელის ქვაწვრილი,
იწყება სააქაოსთან საიქიოის ქორწილი...
– ცოტაც კიდევ გაუძელი,
ყურის ძაბრში გაუტარე,
მას უნდა რომ თავის ხელით
სულს ბორკილი გაუყაროს!..
ვარსკვლავებად ახმაურდი,
გაზაფხულის ჩინჩხლი ჰყარე,
შხამიანი მღვრიე გული
სათქმელისგან დაიფარე!..
– ჩემს ტკივილს არვის გავუყოფ, სხვა მეტი რა მაბადია,
ამ გზაზე არვის მოვუშვებ, კაცისგან დაუცადია,
ავიგებ ბროლის სასახლეს ქვესკნელიდან და ცამდეა,
რომ შორიდან თქვან – სიყვარულს შეხედეთ რა უწადია!..
– სუყველაფრის დამტეველო,
სუყველაფრის თავ-და-ბოლოვ,

პირქვე გულის მომბრუნველო
და მქცეველო გიშრის – ბროლად,
შენი შუქი ეფინება
ყოველივეს ეულს, ოლეს
და მოჰყვება შენს სიჩუმეს
მღვრიე გულის წმინდა თოვლი...

პოეტი - პოეტს

სადა ხარ ახლა... გამიტკბილდა ჩაიში თოვლი,
თეთრი ნემსები გამოისხეს ქოთნის იებმა.
სავარცხლით მაჯებს გადაიხსნის ხვალ შენი ცოლი
და ღრუბლის ცხენებს საიქიოს კარზე მიაბამს.
გვინდოდა ყოფნა... სასწაული გამონაგონი,
ცის ნამცეცებით ვაპურებდით ციცქნა ბეღურებს.
მხრებზე მოვისხი ძველი სევდა – დედის ნაქონი
და შვილებს თავზე ვერხვის ჭერად გადავეხურე.
ესე გირჩიეს მოლაპლაპე შენმა სიზმრებმა?
შემოგაპარეს მარტოსული თავისი თავი.
მერე ლექსები დამიშინე ელდის ისრებად,
ქვეყანას მოსდე დასაწყევლი ჩვენი ამბავი...
სადა ხარ ახლა... ბილიკები რომლები მოვლე?!
და ცალი ცრემლით შეგიფარეს ვისმა ღაწვებმა?
სავარცხლით მაჯებს გადაიხსნის ხვალ შენი ცოლი
და მოელვარე სამელნეში შვებით ჩაწვება.

ხურმის ხე

ხურმის ხეა ჩემი სიყვარული.
ხურმის ხე ზამთარში.
არც კვირტი მისი, არც ფოთოლი
და არც ნაყოფი –
გლუვი კანით, წითელ ხორცზე გადატკეცილით
არაა მისი სინამდვილე,
არამედ მხოლოდ სიზმრებია
და ღრუბლის ჭრელი ნაბიჯები
სამუდამო გაღვიძებამდე:
როცა გარშემო ყველაფერი დაუშვებს აფრებს
და დედამიწა სიტკბოსაგან გაღარიბდება,
როცა ხეები სიხარულს გაიხდიან
და ერთი ფერის ძილით დაიძინებენ,

– მაშინ ამოვლენ ტოტებიდან
სისხლისფერი გულები,
სამყაროს ნაზად ამობურცავენ!..
თოვლსაც ექნება ალაგი
თავი რომ მიიდრიკოს...
სიცოცხლეც თავის მყუდრო ამბებს
დაუბრუნდება...

გოდერძი ჩოხელს

იებს რაღას ერჩოდი,
შუაზამთარში რომ წამოჰყარე
მიწის ქვეშაგებიდან და
ანგელოზებამდე ფეხქვეშ გაიფინე?
იებთან რაღა გინდოდა?
ან დედაშენს რაღას მიეტირებოდი,
ცალ ფეხზე რომ გიჟივით ჩაეჭიდე და
საშენო სული აქეთ დაუტყვევე,
ცალი ფეხით სამარეში ჩამდგარს?..
მზე ვიღასი ცრემლიდან გადმოვა ხვალე?
ან სიკვდილი თავის ფერს როდისღა დაიბრუნებს,
შენი სიცოცხლენაყლაპი?..
ღრუბელი მქვია, მაგრამ რაღა ღრუბელი ვარ,
ამოხვედი და შენ უფრო გიხდება ღრუბლობა.
ბალახი ვარ, მაგრამ
ისეთს რას ვიბალახებ,
შენ როგორც მიწიდან იღიმი...
ძნელი იყო ამ წუთისოფლის სტუმრობა?
სავსე სუფრასთან მიგირქვა, მაგრამ
არც კი ჩამოგაჯინა...
მოვიდა შავი არაგვიც და
გაიშლის ცოტა ხნით თმას,
მგელი მოჰყვება მოზარედ.
ლექსებს ტოტებქვეშ შეიკეცავს და
მზის სხივით შეიკრავს
შენი მიდამოს მოცხარი...
შემოგხვდნენ უკვე ჩვენები,
ჩაგაცვეს უსიტყვო სინათლე?
ვარსკვლავებს საით შეუბერავ სულს რომ
ცოტა მეც დავიმტვერო,
ღამეში ვაჩინო გულთეთრა შვილები?..
ვისი ბაღებით მოხვალ გაზაფხულზე,

მღვრიე სიმღერებად ვის აუტირდები?
გინდოდა, შვილების ქორწილში დევი დაგესვა თამადად,
ნურავის გაუკვირდება!
დღესაც, განა ვტირი, ქორწილია,
ხანდახან თავდაყირაც ხოა სამყარო!
მიწა შენი ჩოხაა და ქამარ-ხანჯალია,
შენი დარდებია მაყარი!
ქორწილია, მაგრამ არ დამტოვო,
ქორწილია, მაგრამ ჩემკენ მაინც გქონდეს თვალ-ყური,
გასახეთქი გული ჩიტივით დამაქვს,
შენამდე ამდის ალმური...

* * *

მთებზე გადმოდგება ჩემი ნანდაური,
მოჰყვება ირმების ჯოგი,
მკლავზე გადაიფენს მთვარის ნართაულებს,
ღრუბელს არ დაუჩოქებს.
ნეტავ რას ვამსგავსო ჩემი ნანდაური,
ეს ჩემი დარდების აღე,
გავუშლი ლოგინად ბალახის სასთაულებს,
და ჭერად – ნეკერჩხლის თაღებს,
საიდან მოვალის შორით სადაური,
შეშურდეს სიკვდილსაც გზაი,
მთებზე გადმოდგება ჩემი ნანდაური,
დახვდება თავისი დაი,
იმათი შეყრისგან ელვით გაავდრდება
და მერე მზით გაიდარებს...

ცისფერი პერანგი

მზის ფოთლები მჭვირვალებენ გუმბათების ჩრდილში,
იასამანს ცისკენ გააქვს ლაჟვარდების ბოლი,
დგახარ მკლავებგაშლილი და შენს მოღობილ სივრცეს
გაზაფხულში უღვივდება ნამიანი ბოლო...
ბზის ბილიკზე ბავშვი მორბის, შენი მოძმე თუა,
მუჭით მკვდარი ჩიტი მოყავს – კიდევ გაუცოცხლო,
ამ თამაშებს, უცნაური სიყვარულით მღუარს,
ნაღვლიანი ჯამბაზები ხვალ თუ გაუძლებენ...
შენ კი დგახარ მკლავგაშლილი, შენს ეზოში მზეა,
დედაშენი მაგ თბილ ტანზე ცისფერ პერანგს გიქსოვს,

დგახარ ასე გაუნძრევლად, მერამდენე დღეა,
დილის ღრუბელს გაზომებდნენ გასაფრენად თითქოს.
დედამ მკერდიც აათავა, საყელოსკენ მიქსოვს
და მკლავებზეც, როგორც სარზე პამიდორის ჩითილს,
ისე ფრთხილად მოახვია აბრეშუმის სითბო,
ისე კენკა თვალდათვალი, ვით მარცვალი ჩიტმა.
შემოვიდნენ მეზობლები, ჭის ქონგურთან დასხდნენ,
მასლაათით მოიდინეს წუთისოფლის ოფლი,
თან თვალს თქვენკენ აპარებდნენ,
ვერ გაუძლეს – ადგნენ,
თქვეს: ამხელა მორჩილებას რა სიმშვიდე ყოფნის!
დედა მოქსოვს საყელოსაც, ვიდრე გათენდება,
შემოგაჭდობს აბრეშუმის უნაკერო პერანგს,
დედამ იცის, მალე შენი ცეცხლი აენთება,
დრო სიკვდილთან ჩამოსაჯდომს
სამი დღისთვის ზვერავს...
დედამ იცის, ამ პერანგზე ღვინო დაგექცევა,
იცის, ცუდის ნიშანია, ცა თავისას ითხოვს,
დედა ხედავს: თეთრ ღრუბელზე ხელმწიფურად წევხარ
და ურღვევი პერანგიდან სიყვარული გითოვს...
დედაა და, შენს პერანგებს უნდა მოუაროს,
ჯვარნაცვამი შეინახოს, მკერდის ძირში შეფლას,
მერე, ჭირისუფლის წესით, სხვებს ჩამოუაროს,
დაარიგოს, გულით უთხრას, რაც სიტყვებით ვერ თქვას.
. . . . .
მზის ფოთლებში მჭვირვალებენ განთიადის ხმები,
ბნელ სიზმრიდან იშმუშნება სახლი: დედამიწა,
დგახარ მკლავებგაშლილი და შენს ნაშუქზე ლღვება,
ვისაც მთელად, გაუხდელად შენი სიტყვა ეცვა.

თოვლზე

დღეს თოვლზე უნდა დავწერო
წყლადაც რომ ვიქცე, მაინც უნდა
მოვიკრიბო ძალა და
დავწერო თოვლზე.
ჩვეულებრივ სველ თოვლზე
რომელიც ოდესღაც იქნებ მოვიდა
და ყველაზე დაუხსნელი ფანჯრის
ღრიჭოებს შერჩა.
იგი მოვიდა ჩვეულებრივ,
მსუბუქი ნისლით,

ციდან ფაფუკად გადმოიპენტა,
გადმოპირქვავდა მთლიანად და სამუდამოდ
როგორც ერთხელ ამოთქმული ლექსი.
როგორც ლექსი, რომელსაც
ახლა ვწერ და
აღარასოდეს განმეორდება...
იგი მოვიდა ბაღებში, გზებზე,
აასრუტუნა ზედმეტ ზრუნვაში
მოფუთნული ბავშვები,
ხელისგულები გასათბობად
ერთმანეთისკენ წააღებინა
გვერდიგვერდ მავალთ...
წუთიერი საზრუნავი გაუჩინა
სამხრეთული მზით დამძღარ,
გზებდაყვეფილ მძღოლებს...
მოვიდა და ქუჩებში,
მზის გასწვრივ დადგა.
ამ ქალაქში ძნელია ფეხისმოკიდება
ძნელია გაძლება, როცა თოვლი ხარ
და იცი,
ზეცა თუ არა,
პოეტები მაინც ხიდიდან
გადმოგპენტავენ.
აქ უნდა მოხვიდე,
წამით შენი თავი ჩაიფიქრო და
მერე დადნე...
როგორც თოვლი, რომელზეც ვწერ და
რომელსაც ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი:
შენი გულის ნაფეხურები შევატოვე,
ჩემკენ ბარბაცით გამოშვერილი...
რა მთლიანად და სამუდამოდ თოვდა!..

* * *

დედი, გახუნდა შენი კაბა და სინათლე მოგიჩანს,
დედი, სინათლე დაიფარე თორე თვალს შეაჩვევენ ძაღლები,
მომიტეხე პური, მეც მომიტეხე,
მარტოკაცი ვარ და
როგორ არ გეთანაღრები...
შენმა ნაბანმა წვიმამ დედი
იებზე გადამირბინა,
ჩამოვარიგე ეს იები,

ბღუჯა-ბღუჯა გავკრიფე ეზოდან,
ჩემთვის ფესვი და ტალახი დავირჩინე.
დედი, აბა შუბლზე დამადე ხელი
იქნებ ძველებურად გეცხელები,
ბავშვობის მერე ჩემთვის ეგრე აღარ მოგივლია...
ხანდახან დედი,
ისევ ის სიმღერა მესმის,
მზე რომ სასწაულის ლოდინია!..
შეხე, თმა როგორ გამეზარდა დედი,
ცოტაც და მინდვრებზე გადავშლი.
ოცნებებს რომ მივარცხნიდი,
თავზე თბილად რომ მასუნთქებდი
ეს სულ ის თმებია, ზეცაში ნახარში...
შეხე, რამდენი ბავშვია ჩემ ეზოში,
დარბიან ფერადი ნაქსოვი კაბებით!
ხანდახან, მიწას რომ ღამე ასტკივდება დედი,
გულში შენებურად ვიკრავ,
თვალზე ხელს ვაფარებ...
სიარულშიც შენ დაგემგვანე დედი,
ნისლივით გამომდის ბარბაცი.
ცხოვრებაც ნისლივით წამივიდა-მეთქი,
ახლოში ვქრები და
მარტო ზევიდან მოვჩანვარ მამაცი...
დედი, ხანდახან მიქრება სანთლებიც,
ვიწვი და ცეცხლს მაინც ვერ ვანთებ.
მომეშველე დედი, შენს გულთან გამსუსე,
თვალებით გამათბე...
რაღა მაშინ აგიჩემებ ხოლმე,
სხვასთან რომ გადახვალ დასანუგეშებლად,
სხვებს როცა სჭირდები,
ძაღლივით შენს გზას გამოვცქერი,
თვალებით დაგეძებ,
გიყვირი: დედი...
მაინც არ უსმინო ჩემ უხმო ღრიალს,
ცვილით დაიგმანე ყურები,
დედი, წადი სადაც დედაშვილობისთვის გეძახიან,
წადი, ოღონდ კარი არ მოიხურო!..
შენს ბაღში, ატმებთან დავწვები,
წამივა გულიდან ლოდინის მდინარე.
როცა დაბრუნდები,
ჩემი სიზმრები შეიწყალე
დედი,
თუ დაგხვდი მძინარე...

* * *

უშენობას ვმარხულობდი,
წარმართ სიზმრებს ვნახულობდი,
შუბლზე მეჯდა ნიშანივით
წვრილ-ვარსკვლავთა ხომლი.
ღმერთს აღმართში დავეწიე,
ღრუბლის მგლები დამესიენ,
გამგლიჯეს და, შორი გზები
ხეიბარმა მოვვლე...
მერე შემხვდა წმინდა შიო,
ნულარ ივლი ღამეშიო,
მზის შუქიდან გაუსწორდი
ვინც გიყვარსო, მითხრა.
მე კი ისევ მაცილებენ,
ჩუტყვავილა მაცილები
და ნისლებით შეთვალული
ფეხს ქვიშაში ვითრევ...
გათავდება უშენობა,
ცის სკნელიდან ქრისტე მოვა,
სად გეძებო,
სადღა გნახო,
როცა მოვა ქრისტე!..

გურამ რჩეულიშვილს

საშენო საქმეა –
ჩამოუარო მარადისობის
დამტვერილ დერეფნებს
და თაროებზე
წაუკითხავი ქრონიკები ეძებო:
“სახლიდან გავედი და
შეუძლებელს ვეტრფი,
ადრე ვცხოვრობდი
ქალაქგარეთ, იების სანაპიროზე,
ერთხელ ერთი წიგნი ავიღე და
იმის მერე ყველაფერს
სამყაროში
იმ წიგნს ვატოლებ,
ერთი ბიჭი შემიყვარდა
რომელიც თვალითაც არ მინახავს

რადგან,
სანამ დავიბადებოდი
30 წლით ადრე მოკვდა –
ცალ ხელში მზე ამოეჩარა და
მეორეთი კი ზეცას ფილტვებიდან უღებდა
წყალს...
იმდენი წელი ვიცოცხლე
რამდენიც იმ ბიჭმა და,
კიდევ ცოტათი მეტი,
მაინც იმის წილ ღრუბელს
მოვიჩოჩებდი ხოლმე და
ხბოსავით შევუყოფდი თავს,
სადაც წავედი
ყველგან მარტოობის მათრახით გამომყვა,
იმსიმაღლიდან დამყვიროდა და
ლაჟვარდის ხმა ჰქონდა,
მე ველარავინ მოვატყუე
ლაჟვარდს ვერ ვუღალატე,
სახლიდან გავედი და
სახლი წყალმა წაიღო.
ევკალიპტები გვედგა ეზოში და
ისინიც წყალმა წაიღო..
ყველანი ქუჩაში გავედით და
ზარების ნაცვლად
საათები დავკიდეთ,
ქარი მოდიოდა და
როცა უნდოდა, რეკავდა..
ველარსად ვნახე მე ის ბიჭი,
ან იქნებ სამუდამოდ წავიდა
ჩემგან,
ან იქნებ სადმე ცხენს აძოვებს და
მანძილს ზვერავს – გამოექანოს,
ან იქნებ გზები აღარ იცის
ან თუ შეგხვდეთ რომელიმეს და
ეგება უთხრათ,
ქალაქის მთავარ მოედანზე ვდგავარ,
(იქ ყოველთვის ვიღაცა იდგა!)
მოვიდეს და თავისი სანადირო თოფიდან
მესროლოს.
თოფის ხმა და ზარის ხმა
რამ გაყო,
უთხარით – არ ამაცილოს.



ზურაბ ფირცხალაიშვილი

ლექსები ჟუჟუსთვის

* * *

გპირდებოდი და... ვერ აგისრულე,
გპირდებოდი და... რა გამოვიდა,
და შენ ძვირფასი და მარტოსული
ჩემს უმწეობას უცქერ შორიდან...

ვერ დაგიხსენი ამგვარ ტანჯვიდან,
ვერც განკურნების ვპოვე ბალახი,
გპირდებოდი და... წლები გავიდა,
საწყალი ქოხი დავრჩი... ტალახის...

ახლა ღამეს შლი ფერმკრთალ ხელებით,
ნეტავ ფიქრებში მაინც თუ მელი?
გპირდებოდი და... ვერ გეშველები,
როგორც იესოს – მაგდალინელი...

გპირდებოდი და... ვერ აგისრულე,
გპირდებოდი და... რა გამოვიდა,
და შენ ძვირფასი და მარტოსული
ჩემს უმწეობას უცქერ შორიდან...

2022

* * *

ჭერს მიბჯენილი თვალები,
ღამეს ითენებ წვალებთ,
დაბადების დღე მოდის...

ბალიშს გისწორებს მედდები,
მზერა სავსეა ვედრებით,
ბოლო არ უჩანს ლოდინს...

თუ კი განგებამ ინება,
თუმცა ძნელია გაგება,
ვით გაგიმეტა ასე...

გული საგულეს არ დგება,
ლამის წამშალოს დარდებმა,
დრო კვლავ სამსალას მასმევს...

ვერასდროს გაგინაპირებ,
არც უშენობას ვაპირებ,
უკუნ ღამეშიც გხედავ...

ხვალ ვერ მოგიტან ყვავილებს,
თვალებს მოგიტან ნატირლებს
და უსაშველო სევდას...

2022

* * *

უნდა გადარჩე, კიდევ ერთხელ გაიყვავილო,
სხვაგვარი ფიქრი მაგ წრფელ გულში აღარ გაივლო
და გადარჩენის წინა ღამეს – დამდეგ ალიონს –
როგორც გალობას დაგიმარცვლავ კართან ალილოს...

უნდა გადარჩე, ამჯერადაც უნდა გადარჩე,
გრძნეულ ნათებით მოელვარეს ჰგავდე კვაზარებს,
მხოლოდღა იმედს – არ მოვუხმობ ახლა სხვა ზარებს,
წამებს და წუთებს, სიცოცხლეს რომ არ შეგაზარებს...

უნდა გადარჩე, ამჯერადაც უნდა გადარჩე,
აღარ ვკითხულობ, რა იქინება მერე – დანარჩენს,
ძელზე გამსვამენ თუ განგება შენთან დამარჩენს,
წყალობასავით შევიფერებ უფლის განაჩენს...

უნდა გადარჩე!

2022

* * *

ახლა ცუდად ვგრძნობ თავს,
მოდი, მითხარი რამე,
სევდას ჟამი-ჟამ ვსვამ,
ვით ათინათი ღამეს...

ვშლი ნატერფალთა კვალს,
დღეებს მშიერს და სადაგს,
დუმილი ადევს კარს,
როგორც ბოქლომი საყდარს...

ვგრძნობ ბედისწერის ბრჭყალს,
ვითარც იუდას ამბორს,
უფლის დუმილი მკლავს,
დგას და არაფერს ამბობს...

იქნებ განიხვნეს მღვიმე,
იქნებ არც ისე ჰქუხს,
ხელს ვერ გავუშვებ იმედს,
სულში ჩარჩენილ შუქს...

იქნებ გამოჩნდეს ხსნა,
ბაგეს ღიმილი ვკენკო,...
ვერ გაგაყოლებ ქარს,
ჩემო მტკივანო ნეკნო...

2022

* * *

დრო დაემსგავსა ქოფაკს,
დღეები მიდგას მრეში,
ისე გაძნელდა ყოფა,
ჭკუათმყოფელსაც შეშლის...

ტკივილები კი ვმალე,
მაგრამ სიმღერა ვერ ვთქვი,
ვით მიტოვებულ გრანელს,
ჯვარცმა მაკლია – ერთი...

ცხელ გულზე მაწევს ლოდი,
რატომ ამდენი ტანჯვა?
სისხლი თქრიალით მომდის,
გადახსნილი მაქვს მაჯა...

თითქოს მეძახის დედა,
შეფარებული კლდე-ქიმს,
ისევ ვუყვარვარ სევდას –
ჩემი ოჯახის ექიმს...

ღმერთო, მითხარი რამე,
ფიქრი ცრემლით მაქვს სველი,
სარკმელს შემომდგარ ღამეს
რაფაზე უდევს ხელი...

ზარებს არისხებს მნათე,
ღრუბელი ძერწავს კენტავრს,
ამ ჩვენს სიყვარულს – ნათელს –
წყალს ვინ დაუსხამს ნეტა?...

2022

* * *

ჯერ კიდევ დაბადებამდე
დიდი ვალები ავიღე...
არადა, არ უნდა ამეღო...
დედა მამას შევაყვარე და მეც გავჩნდი...

მერე ის იყო:
დედის ვალი ვერ გადავიხადე და
დედა წაიყვანეს,
მამის ვალიც ვერ გადავიხადე და
მამას დამაშორეს,
ძმის ვალი ვერ გადავიხადე და
განმარიდეს,
ახლა სიყვარულის ვალის გადახდას მთხოვენ და
გოგოს წართმევას მიპირებენ...

ჯერ კიდევ დაბადებამდე
დიდი ვალები ავიღე...

არადა, არ უნდა ამეღო,
დედა მამისთვის არ უნდა შემეყვარებინა
და მეც არ გავჩნდებოდი...

არ აიღოთ ვალები დაბადებამდე!..

2022

* * *

ჩემთვის სიკეთის დახატვა
რომ ეთხოვათ,
შენს სახეს დავხატავდი,
ჩემთვის სიყვარულის დახატვა
რომ ეთხოვათ,
შენს თვალებს დავხატავდი,
ჩემთვის ერთგულების დახატვა
რომ ეთხოვათ,
შენს ხელებს დავხატავდი...

მაგრამ მე მხატვარი არა ვარ...

წარმოდგენაში კი უბრალოდ და
მარტივად გხატავ:
სიკეთეს შენი სახე აქვს,
სიყვარულს – შენი თვალების,
ერთგულებას – შენი ხელების...

2022

* * *

შენს გვერდით ყოფნა მინდოდა მხოლოდ,
წასვლას მთხოვენ და წასვლა არ მინდა,
მე მიყვარს სახლი, სადაც შენ ცხოვრობ,
ქუჩა, რომელზეც შენი სახლი დგას...

რა შორი გზები იყო შენამდე,
იმ სიყვარულის აქამდე მჯერა,
მაგრამ – მშვიდობით! – რადგან ყველა დღე
მახსენებს ღამეს და ბედისწერას...

თვალს მოეფარა ხედები სოფლის,
გამოვცდი სახლებს, ეზოებს, შუკებს,
უფალმა უწყის, შევხვდებით როდის,
აქ დედამიწა მთავრდება უკვე...

შენს გვერდით ყოფნა მინდოდა მხოლოდ,
წასვლას მთხოვენ და წასვლა არ მინდა,
მე მიყვარს სახლი, სადაც შენ ცხოვრობ,
ქუჩა, რომელზეც შენი სახლი დგას...

2022

დამშვიდობება

ჩაკითხულია სულ ბოლო სუნთქვა,
რა ცოდვა-მადლი, რისი ცხონება?
შენ ასე მართალს, ნათელს და სუფთას
ამგვარი ყოფა გეუცხოება...

ფანჯრებს ჰკიდია საღამო გრილი
შემოყოლილი ქარს და თოლიებს
და შენი ხელი, თეთრი და რბილი
ჩემს ხელისგულზე დნება თოვლივით...

და ვმარცვლავ წუთებს ჩუმს და უსასოს,
ბაგეს შემახმა ღელვით სათქმელი,
თვალებს რა ვუყო, თვალებს – ძვირფასო,
თან რომ გამყვება, როგორც სასჯელი...

ბედი ვინ მისცა თიხის ხელადას?
და თუ ამგვარი გერგო ლოდინი,
როგორც გჩვევოდა, ამ ერთხელადაც
იქაც გამითბე, კარგო, ლოგინი...

2022

ლიკა ჭელიძე

წიგნიდან „სიმშვიდის იმიტაცია“

ნაოჭები

რვა წლის შემდეგ ვნახე. სანამ ვნახავდი, დამირეკა, თითქოს დიდ ორმოში გადამაგდეს, სადაც უამრავი მოგონებაა დამარხული. სანამ ვნახე, ყველა მოგონება ამოვქექე, ყველა ნიუანსი გავიხსენე, რაც მას უკავშირდებოდა და სარკეში ჩავიხედე. რა მიქნა ამ რვა წელმა, როგორ დამატყო კვალი და უნებლიედ ნაოჭების დათვლა დავიწყე. რვა ცალიც ვერ აღმოვაჩინე, ეტყობა, სათანადოდ არ მანერვიულა ცხოვრებამ. ერთს კი მივხვდი, ერთი ნაოჭიც არ მომიმატა მისმა წასვლამ. წასვლაო, ვამბობ და სინამდვილეში სულ მე გავრბივარ, სულ მეშინია, არ დამასწრონ და ეს კომპლექსი აგერ სიცოცხლის ბოლომდეც მომყვა. ჰოდა, მისგანაც გავიქეცი რვა წლის წინ და მალევე მიმავიწყდა. ახლა რა დროს მისი გამოჩენა იყო, ან რამ გაახსენა ჩემი თავი. ნეტა, როგორი ვგონივარ, ალბათ იმედი აქვს, რომ მისგან ერთი ნაოჭი მაინც დამრჩა.

ოჰ, ჩემო არწივივით მეგობარო, როგორ არ მიცნობ, რა გასაკვირია, მეც მიჭირს ხანდახან ამ ჩემი ოხერი თავის გაგება და გაცნობა.

ნეტა, ის როგორია, ისევ ისეთი ამაყი და მხრებგამართული დადის?! თვალები, არწივის თვალები, მუდამ გამარჯვებული თვალები თუ შერჩა?! ჩვენი ურთიერთობა რამდენიმე თვეს ითვლის, თუმცა ამ რამდენიმე თვეშიც კი საკმაოდ თვლადი დღეებით, ის ისეთი კარგი იყო, რომ არ შეიძლებოდა ასეთი იდეალური ადამიანი მყოლოდა გვერდით. იქნებ კიდეც შევცდი, იქნებ სულაც არ იყო იდეალური და მე მომეჩვენა, თვალებმა დამაბრმავა ან მისმა თავდაჯერებამ. ჩემგან არც ერთი ქალი წასულაო... ნურას უკაცრავად, წავედი. ისე წავედი, რომ ნაოჭიც არ შემრჩა შენგან, თუმცა ამას ალბათ დღეს ვეტყვი, ნიშნის მოგებით – აი, თუ არ წავიდა შენგან ერთი ქალი მაინც, ერთმა მაინც გადაგიხადა სამაგიერო იმ სხვა ქალების ნაცვლად და გულის მოსაოხებლად. ქალური სოლიდარობა იშვიათია, ეს ნიჭი ბავშვობიდან მაქვს. მახსოვს, როგორ ვცემე ბაღში ბიჭი, რომელმაც პატარა გოგო ატირა და მაშინ არ მესმოდა, რომ იმ ბიჭს ცუდი განზრახვა არ ამოძრავებდა, მხოლოდ ლოყაზე კოცნა დაუპირა ჩემს კიკინებიან ბაღელს; ან სკოლაში, როცა ჩემს მერხის მეგობარს დასცინეს ბიჭებმა მხოლოდ იმის გამო, რომ დედამისი ეზოებში მაწონს დაატარებდა გასაყიდად. მაშინაც ისეთი რეაქცია მქონდა. დედაჩემი დირექტორთან დაიბარეს. მოკლედ რომ ვთქვათ, რვა წლის წინ ყველა მიტოვებული ქალის ჯავრი ამ კარგ ბიჭზე ვიყარე და გავექეცი.

შეხვედრის დღეც მოვიდა, გადავწყვიტე, მეჩვენებინა, რომ ჩვენ – ქალებს, შეგვიძლია ნებისმიერ ასაკში ძალიან კარგად გამოვიყურებოდეთ და მისი სიამაყე ამით დამენგრია. აი, მივალ ახლა იმ დათქმულ ადგილას და დავინახავ მის დიდრონ, ცისფერ თვალებს, ყოველთვის თავდაჯერებას რომ ასხივებს.

დიდხანს ვიტრიალე სარკის წინ, საუკეთესო კაბა ჩავიცვი და ის სუნამო ვიპკურე, ასე რომ უყვარდა. სუნამოების მაღაზიაში კი არ გავქცეულვარ, ისევ იმ სუნამოს მოვიხმარ დღემდე...

გარეთ მოღრუბლულია და ჩემი ჩაცმულობა შეუსაბამოა ამინდთან, თუმცა იმედს ვიტოვებ, მზე ცოტა ხნით მაინც გამოანათებს და მკლავებზე რომ ცოტათი მცივა, გამივლის. იქნებ კიდეც ვნერვიულობ, უნებლიედ ნაოჭებზე ვფიქრობ, არა, არც ისე ბევრია, ცოტაც კი, მაკიაჟში ვერც შეამჩნევს.

ახლა გადავირბენ ქუჩას და იმ სკვერთან ვიქნები.

ნაბიჯს ავუჩქარე და გულის სიჩქარეც მხოლოდ ნაბიჯის აჩქარებას დავაბრალე, თვალი მოვავლე სკვერს, მხოლოდ ერთი ადამიანი ზის სკამზე, რომელიც სკვერში დაუმონტაჟებიათ. არადა, მასთან ბოლო შეხვედრისას ეს სკამი აქ ნამდვილად არ იყო. ზურგიდან ვხედავ, წელში გავიმართე და ცოტა შორიდან მოვუარე, რომ ჩემი მყარი ნაბიჯები დიდხანს დაინახოს. ნახოს, რომ არავის წასვლით არაფერი იცვლება ქალის ცხოვრებაში.

მივდივარ. მინდა თავი ასწიოს და დამინახოს, როგორი თავდაჯერებული ვარ, არც ნაოჭები მაშინებს და არც სიჩქარით და დაბნეულობით გარბენილი რვა წელი. უცებ ვჩერდები, შემომხედა და სცადა ფეხზე ადგომა. უნებლიედ თვალი ხელჯოხისკენ გამექცა, რომელიც ფეხზე წამოდგომისას მოიშველია. შემომხედა, დაინახა, რომ რამდენიმე წამით ხელჯოხს ვუყურე და არა მას, ვდგავარ ერთ ადგილას გაშეშებული, მინდა გავიქცე, რომ ეს მაკიაჟი, ეს ულამაზესი კაბა, ეს თმის სამაგრი, რომელიც ანათებს, თუ მზე გამომხედავს, ყველაფერი მოვიშორო და მასავით ცხოვრებისგან დაკოჭლებული დავბრუნდე. ვუთხრა, რომ შევცდი. შევცდი, რომ მისი სიამაყის გატეხა მინდოდა, ცხოვრებას ეს უჩემოდაც მოეხერხებინა, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გადავდგი. წამოდგა და მხრებში გაიმართა, თვალები მხოლოდ ახლა დავინახე, ჩამქრალი, სევდით სავსე ორი ფიალა, მხოლოდ ის მომინდა, მივსულიყავი და ეს სევდა შემესვა მისი თვალებიდან, თუმცა მხოლოდ გაღიმება მოვახერხე, უხერხული გაღიმება, რადგან მის წინ მდგარი კლოუნს უფრო ვგავდი ასე გამოპრანჭული. ღიმილი, თან თუნდაც ნახევრად გულწრფელი, ყოველთვის ახერხებს იმას, რომ სხვის თვალებში იმედი ამოიკითხო, გაუცოცხლო იმედი, რომელიც ყველას სჭირდება, კატასაც კი, რომელიც ალბათ ახლა ჩემი მოხუცი მეგობრის ფანჯრის რაფაზე ზის და მელოდება.

ჩემი გაღიმება და ძველებური არწივის თვალების დაბრუნება ერთი იყო. ჩემ წინ ის იდგა, ხელჯოხიც მხოლოდ აქსესუარი გამხდარიყო, ნაოჭებიც აზრს კარგავდა და ის რვა წელიც, რომელიც ვალოდინე.

– ამდენი წლის მერე შენ მაინც მოხვედი, – მითხრა და ისე შემომხედა, თითქოს ჩემი პასუხი იყო გადამწყვეტი მისი სიცოცხლის გასაგრძელებლად.

– აბა, რა გეგონა?! – ვცადე, არაფერი შემემჩნია, ვცადე, ისევ ეგრძნო, რომ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მაშინ, როცა წავედი და აღარ დავბრუნდი. ის კი არ იცის, რომ მე ორჯერ ერთ მდინარეში არასოდეს შევსულვარ, არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით.

ხომ არიან ადამიანები, საბოლოოდ რომ ეჩვევიან ცივ წყალს და მეორედ შესვლა უფრო უადვილდებათ მდინარეში? მე ვერ, მე არ ვარ ეგ ადამიანი, მე თუ შემცივდა, იმ ადგილს აღარც გავეკარები. ასეთი ვარ ურთიერთობებშიც.

– მოდი, გავისეირნოთ, – ამას ისე მეუბნება, თითქოს უნდა დამაჯეროს, რომ ეს ხელჯოხი ნამდვილად აქსესუარია და სხვა არაფერი.

– გავისეირნოთ.

ვერაფრით ვაგრძნობინებ, რომ სულ ოდნავ მაინც მეცოდება ან გაქცევა მინდა, დამალვა. მინდა, ის სიცოცხლით სავსე ბიჭი მახსოვდეს,

რომელიც ჩემი გაქცევის დროსაც კი ამაყად მიყურებდა.

ისე ნელა მოდის, ვერაფრით ავუწყვე ფეხი. ვერც ცხოვრებაში ავუწყვე ამ კარგ ბიჭს ფეხი და შეიძლება ამის ბრალია ახლა მისი ასე მძიმედ გადადგმული ნაბიჯები. ან იქნებ სულაც არ ვარ სამყაროს ცენტრი, იქნებ არაფერია ჩემი ბრალი ან დამსახურება.

გაწვიმდა. ამ ქალაქში იშვიათად წვიმს და მაინცდამაინც ახლა მოინდომა ეწვიმა, მაშინ, როცა მე ასე გამოვიპრანჭე და თან საკმაოდ თხლად ჩავიცვი, თმის სამაგრიც კი მზის სხივებზე დამოკიდებული შევარჩიე.

– გინდა სახლამდე მიგაცილო? – მითხრა სიამაყეშეპარული ხმით.

არაფერიც არ შეცვლილა, ვერაფერს უშავებს ცხოვრება ადამიანს ისე, რომ ბოლომდე დაავიწყოს, ვინ იყო, შინაგანად მაინც ისეთები ვართ, როგორებიც ვართ. ვერანაირი ხელჯოხი მოერევა მის სიამაყეს. იქ, სადღაც, სულის სიღრმეშია ყველაფერი შენახული.

– არა, – ასევე სულის სიღრმეში მიძინებული გრძნობა მალაპარაკებს, ეტყობა. აბა, რას მივაწერო ეს – არა?! მე ხომ ისე მიყვარდა, როგორც არც ერთი სხვა მყვარებია, თუმცა იქნებ არც ისე ძალიან, ნაოჭიც კი არ შემრჩა მისგან.

– არ შეგცივდეს შენ, ძალიან თხლად ჩაგიცვამს... გიხდება, – თქვა და ისეთი თვალებით შემომხედა, რომ არა ეს რვა ოხერი წელი და ასეთი გაუცხოება, აუცილებლად ჩავეხუტებოდი, აუცილებლად ვეტყოდი, რომ სიცივე რა მოსატანია იმ მარტოობასთან, რომლისაც მეშინია და ეს არის მიზეზი, რის გამოც მის ნახვას დავთანხმდი.

პასუხი ვერ მოვასწარი, ისე ძალიან გაწვიმდა უცებ, აუცილებელი იყო, რამეს შევფარებოდით. თვალით მოვიძიე ადგილი, რომელსაც შევეფარებოდით. კიდეც დავინახე ფანჩატური, რომელსაც სახლის რუტინას გამოქცეული კაცები ათასი აზარტული თამაშისთვის იყენებენ. მახსოვს, ბავშვობაში ჩემს ეზოში წყვილი დავინახე, რომელიც წვიმას დაემალა ასეთივე ფანჩატურში და იქიდან გამომყვა გრძნობა, რომ ეს ადგილი სინამდვილეში სიყვარულის თავშესაფრად გამოიგონეს.

თვალის დახამხამებაში მომახურა საზაფხულო ქურთუკი, რომელიც ეცვა და მე გავთბი.

გაიმეტებენ ადამიანები სითბოს და დადიხარ გამთბარი, სანამ არ მიხვდებიან, რომ გათბი და აღარ გჭირდება, მერე კი გაუფრთხილებლად მიდიან. ჰოდა, ამიტომაც, დიდი ხანია, აღარავის ვაძლევ უფლებას, გამითბოს გაყინული სული. თუმცა ვერაფერი ვუთხარი, რადგან ისე სჭირდებოდა ვინმე გაეთბო, რომ, ვფიქრობ, იმწუთას ყველა იმ ქალის გათბობა სცადა, რომელიც ოდესმე მიუტოვებია...

– იცი, დილით გავიღვიძე და მივხვდი, რომ საშინლად მომენატრე. ხომ იცი, დილით როგორი ვარ. ყოველ დილით ვფიქრობ, რომ ყველაფერი სულერთია და საკუთარ თავზე სიბრაზე მეძალება. რვა წელია ასეთს არ გამიღვიძია, მონატრებით. სულერთი კი არა, შენი ნახვა იყო მთავარი. შენ კარგი გოგო ხარ, რომ მოხვედი, – სულმოუთქმელად მითხრა.

მეგონა ეს ტექსტი მთელი დღე საზეპიროდ იმეორა, გულშიც, სარკის წინ, როცა ისიც ითვლიდა ნაოჭებს. ახლა კი ვერდიქტის ისე ეშინოდა, თვალები დაბლა დაეხარა და ჯოხს დაჰყრდნობოდა ისე, თითქოს სწორედ ამ წუთისთვის შეიქმნა ეს ხელჯოხი, სწორედ ეს წუთი უნდა გაეიოლებინა მისთვის და გამხდარიყო ერთადერთი საყრდენი, რომ არ დაეჩოქა ჩემთვის და ცხოვრებისთვის.

თვალი არ მომიშორებია, ახლა თავს უფრო საშინლად ვგრძნობ, ვიდრე მაშინ, როცა დავინახე. ჩემ წინ დგას ადამიანი და იმედს ეძებს, მებღაუჭება ისე, თითქოს ცხოვრებისგან წაქცეული მხოლოდ მე შემიძლია წამოვაყენო. მე კი არაფერს ვგრძნობ გარდა სიცარიელისა. მე ხომ ჩემი სარკესთან მომზადებული ტექსტის ყველა სიტყვა წყალში ჩამიყარა მისმა დანახვამ... ამ ჩვენი სახელდახელოდ ნაპოვნი თავშესაფრის გარეთ წვიმს, ისე, თითქოს ბუნება ცდილობს ჩაახშოს ის სიტყვები, რის თქმასაც მისთვის ვაპირებ. ვიცნობ კარგად, ან ახლა, ან არასოდეს, მან უკვე გადააბიჯა თავმოყვარეობას და ჩემი პასუხი არის ის, რაც არის... და მეორედ იმავეს

არ მკითხავს. ახლა მე უნდა ვიპოვო ძალა და მივხვდე, რა მინდა. აი, ეს ყველაზე რთული რამაა მისახვედრად. ერთია, რა გჭირდება და მეორე და სულ სხვაა – რა გინდა, შინაგანად რა გინდა, რა არის ის, რისთვისაც აქ ხარ. რატომ უსმენ შენი მონატრებით აღფრთოვანებულ და ამავე დროს განადგურებულ ადამიანს. რა გინდა მისგან, რატომ მოხვედი?!

მას ხომ ისიც არ უთქვამს, რა უნდა. თუმცა მე ხომ ვიცი, რომელი კითხვა ვერ დასვა. მე ხომ ვიცი, რომ ამ სიტყვისთვის თავს დიდხანს ებრძოდა, მაინც ვერ მოერია. უთქმელადაც ხომ ვიცი, ამას მეკითხება და პასუხი უნდა გავცე.

ჩვენი პირველი შეხვედრა გამახსენდა. რომელიღაც ლიტერატურულ ფესტივალზე, წიგნებით ხელში მოვიდა და პირდაპირ მითხრა, რომ კარგად ვწერ და დიდი სიამოვნებით დამპატიჟებს ფინჯან ჩაიზე, თან კენკრის ნამცხვარიც დაამატა მეტი დამაჯერებლობისთვის. ამან გადაწყვიტა ჩვენი შემდეგი დღეები. სადღაც წიგნებში ჩაკარგული პატარა ფრაზა იპოვა, მიხვდა, რომ მე ჩაისთან კენკრის ნამცხვარი მიყვარს და ამ დროს ხომ ადვილად იხიბლები ადამიანით?! ჰოდა, მოვიხიბლე და დაუფიქრებლად დავთანხმდი, ისე, რომ მისი სახელიც არ ვიცოდი. ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები, რომ მის ამაყ მზერას მაინც ვერ გავუძლებდი, ვერც იმ თავდაჯერებას, რაც თან ახლდა ჩემთან მოსვლას. მოსვლას ადამიანთან, რომელიც საკმაოდ კარჩაკეტილი და სიტყვაძუნწია ყველასთან, აქვს თავისი სამყარო და ამ სამყაროში თითქმის არასდროს უშვებს არავის. მერე იყო თავბრუდამხვევი დღეები და ღამეები, იშვიათი, მაგრამ ძალიან თავბრუდამხვევი. მე მივხვდი ერთ რამეს, მას უყვარდა ის, ვინც თავად გამომიგონა, მე კი ვერასოდეს გავხდებოდი ის ადამიანი, ვინც მას ვეგონე. ერთ დღესაც წავედი. მან თქვა, რომ არასოდეს მიუტოვებია ვინმეს. ჰოდა, სწორედ ამან გადაწყვიტა ურთიერთობის ბედი. ამ დროს ფიქრობ, რომ აუცილებლად წავა, რადგან მიტოვება მისი ხასიათია... და მე დავასწარი.

წასვლა ძნელი არასოდესაა, წასვლით იოლად მიდიხარ. პრობლემა მეორე დილაა, როცა გააცნობიერებ, რომ წახვედი და ხვდები – სხვასაც ატკინე და შენს თავსაც. თავს კი იმით იმართლებ, რომ უფრო დიდი ტკივილი აირიდე. არადა, ახლა, ამ წვიმისგან თავშესაფრად ქცეულ ფანჩატურში მდგარი ვფიქრობ, რომ ნამდვილი ტკივილი ახლაა, ახლა იმის თქმა, რასაც ნამდვილად ვგრძნობ. ის კი ისეთი თავდახრილი დგას ჩემ წინ, ცხოვრებისგან ისეთი თავჩაქინდრული, მინდა მოვეხვიო და ვუთხრა, რომ კარგად იქნება ყველაფერი.

– მე შენთან ვერ ვიქნები... მე მაინც სულ წასასვლელად გამზადებული მგზავრი ვიქნები შენთვის. სულ იმის შიშით უნდა მიყურო, რომ არ გავიქცე. ამ ტკივილისთვის არ მემეტები, არც ჩემი თავი მემეტება და ამიტომ, წავალ, – ეს ვთქვი და ახლა მე დავხარე თავი. აღარაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ ის მინდა, ამ ფანჩატურიდან გავიქცე და წვიმაში ვიარო, უსასრულოდ ვიარო, იქამდე, სანამ გზა არ დაილევა. არადა, ასე ადვილიც არაა გზების ამოწურვა. გზა ყოველთვისაა, ყოველთვის ბევრი გზაა, მთავარია, რომელს დაადგები. ახლა ჩემი მასთან დარჩენა მცდარი გეზია, ზუსტად ვიცი, ჩემი გული მეუბნება. ეს წლების წინ უნდა მომხდარიყო, მაშინ არ უნდა გავეშვი, მაგრამ რას გაიგებ...

– ამდენი წელი ყველა ადამიანში შენ გეძებ...

– შენ მას ეძებ, ვინც გამოიგონე.

ის დღეები გამახსენდა, როცა ველოდი, ის ამბობდა, რომ თავის თავში უნდა გაერკვეს, მე კი ამ დროს ყველა დაძახება მისი ხმა მეგონა. ბნელ ოთახში ვიწექი და თვალებს მაგრად ვხუჭავდი, რომ ცოტა ხანს მაინც მოვწყვეტოდი რეალობას და დრო მალე გასულიყო. დრო გავიდა, მე თვალები ფართოდ გავახილე და მას მოსვლა დაავიანდა, ამიტომაც ავდექი და მივატოვე, მოვიდა და მე წავედი. ასეა, ლოდინს მხოლოდ დიდი სიყვარული უძლებს, მე კი მეორედ ერთსა და იმავე მდინარეში არასოდეს შევდივარ.

ახლა, უკან რომ ვიხედები, წარმოვიდგენ, როგორ დარჩა სიყვარულის თავშესაფრად ქცეულ ფანჩატურში მარტო, როგორ მაგრად დახუჭა თვალები, რომ რეალობას გაჰქცეოდა.

სინამდვილეში უკან არ მიმიხედავს.

უცხო

მე მეგონა, მისი ადგილი ვერ მოიძებნებოდა ჩემი ცხოვრების წიგნში. ვფიქრობ, ის ისეთია, რომ ამ დედამიწაზე, ამ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც არაა მისი ადგილი, არათუ ჩემს წიგნში. ბიჭია, რომელიც დადის ამ მისთვის უცხო დედამიწაზე და მიუხედავად იმისა, რომ თავს უცხოდ გრძნობს, მაინც არავის აგრძნობინებს ამას. თუ არ მიუახლოვდი და არ ჩახედე სულში, ვერაფრით დაიჯერებ, რომ ის უცხოა... უცხოა ამ სამყაროსთვის, უცხოა ჩემნაირი პრაგმატული ადამიანისთვის. მასთან მე ცოტათი უკეთესი გავხდი, ვიდრე ვიყავი.

პირველად მეგობართან ვნახე, მაშინ, როცა არ იყო ჩემს ცხოვრებაში მარტოობის პერიოდი; როცა ყველაფერი, ყველაფერი იყო და ისეთი განცდა მქონდა, ეს ფერები აღარ ჩაქრებოდა. როგორ საოცრად შეგვიძლია ადამიანებს, გამოვიგონოთ ბედნიერება და ვიცხოვროთ ასე გამოგონილ ცხოვრებაში, თითქოს ეს ისაა, რაც ყოველთვის გვინდოდა, თითქოს ესაა ბოლო გაჩერება. არადა, იმდენჯერ ვცდებით, გვგონია, კატასავით ცხრა სიცოცხლე გვაქვს და ვფლანგავთ. ასეთი გამოგონილი ბედნიერების დროს ვნახე, ის თავისთვის, მშვიდად გვისმენდა, როგორ განვიხილავდით ათას ამბავს და მხოლოდ დროდადრო გაიღიმებდა, ან ტოვებდა განცდას, რომ გულდასმით გვისმენდა, თუმცა ამ ეტაპზე დისკუსიისგან თავს იკავებდა. ის წიგნის პერსონაჟს ჰგავდა, მეორეხარისხოვანს, აუცილებელი რომ არის, იყოს წიგნში, საჭირო რომ არის; ავტორს სჭირდება იმისთვის, რომ წიგნის ბობოქარი გმირებისგან ყურადღება გადაგატანინოს და დაგასვენოს. იქიდან მალე წამოვედი(თ), თუმცა გამომყვა ამ ბიჭზე ფიქრი. მთელი ამბავი ავაგე გონებაში, როგორ გულმოდგინედ უსმენდა ყველას, ზუსტად იმ დროს ჰქონდა სწორი რეაქცია და მიმიკა, როცა უნდა ჰქონოდა.

ბავშვობიდან მაქვს ნიჭი, ადამიანებისგან მომავალი იმპულსები სწორად ვიგრძნო, თითქმის არასოდეს შევმცდარვარ ამ შეგრძნებებში. ხანდახან სასჯელიც კი მგონია ეს, გინდა, აუარო ადამიანს გვერდი, არ გინდა არც ემოციები, არც ახალი ურთიერთობები, არც ეს იმპულსები; გინდა, მშვიდად იცხოვრო შენს გამოგონილ ბედნიერებაში და ამ დროს გონება არ გაცდის, გექაჩება სადღაც, სადაც ფიქრისთვის უამრავი თავისუფალი ადგილია და უამრავი სხვადასხვა გზა. განავითარებ ამ გზებს, გაყვები ყველა მხარეს და აგებურდება ფიქრებიც და გზებიც, შინაგანიც და გარეგანიც. ამიტომ მე ყველანაირად ვეცადე, ეს იმპულსები მაშინვე ჩამეხშო, სახლში მისვლაც არ ვაცადე თავს, ისე დავივიწყე ამ ბიჭის არსებობა.

ორი წლის შემდეგ სრულიად შემთხვევით შევხვდით პატარა კაფეში. ისევ იმ მეგობრებთან ერთად ვიყავი, ამჯერად მარტოობის შემდგომი ხასიათით. მოვიდა და ისე უჩუმრად შემოგვიერთდა, ვერც შევნიშნავდი, რომ არა ყველას ერთდროულად გაცისკროვნებული თვალები. გეგონებოდათ, ზამთრის სუსხიან დღეს მზის სხივი დაინახეს, გამოგაზაფხულების იმედი მიეცათ. გაზაფხული კი ყოველთვის უეცრად მოდის, ისე, რომ თავიდან დაჯერება გვიჭირს და ვფრთხილობთ, სახლიდან გასვლისას ხელს გავაყოლებთ შემოსაცმელს და შეიძლება მერე მივხვდეთ, სულაც არ გვჭირდებოდა, გვყოფნის ის სითბო, რაც ამ გაზაფხულის მაუწყებელმა სხივებმა გვიბოძა, თუმცა ეს გაუაზრებელი შიში მაინც გვდევს რაღაც პერიოდი...

ამჯერად იმპულსებს თავისუფლება მივეცი, ყველა იმპულსი ერთად წამოიშალა და დაირაზმა ჩემს წინააღმდეგ. ახლა უკვე მე დავემსგავსე წიგნის მეორეხარისხოვან გმირს, რომელსაც შეიძლება სულაც არ ეხალისება ამ წიგნში ყოფნა და აბნევს. ის კი უეცრად წიგნის მთავარი გმირი გახდა, მკითხველიც, მწერალიც, ერთადერთი, ვინც შეძლებდა ჩემზე დაეწერა და არა პირიქით.

– მე შემიძლია სახლში გაგაცილო, გვიანია, – მხოლოდ ამის თქმის შემდეგ შევძელი თავი

ამეწია და თვალებში შემეხედა მისთვის, სადაც ჩემი თავი დავინახე. მისი შავი თვალები იმდენად შავი იყო, სარკესავით ირეკლავდა ჩემს დაბნეულ გამოსახულებას.

ხომ არის გზები, რომელიც არ უნდა დასრულდეს. გულში ნაბიჯებს ითვლი და იცი, რომ აი, ახლა დასრულდება და ეს ყველაზე სევდიანი დასასრულია იმწუთას, იმ განწყობის დროს. ასეთი გზა იყო მაშინ, როცა სახლამდე მიმაცილა. ჩვენ დიდხანს ვიდექით ქარში და ვერც ერთი ვახერხებდით ერთმანეთისთვის ზურგის შექცევას. მოგვიანებით მითხრა, რომ სახლისკენ წასულს, გზად ვერაფრით ეპატიებინა თავისთვის ჩემი ნაბიჯები, რომელიც მის საწინააღმდეგოდ გადავდგი და ის მიყურებდა, როგორ მივდიოდი. მე კი ზუსტად მახსოვს, რომ ძალიან მინდოდა, იქ მდგარიყო და ეცქირა ჩემთვის. მე ძალიან მინდოდა, მოვტრიალებოდი და გამეღიმა მისთვის, თუმცა ვერ მოვახერხე, რადგან მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ვიყავი ამ უნებლიედ გადაშლილი წიგნის.

იმ ღამეს ჩემმა გონებამ ათასი გზა გამატარა, ათასივე მასთან მიდიოდა. ყველა გზა რთული და გრძელი იყო, მაგრამ სასიამოვნო. ახლა უკვე ვიცოდი, რომ შეიძლება ყველა გზა ერთ ადგილას მიდიოდეს, შესაძლებელია ადგე და ყველა გზას ერთი მიმართულება ჰქონდეს, ერთი გეზი და ერთი ბოლო გაჩერება. იმ ღამით ძალიან მომინდა, მასთან მისასვლელი უმოკლესი გზა მეპოვა, თითქოს გადაიფიქრებდა ამ უნებლიედ გადაშლილ წიგნში ყოფნას, გამექცეოდა მეც და ავტორსაც, დატოვებდა წიგნს ასე, მთავარი გმირის გარეშე. ამას კი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ყოველთვის უფრთხის.

დილით ფიქრისგან დაღლილს გამეღვიძა. იშვიათად მეღვიძება ასე, სავსეს და თან ცარიელს, თან თითქოს ყველა გზა გავიარე და თან – არც ერთი. ღამით ვფიქრობდი, რომ თვალის გახელისთანავე დავადგებოდი მისკენ მიმავალ ბილიკს, დილამ კი გამტეხა და ერთ ადგილას გაშეშებული ვიდექი. მე არ ვიყავი ამ წიგნის ავტორი, მე ვერ დავწერდი მისასვლელ გზას, ვერც ჩემით ვიპოვიდი, მე ერთი სიფრიფანა გოგო ვიყავი, მზის სხივით იმედშეპარული გულში.

ის თავად მოვიდა, უფრო სწორად, მომწერა მხოლოდ ერთი კითხვა: „შეგიძლია ჩემთან მოხვიდე?“

„მოვალ!“ – მხოლოდ ეს ვუპასუხე და წავედი.

მისი სახლი ერთი პატარა ოთახია, ძალიან მუქი ფარდებით, სადაც დღის სინათლე ოდნავ თუ აღწევს. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, წიგნებს, ნახატებს კედელზე, მაჯის საათს, რომელიც ერთ კონკრეტულ ადგილას დევს, როცა არ უკეთია, რადგან იხსნის, როცა ამ ოთახში ცდილობს დაემალოს ადამიანებს. თითქოს ამ საქციელით დროს ეუბნება, რომ ის ვერაა მბრძანებელი. აქ, ამ სიბნელით განათებულ თავშესაფარში, თავის სამყაროშია. ასე ხელოვნურად ცდილობს, თავი სახლში იგრძნოს. მე კი, სავარაუდოდ, ის ვგონივარ, ვისიც სჯერა, ვინც გამოიყვანს გამოგონილი სამყაროდან.

უცხო ადამიანთან არასოდეს მივსულვარ ასე, პირველივე დაძახებაზე, თუმცა მასთან მისასვლელად მანამდე ვიყავი მზად, სანამ დამიძახებდა. ალბათ, ქვეცნობიერად, მეც მინდოდა ჩემი გამხდარი ხელი გამეწვდინა და, მზის სხივი თუ არა, პატარა ყვავილი მაინც ვყოფილიყავი, მის ქუჩაზე გაზაფხულის მოსვლის მაუწყებელი.

ახლა რომ ვიხსენებ, მასთან ყველაზე კარგად თავს იმ დღეს ვგრძნობდი, როცა პირველად მივედი. ჩუმად ვისხედით და მე დროდადრო მის მზერას ვიჭერდი. არ ვიცი, რას გრძნობდა, არ ვიცი, იქნებ ეშინოდა კიდეც, არ გადამეფიქრებინა ხელის გაწვდენა. მე კი მხოლოდ ის მოვახერხე, დამშვიდობებისას ჩავხუტებოდი, გულწრფელად, ყველანაირი იმედის, ყველანაირი გრძნობის, ყველანაირი ფინალის მიუხედავად. არ ვიცი, ასე რამდენ ხანს ვიყავით. იქ, იმ სახლში, იმ ერთ ოთახში დრო არ არსებობდა. იქნებ არც ჩვენ ვარსებობდით?! იმწუთას მეც მთავარი გმირი ვიყავი. რა ბედნიერებაა, მეორეხარისხოვანმა პერსონაჟმა იმდენს მიაღწიო, მთავარ გმირს გაუთანაბრდე, თუნდაც ცოტა ხნით.

იმ დღეს მე იმ სახლიდან სხვანაირი წამოვედი. სულ სხვანაირი, ოდნავ უკეთესი, ვიდრე ვიყავი.

კიდევ ბევრჯერ დამიძახა და მეც ამდენჯერვე მივედი, თუმცა ყოველ მომდევნო მისვლაზე სიტყვებმა იმატა, საუბრები უფრო ხშირი გახდა, რაც თავიდან ძალიან მიხაროდა. მეგონა, ასე უფრო იგრძნობდა, რა ხდებოდა ჩემში. მეგონა, ასე უფრო იოლად გამოვიყვანდი თავისი გამოგონილი სამყაროდან, სადაც მას მთავარი ბრძოლა ჰქონდა მოსაგები – საკუთარ თავთან. მეგონა, გამოვდგებოდი, დედოფლად თუ არა, რიგით ჯარისკაცად მაინც, თუმცა ახლა ზუსტად ვიცი, რომ ყველა ასეთი ბრძოლა მარტომ უნდა მოიგო. თუნდაც დამარცხდე, მაინც მოგებული ხარ, იმიტომ, რომ შენი მოწინააღმდეგე, რომელიც გაიმარჯვებს, ისევ შენი თავია.

ერთ დღესაც ვიგრძენი, რომ განგებამ შეძლო და ჩვენ სხვადასხვა ენაზე ავლაპარაკდით, რომ ვეღარ აგვეშენებინა ის ცამდე მისასვლელი კოშკი ერთად. სიტყვებმა ერთი განზომილება დაკარგა, ჩვენ უკვე მათ სხვადასხვა ინტერპრეტაციით ვატრიალებდით გონებაში და ვეღარაფრით შევძელით გაგვეგო, რას ვეუბნებოდით ერთმანეთს.

სულ ვფიქრობ, როგორი ფინალი შეიძლებოდა გვქონოდა იმ უცნაურ წიგნში, მე ხომ ათასი გზა მქონდა ფიქრით გავლილი, ათასი ვარიანტი, ათასივე სხვადასხვა ფინალით. მე ხომ მასთან მისვლამდე უკვე ათასჯერ დავასრულე ეს ამბავი, ათასჯერ გავაგრძელე, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვაა, ეს მხოლოდ ადამიანის გონების უსასრულო ხვეულებში მოგზაურობაა. ხანდახან კიდეც მგონია, რომ ყველა ტკივილი მაინც ამ მოგზაურობის შედეგია. სავარაუდოდ, ამას ადამიანები ოცნებებს ვეძახით, რეალობის მთავარი მტერი სწორედაც ეს უნებლიე ოცნებებია. ამ დროს ვემსგავსებით ჩემს კატას, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანობაზე ოცნებობს, შეიძლება იმდენადაც კი, რომ მზადაა, თავისი ყველა სიცოცხლე დათმოს, ოღონდ ის გახდეს, ვინც უნდა, რომ იყოს სინამდვილეში. ასე ვართ ადამიანები, ვეპოტინებით ისეთ რამეს, რაც ჩვენი არაა. გულის სიღრმეში ამას ძალიან კარგად ვხვდებით, თუმცა მაინც ოცნებების ტყვეობაში ვრჩებით და ძნელია თავის დაღწევა.

ერთ დღესაც მე მივხვდი, რომ იმ წიგნში ეს ყველაზე უცნაური ბიჭი თავად უნდა ყოფილიყო მთავარი გმირი, მეორეხარისხოვანიც და ყველა დანარჩენი გმირიც, რადგან ის მრავალ ადამიანს იტევს, რომლებიც ჩვენგან ზურგშექცევით დგანან.

...და იმ დღეს, უადგილობის გამო, მე ამ წიგნიდან გამოვიპარე.

ოცნებას თავი დავაღწიე, თუმცა უარი არ მითქვამს იმაზე, რომ ამ ამბისთვის ღირსეული ადგილი მიმეჩინა ჩემი წარსულის სკივრში, რადგან ამ ბიჭის დამსახურებით, მე ოდნავ უკეთესი გავხდი, ვიდრე ვიყავი.

სიმარტოვე (ქალი არსაიდან)

ალბათ თავად ვერასოდეს იფიქრებს, რომ რომელიმე გზააბნეული ადამიანის წიგნში მოხვდება. წიგნში კი არა, სავარაუდოდ, წლების მერე ნეკროლოგშიც კი არ გაჟღერდება მისი სახელი და გვარი. ის არის ქალი, რომელიც არსაიდან გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. სიმართლე გითხრათ, ჩემს ცხოვრებაში არც გამოჩენილა, მისთვის სახელითაც არასოდეს მიმიმართავს, სულ უწყინარი კითხვაც არ დამისვამს, დროდადრო გამარჯობის თქმასაც კი ვერიდებოდი.

მახსოვს, ერთხელ, ბავშვობაში, ეზოში თამაშის დროს, ქალმა გამოიარა. ერთმა ბავშვმა ქვის სროლა სცადა. მე მაშინ ვერაფრით მივხვდი, რატომ გაუჩნდა იმ პატარა ბიჭს ქვის სროლის სურვილი და ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ასე მისი აყოლიება სცადა თამაშში. ქალი ამაყად მიდიოდა და არაფრით შეიმჩნია მისკენ ნასროლი ქვა. არ ვიცი, მისი სახე მაშინვე ჩავიბეჭდე თუ უკვე გაზრდილმა აღვიდგინე გონებაში.

ვერ ვიტყვი, რომ ლამაზი იყო, თუმცა მისი ცისფერი თვალები ისეთი ცისფერი იყო, მსგავსი აღარც შემხვედრია ცხოვრებაში. ცისფერსაც ვერ დაარქმევ ასეთ ფერს, თუ ცისთვის აგიხედავთ, როცა მზე ძალიან კაშკაშებს და თქვენს თვალებს გაუძლია, სულ რამდენიმე წამით მაინც ეცქირა ამ დროს გადაწკრიალებული ზეცისთვის, შეამჩნევდით უკამკამეს ფერს, რომელსაც საბოლოოდ ცისფერს ვეძახით, თუმცა მაინც ძალიან სუფთა და წმინდაა. ასეთი კამკამა თვალები ჰქონდა, თითქმის ყველა მის ნაკლზე თვალს გახუჭვინებდა ადამიანს, მაგრამ ცალ თვალს, რადგან შეპარვით მაინც გინდოდა გეცქირა, როგორ ამაყად მიდიოდა ქუჩაში, არსაით, არსაიდან მოსული. არის სიტუაცია, როცა ხვდები, რომ რაღაც დიდ საიდუმლოს გიმალავენ და კითხვისაც გეშინია, ამით ვინმე არ გააბრაზო. ამ დროს გონებას გიღრღნის კითხვები, გაინტერესებს, რაც უფრო დაფარულია, მით მეტად გინდა, ახადო ფარდა. ის, რაც იქ დაგხვდება, საშიში გგონია, რადგან ხვდები, რომ რაღაცას გიმალავენ და რადგან გიმალავენ, ესე იგი, რაღაცისგან გიცავენ.

პირველად, როცა დედაჩემთან ერთად შემხვდა ქუჩაში, მახსოვს, დედამ ოდნავ ნაბიჯს აუჩქარა, გამარჯობაც ნაჩქარევად და თითქმის ჩურჩულით უთხრა. მე ვიგრძენი, ამ დროს დედა თითქოს დამცავ ფარად მექცა. სცადა, არ დამენახა მისი მისალმება. მე კი, ასეთ ინტერესიანს, მით უმეტეს, ამ ჩემთვის ძალიან საინტერესო ობიექტთან მიმართებით, რა უნდა გამომპარვოდა. ვფიქრობ, სწორედ მაშინ დამამახსოვრდა მისი თვალები, მადლიერი და თან ოდნავ ნაწყენი. შევნიშნე, რომ მან ნაბიჯი შეანელა, თითქოს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, თუმცა თავი დახარა და ზურგს უკან გაუჩინარდა. მოხედვაც კი ვერ გავბედე, ვგრძნობდი, დედა როგორ აპარებდა თვალს ჩემკენ, თითქოს უნდოდა ჩასწვდომოდა, დამაინტერესა თუ არა ქალმა, რომელთან მისალმებაც მხოლოდ ჩურჩულით შეიძლებოდა.

ერთხელ მაღაზიაში შევხვდი. შეხვედრაც არ ერქვა, მე პურის საყიდლად გამაგზავნა დედამ და თან დამარიგა, რომ უცხო ადამიანებს არ გამოვლაპარაკებოდი. ასეა, თუ გოგოდ დაიბადე, თან პატარა და სიფრიფანა გოგოდ, დედას სულ ეშინია. ალბათ ბიჭებიც ანერვიულებენ მშობლებს, თუმცა გოგონები უფრო სიფრიფანები ვართ მათთვის და მუდამ მოსაფრთხილებლები. სავარაუდოდ, ეს ბიჭებს მეტ თავდაჯერებას სძენს და უფრო მალეც გრძნობენ დიდობას. აი, მე კი დღემდე პატარა და სიფრიფანა გოგოდ ვგრძნობ თავს და აღარ მგონია დიდობას შევეჭიდო, თუმცა ეს სხვა ამბავია...

მაღაზიაში შევხვდი, გვერდი ავუარე. ვცდილობდი, მაქსიმალურად შემენელებინა ნაბიჯები, მინდოდა რამე მაინც შემენიშნა ხელჩასაჭიდი, რომ შემდეგ ჩემი გონების უცნაურ ხვეულებში ათასგვარი მითი ამეგო მასზე და ასე ჩემი თავისთვის გამეცა პასუხები. ვერაფერი შევნიშნე, თუმცა კარგად დამამახსოვრდა მისი სუნამოს სურნელი, მოტკბო და თან საოცრად მკაფიო. არ ვიცი, სურნელი როგორ შეიძლება ასეთი მკაფიო იყოს, ასე ზუსტად ის, როგორიც იყო, ამიტომ აღარასოდეს დამვიწყებია. მეტიც, როცა მასზე ვფიქრობდი, ამ სურნელს ვგრძნობდი და უცნაური ის არის, რომ, როცა ყველაზე მეტად მარტო ვარ, ყოველთვის ამ სურნელს ვგრძნობ.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ძალიან მინდოდა გამომლაპარაკებოდა, თუმცა არც კი შემოუხედავს. ერთადერთი, რაც შეიძლება ხელჩასაჭიდი მეპოვა, იყო ის, თუ რას იყიდდა. ამიტომ პურის რიგი რამდენიმე ადამიანს დავუთმე, რომლებმაც იფიქრეს, რომ კარგად აღზრდილი გოგო ვიყავი და ზოგიერთმა გულითადი მადლობაც კი მითხრა. აღზრდილი კი ნამდვილად კარგად ვიყავი, დედაჩემი შესაშური ენერგიულობით გამოირჩეოდა, როცა საქმე მის შვილს ეხებოდა. არ მაკლებდა რჩევა-დარიგებას, როგორ უნდა მოვქცეულიყავი უფროსებთან. შესაბამისად, ვერაფრით ვეკითხებოდი ჩემი ინტერესის ობიექტის შესახებ ვერაფერს.

ზოგჯერ კარგად აღზრდილი ადამიანები ნაკლებად თავისუფლები ვართ, გადამეტებულად

თავდაჭერილები და ასე საიდუმლოდ ვცდილობთ საინტერესო კვანძების გახსნას. თუმცა მგონია, არც მაინცდამაინც თავისუფლება მომცემდა მეტ ბედნიერებას. ყველაზე დიდი სიამოვნება სწორედ ისაა, როცა რაღაც დაფარულია, როცა არ იცი, რაღაცის შიგნით რა იმალება. წლების შემდეგ, როცა გავიზარდე, ყოველთვის შორიდან ვაკვირდებოდი ადამიანებს და ასე ვცდილობდი, დეტალებით მემოგზაურა მათ სამყაროში, რომელსაც ჩემს გონებაში ვაშენებდი, შემდეგ პირადად გამეცნო და ასე შემედარებინა, რამდენად გამომივიდა წარმოსახვით ადამიანის ზუსტად დანახვა. ეს ჩემი გონების თამაში სწორედ ამ იდუმალი ქალის დამსახურება მგონია და ქვეცნობიერად ყოველთვის მისი მადლიერი ვარ.

რძე, მაწონი, ცოტა შვრიის ნამცხვარი, 200 გრამი კანფეტი და ორი ცალი ვაშლი იყიდა და რადგან ჩემი და ყველა ბავშვის საყვარელი შვრიის ნამცხვარი დავინახე, უპირობოდ გადავწყვიტე, რომ სახლში ჩემნაირი სიფრიფანა გოგო ელოდებოდა. შესაბამისად, რძე, მაწონი, კანფეტი და მით უმეტეს, ორი ცალი ვაშლი, სწორედ ამის უტყუარი დასტური იყო. დედა, სავარაუდოდ, სამ ვაშლს იყიდდა, რადგან მამას ძალიან უყვარს ვაშლი, მით უმეტეს, დედაჩემის მიწოდებული. აქ გამახსენდა ძველი ამბები და გავუყევი ფიქრებს, რომ ადამი და ევას შემდეგ კაცს და ქალს მაინც სხვანაირად აკავშირებთ ვაშლი, ვერ იშლიან მავნე ჩვევას, რომელმაც სამოთხე დააკარგვინათ. თუმცა ჩემი მშობლების სამოთხეს არაფერი ემუქრება, მაშინ მაინც, როცა მე პატარა და სიფრიფანა ვარ და პურზე მარტო გამომიშვეს, როცა იციან, რომ მე უცხო ადამიანს ნამდვილად არ დაველაპარაკები. მაშინ იმ პატარა გოგოს უპირობოდ მჯეროდა მითებისაც კი, შესაბამისად, არც უნდა გაგიკვირდეთ, ვაშლზე რომ ამხელა ამბავი ავაგე.

სახლში დამშვიდებული წამოვედი, სულაც აღარ ვდარდობდი ქალზე, რომლისთვისაც გამარჯობის თქმა მხოლოდ ჩურჩულით შეიძლებოდა, რადგან მას სახლში ჩემნაირი გოგო ელოდებოდა, ძალიან რომ გაახარებდა შვრიის ნამცხვარი.

არიან ადამიანები, ვინც წლების განმავლობაში არც კი გვახსოვს, რომ არსებობენ. მით უმეტეს, არ უნდა გვახსოვდეს ქალები, რომლებსაც ქვებს ესვრიან და გამარჯობას ჩურჩულით ეუბნებიან, თუმცა მათი ერთი გამოჩენა და ყველა ფიქრი თავიდან აგეშლება, გასაქანს აღარ გაძლევს. სწორედ ეს ვიგრძენი, როცა წლების შემდეგ ისევ დავინახე. უკვე ისეთ ასაკში ვიყავი, როცა დედას შვილის პურზე მარტო გაშვება აღარც ეშინია, მეტიც, საკუთარ სახლში ვცხოვრობდი და პურიც მხოლოდ ჩემთვის მქონდა საყიდელი. ის ქუჩის მეორე მხარეს იდგა და შეუმჩნევლად პირჯვარს იწერდა. მისი ხელები ნელა მოძრაობდნენ, ჯერ შუბლზე, შემდეგ მუცელზე, შემდეგ მარჯვენა მხარზე და როცა ხელი მარცხენა მხრისკენ წაიღო, ოდნავ შეჩერდა და რაღაც ჩაილაპარაკა. მე ამ სანახაობით გაოგნებული ადგილზე ვიდექი და ვუყურებდი, ვერაფერს ვუკავშირებდი მის ამ რიტუალს, ახლომახლო მხოლოდ ერთი ჩემი ტოლი გოგო იდგა, რომელსაც პატარა კიკინებიანი არსებისთვის ჩაეჭიდა ხელი და სავარაუდოდ, ტრანსპორტის მოსვლას ელოდებოდა.

უცებ მომინდა დედა მენახა, მეკითხა ბოლოს და ბოლოს ამ ქალზე რამე, რატომ უთხრა მაშინ გამარჯობა ჩურჩულით, ან რატომ ესროლა ქვა ჩემმა მეზობლის ბიჭმა, ან რატომ იწერდა პირჯვარს ასე მალულად? ჩვენ არასოდეს ვიზრდებით ისე, რომ მშობლებთან თავი დიდები გვეგონოს და კითხვები, რომლებიც ბავშვობაში ყველაზე საშიში გვგონია, უშიშრად დავუსვათ. ამიტომ დედასთან სტუმრობის მაგივრად სახლისკენ გავემართე, სადაც ლოგინზე მივწექი და ვაშლს შევექეცი, რომელიც ამასწინათ საკმაო რაოდენობის ვიყიდე, რომ არავის ეფიქრა ჩემს მარტოდ ყოფნაზე.

მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდი ქუჩაში, თავჩაქინდრული ჩავუვლიდი გვერდით და ყოველ ჯერზე მეტად დაბერებული მეჩვენებოდა. ალბათ, ახლა უფრო დაბერდებოდა, ვიდრე მაშინ,

როცა ბოლოს ვნახე. გვერდი ისევ ისე ამაყად ამიარა და ჩამოატარა ნაცნობი სურნელი, რომელიც ჩემთვის უკვე მშობლიური იყო, რადგან ერთხელაც სუნამოების მაღაზიაში მე სწორედ მსგავსი სურნელის სუნამო მირჩია ძალიან კარგად აღზრდილმა გამყიდველმა, რომელიც, ჩემი აზრით, ბავშვობიდან სუნამოს გამყიდველობაზე ოცნებობდა. მისთვის ერთგვარი ჰობიც კი იყო ადამიანის დანახვის შემდეგ სუნამო აერჩია. რაღაცით ჩემი თავიც კი მომაგონა სუნამოების სამფლობელოს ფერიამ, ადამიანთა გონებაში დეტალებით მოსეირნემ.

როგორც გითხარით, გვერდით ამიარა და ზურგს უკან დიდხანს მესმოდა მისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ხმა. მე ამ ხმას ნაბიჯები ავაყოლე. დედასთან მივდიოდი სტუმრად, გვერდით მეზობლის ქალებს ავუარე და მათ საუბარს მოვკარი ყური. სწორედ ისე შევანელე ნაბიჯი, როგორც მაშინ, როცა მაღაზიაში პირველად ავედევნე. თითქმის გავჩერდი, რომ კარგად გამეგონა საიდუმლო, რომელიც ამდენი წელი მაწუხებდა. მეზობლის ქალები ხომ სწორედ ამისთვის არიან, დროდადრო სხვისი ცხოვრება სააშკარაოზე გამოფინონ, ისე, როგორც თეთრეულს ფენენ დიდი გულმოდგინებით, რომ სხვა მეზობლის ქალებმა აუცილებლად ჰკითხონ სითეთრის რეცეპტი, თუმცა სხვისი ცხოვრების მზეზე გამოფენისას, არასდროს ცდილობენ რეცეპტების ძებნას სითეთრისა და სილამაზისთვის. პირიქით, ამბავი რაც უფრო ჭუჭყითაა დახუნძლული, მით უფრო საინტერესოა. ისევე როგორც თეთრეულს, ამბავსაც და თეთრეულის სიქათქათესაც რეცეპტი სჭირდება. ამიტომ მე მხოლოდ მშრალი ინფორმაცია მოვისმინე და მივხვდი, რომ სულ ტყუილად დავიმშვიდე თავი იქ, მაშინ, იმ მაღაზიაში; სულ ტყუილად გავიმეტე ის ყველასგან უარყოფილი ქალი, რომელსაც, სავარაუდოდ, მარტო მე ვდარდობდი მანამდე, ვიდრე ვაშლის და შვრიის ნამცხვრის დამსახურებით გადავწყვიტე, რომ მარტოობა არ ემუქრებოდა. ასე, თითქოს იოლად, შევეშვი მასზე დარდს.

შვილი უკანონოდ გაუჩენია და მშობლებს ქუჩაში გამოუგდიათ. არაფერი ახალი ამ ამბავში არაა, უამრავ გოგოს დამართვია იგივე. ზოგი წამოდგა, ზოგი წამოაყენეს, ის კი ამ ყველა გოგოს შორის ყველაზე მეტად მეცოდება. დაღუპვია ეს მისი ყველასგან უარყოფილი შვილი, პატარა გოგო, გარეთ, სიცივეში. მას მერე ისეთ გზას დაადგა, სულერთი რომ ხდება ცხოვრებაც და ჩემი მეზობლებისმაგვარი ქალების მზეზე გამოფენილი ამბებიც. კარგად მახსოვს, როგორ თქვეს, ეგ თავიდანვე გიჟი იყო, სულ ორი ადამიანის სამყოფს ყიდულობს ყველაფერს, შვილი ცოცხალი ჰგონიაო.

რა ბანალური ამბავია, როგორი ჩვეულებრივი, წიგნში დასაწერადაც და მოსაყოლადაც. თუმცა მე ვიცი, რომ მასზე ნეკროლოგსაც არავინ დაწერს და ამიტომ ძალიან მინდა, სადმე მაინც არ რცხვენოდეთ მისი, თუნდაც ასეთი გზააბნეული გოგოს წიგნში, რომელიც იმავე სუნამოს იპკურებს, რასაც ეს ლაჟვარდისფერთვალება ქალი.

მე რომ დედაჩემი ვყოფილიყავი, აუცილებლად ცოტა უფრო ხმამაღლა მივესალმებოდი.

რა იქნებოდა, რომ...

არაფერი უნდა დაგეგმო წინასწარ, – მთელი წიგნის წერის განმავლობაში ამას ვამტკიცებ. ეს წიგნიც სწორედ იმისთვისაა, ადამიანები მიხვდნენ, რომ იმ გზაზე, სადაც დავდივართ, მხოლოდ მიმართულების არჩევის საშუალება გვაქვს.

– ბილიკების, მეორეხარისხოვანი გზების, პირველხარისხოვანი, მთავარი გზების... თუნდაც გამოგონილი გზების.

ასეთი გამოგონილი გზა ავირჩიე ერთ მზიან დღესაც. სინამდვილეში, საერთოდ არ ვიცი, ის დღე მზიანი იყო თუ წვიმიანი, რადგან ხანდახან

ვივიწყებთ დღეებს, როცა ჩვენი ყველაზე აუცილებელი გადაწყვეტილებები მივიღეთ.

ეს თავი რომ წიგნად დამეწერა, აუცილებლად დავარქმევდი სახელს „რა იქნებოდა, რომ...“ დავწერდი ჩემს პარალელურ ცხოვრებაზე, რომელიც ვერაფრით გაგრძელდებოდა გამოგონილი გზის გარეშე. თუმცა იმ დროს, როცა მთავარი გზიდან უხვევ, ვერაფრით ხვდები, გზა გამოგონილია თუ ნამდვილი. იქნებ ჩემი ამ ქალაქში გამოქცევაც გამოგონილი გზაა?

იქნებ იქ, ხმაურიან ქალაქში, ჩემს ეულად დარჩენილ კატასთან უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება, ან დამესრულებინა. ახლა, ამ წუთას, უკვე სულერთია, რომელი ფორმულირებით ვიტყვი ამას. კატაც ბედნიერი იქნებოდა და მეც კიდევ ცოტა ხნით გადავდებდი ჩემი ცხოვრების მთავარი წიგნის დაწერას. ეს კი ავტომატურად ნიშნავს სიცოცხლის გახანგრძლივებას.

ვერ მოკვდები ამ წიგნის დაწერის გარეშე, მით უმეტეს, თუ მწერალი ხარ, არ აქვს მნიშვნელობა როგორი. შეიძლება ზოგი წიგნი ცუდიც კი გამოგსვლოდა ცხოვრებაში, ზოგიც – უარესი, თუმცა მაინც ხომ დაგარქვეს ეს სახელი და შეგამზადეს, იმის ტვირთი გეზიდა, რომ ცხოვრების წიგნი გონებაში კი არა, რეალობაშიც დაგეწერა.

ადამიანები ხშირად, ჩვენდა უნებურად, გვაკისრებენ მოვალეობებს, რომელიც ზოგჯერ არც კი გვინდა, არც მოგვწონს, არც გვიხარია, თუმცა ამ ადამიანების ხათრით თუ საკუთარი თავმოყვარეობის გამო, უარს ვეღარ ვამბობთ. ჰოდა, ერთ დღესაც ასე მოხდა ალბათ ჩემს ცხოვრებაში.

ვერაფრით ვიხსენებ, ვინ მომაწერა ეს სახელი, ვინ გადმომცა ეს ჯვარი, თუმცა ასე აეწყო, ვიღაც კეთილისმსურველმა იფიქრა, ეს ნამდვილად მწერალიაო. მეც ავდექი და დავემორჩილე, ან სულაც ისე მომეწონა ეს რეგალია, აღარ ვთქვი უარი, რადგან ხანდახან პატივმოყვარეობა იმდენად დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე, გვინდა თუ არა, ვთანხმდებით დაკისრებულ ჯვარს და მხოლოდ მერე ვაცნობიერებთ, ვზიდავთ თუ არა. ჰოდა, ამიტომაც, აგერ სიცოცხლის ბოლომდე მგონია, რომ ზოგი წიგნი ცუდი გამომივიდა და ზოგიც უარესი, ხანდახან დაუმსახურებელი ტაშიც ძალიან მიხაროდა და დამსახურებულ კრიტიკაზე ვდარდობდი. არადა, ახლა რომ ვფიქრობ, უაზრობაა ამაზე დარდიც და სიხარულიც, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, ვის რისი შესაძლებლობა გვაქვს სინამდვილეში, ამიტომ თვალსაც იოლად ვხუჭავთ დაუმსახურებელ ქებაზე, ხოლო კრიტიკას, თუნდაც დამსახურებულს, მძიმედ განვიცდით.

როგორც უნდა იყოს, ასე მოხდა, რომ ჩემი ცხოვრება შედგა წიგნებით და სრულდება წიგნითვე, თუმცა როგორც თავში ვთქვი, თუ კარგი მწერალი არ გამოვედი, ცხოვრების წიგნის დასაწერად მაინც წავივარჯიშე.

ერთ დღესაც ჩემი ცხოვრების მთავარი გზიდან გადავუხვიე და ასე აღმოვჩნდი პარალელურ რეალობაში, რომელშიც მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, სრულად ბედნიერი, ყოველმხრივ. ასეთი ბედნიერი ჩემი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ ვყოფილვარ.

სწორედ ასეთი ბედნიერება აბრმავებს ადამიანს, ვერ ხვდება, რომ გამოგონილ გზაზე მიდის და სინამდვილეში ყოველი გადადგმული ნაბიჯი – ერთ ადგილას დგომაა, ყოფნა და წუთების ხარჯვა. დროს ხომ მხოლოდ მაშინ ვაფასებთ, როცა ცოტა გვრჩება. თითქოს ჩემი ცხოვრების ქვიშის საათი დროზე ადრე ამოაბრუნეს და მალე ჩამოიცალა ქვიშა, რომელიც ცხოვრების დღეებისგან შედგება. მაშინ, როცა ხვდები, რომ ძალიან ცოტა დრო დაგრჩა, ქვიშადაქცეული დღეების ერთ ადგილას დგომით განიავება გულს გწყვეტს, როცა უკან იხედები. არა იმიტომ, რომ დრო აღარ გაქვს, უბრალოდ ხვდები, რომ დროს უკან ვეღარ დააბრუნებ, რომ გამოიქცე გამოგონილი რეალობიდან და შეწყვიტო უმოქმედობა.

ერთ დღესაც გამოვიგონე ბედნიერება, გადავუხვიე ყოველდღიურობიდან და ფერად სამყაროში აღმოვჩნდი, ამიტომაც მგონია, რომ ის დღე მზიანი იყო. იქ, იმ გამოგონილ სამყაროში,

ყოველთვის მზე იყო, ყოველთვის მზე კი მხოლოდ ზაფხულშია. ჰოდა, გზიდან ზაფხულში გადავუხვიე.

მივატოვე ჩემი სათუთად მოვლილი მარტოობა, ჩავიცვი მზისფერი კაბა, გადავაბიჯე სახლის ზღურბლს გამხდარი ფეხებით და გავუდექი გამოგონილ გზას.

არადა, ყველაფერი რეალური იყო, გზაც, კაბაც, ჩემი სახლის ზურგს უკან მოხურული კარიც, ადამიანიც, ამ გზაზე რომ გავიყოლე.

ერთხელაც წავედი იმ ქვეყნიდან, სადაც დავიბადე, გავიზარდე, მიხაროდა, მწყინდა, სადაც მღალატობდნენ, ვღალატობდი, მიყვარდნენ, ვუყვარდი, ვტიროდი, ვიცინოდი, ბედნიერიც კი ვიყავი... ავდექი და წავედი.

ჩემგან გაქცევა და წასვლა რა გასაკვირია, თუმცა ის წასვლა მაინც ყველაზე უცნაური იყო, თითქოს ბედნიერების ლურჯი ფრინველი ვიპოვე და ცაში გავეკიდე. მართალია, ფიზიკურად რკინის ფრინველით მომიწია გაქცევა და გადევნება, თუმცა საშუალებას რა მნიშვნელობა აქვს, როცა ბედნიერებას მისდევ, ბედნიერებას, რომელსაც სულ შორს ვეძებთ ადამიანები. იქ, დედამიწის მეორე მხარეს, იდგა ადამიანი და ელოდებოდა რკინის ფრინველს, რომელიც მისი ბედნიერების მომტანიც უნდა ყოფილიყო. იდგა ვარდებით ხელში და თავდახრილი. ახლა, ამ გადმოსახედიდან, ეს ჩემი განვლილი ცხოვრების ყველაზე რომანტიკულ მომენტად მეჩვენება, თუმცა მაშინ ამას ვერ ვხვდებოდი.

სიახლე ყოველთვის შიშს იწვევს ჩემში, იმდენად სტაბილური ადამიანი ვარ, იმდენად კარგად ვგრძნობ თავს მოსაწყენი ერთფეროვნებით, რომ სიახლეები, თუნდაც ეს საუკეთესო ამბავი იყოს ჩემთვის, მაინც მაშინებს. ჰოდა, ასე შეშინებულმა დავადგი ფეხი მიწაზე, სადაც მუდამ მზე ანათებდა, მზე, რომელიც იყო რეალური, ადამიანი, რომელიც იყო რეალური და ის ვარდებიც კი. თუმცა მე ვიყავი უცხო და შეშინებული, რადგან არაა ადვილი, მიატოვო მოსაწყენი ცხოვრება და ასეთ ფერად ქვეყანაში წახვიდე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს რეალობა მე გამოვიგონე, მაინც ძალიან მკაფიოდ მახსოვს ჩვენი შეხვედრის პირველი ემოცია. მოსაცდელი დარბაზი სავსეა ხალხით, ზოგი მიემგზავრება, ზოგი ეს წუ- თია ჩამოვიდა, ზოგი ელოდება, ზოგს ელოდებიან და სწორედ მაშინ შემიყვარდა ადგილები, სადაც ადამიანები ელოდებიან ერთმანეთს. ლოდინი კი ყოველთვის რთულია, თუმცა ძალიან სასიამოვნო. ადამიანები ყოველთვის უკეთესი მომავლისთვის ველოდებით ერთმანეთს, მოვლენებს, ამბებს. ამ მზისფერი ქალაქის აეროპორტში უცნაურად ბევრ ადამიანს მოეყარა თავი. ვცდილობ, თვალებით ვიპოვო ბიჭი, რომლის გამოც მე დედამიწის მეორე მხარეს გაქცევა გადავწყვიტე, თუმცა ვერაფრით ავუარე გვერდი იმ ემოციებს, რომელიც ადამიანების ერთმანეთთან შეხვედრით იყო გამოწვეული. ჰაერში ბედნიერების სურნელი ტრიალებდა. საერთოდ, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილებს, სადაც განსაკუთრებული სურნელია. ეს მზისფერი ქალაქიც თავისებური სურნელით გამოირჩევა, მოტკბო სურნელით, სწორედ ასეთი სურნელია ჩემთვის ბედნიერების მომასწავებელი და მაშინ მივხვდი, რომ მე სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ის კი იდგა ყველასგან მოშორებით, თავდახრილი, თითქოს ვერ გამორკვეულიყო, ეს რეალობა იყო თუ ყველაფერი გამოიგონა. მე შორიდან ვუყურებდი, როგორ დასცქეროდა ყვავილებს, ალბათ ჩემკენ მომავალმა რომ შეიძინა რომელიმე მზისგან ოდნავ გარუჯული მეყვავილისგან, რომელიც, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად იქნებოდა მზისფერ ქალაქში მცხოვრები ერთ-ერთი პოეტის შთაგონების წყარო. ჰოდა, ალბათ, ახლა ის ქალბატონი გონებაში თხზავს სიყვარულის ამბავს, რომელიც ამ ყვავილების ჩუქების შემდეგ უნდა დაიწყოს, ან სულაც მოჰბეზრდა, მოჰბეზრდა ის, რომ მისგან ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ყიდულობს სიყვარულის მომასწავებელ საჩუქარს, მოჰბეზრდა ამ ამბების გამოგონება. იქნებ სულაც არაა ჩემნაირი ადა-

მიანი, სულაც არ ცდილობს სხვისი ცხოვრებისგან ამბების შეთხზვას. იქნებ სულაც აღარ უნდა მეყვავილეობა, ურჩევნია, სახლში სადილები აკეთოს და საღამოს მისმა საყვარელმა ადამიანმა, სხვა მისნაირი ყვავილების დიასახლისისგან ნაყიდი ყვავილებით უთხრას სათქმელი.

თვითმფრინავში ყოფნის დროს ათასჯერ წარმოვიდგინე ჩვენი შეხვედრის სცენა, თუმცა ამას ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს ყველაზე თამამი ბიჭი, ასე კუთხეში მიყუჟული და თავდახრილი დამელოდებოდა, რადგან ის ერთადერთია, ვინც სულ მელოდა. მე კი ვერ ვაიძულე თავი, მივსულიყავი მასთან, რადგან წლების წინ, მაშინ, როცა ცხოვრება ჯერ კიდევ მხოლოდ ნათელი ფერები იყო ჩემთვის, ის წავიდა, გაჰყვა რკინის ფრინველს და მე ვერაფერი გავაკეთე მის შესაჩერებლად. ვერ ვუთხარი, რომ ჩემი ცხოვრება თავდაყირა დადგებოდა მის გარეშე, რომ მას ჩემს გულში ადგილი სამუდამოდ მივუჩინე და ვერაფრით წარმოვიდგენდი მის წასვლას, ვერაფრით წარმოვიდგენდი ჩემს მომავალ ცხოვრებას მის გარეშე. ნათელი ფერებიც ჩაქრა და მე ძალიან შემიყვარდა უადამიანობით გამოწვეული სევდა, ჩემი ფუმფულა და უფერული საწოლიც. იქ კი, იმ მოსაცდელ დარბაზში, როგორც კი ის დავინახე, მივხვდი, რომ ამდენი წლის შემდეგაც ჯიუტად დაეკავებინა ჩემი გულის არცთუ მცირე ნაწილი, ჯიუტად გამოეხურა კარი, იმისთვის, რათა წლების შემდეგ ისევ მივმხვდარიყავი, რომ ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპზე ჩემთან იყო, ყველა გზაზე მომყვებოდა. ის ყველაზე რეალური იყო, რაც გამაჩნდა, თუმცა, რაც უნდა პარადოქსულად მეჩვენებოდეს, მაინც ასეა, მისკენ მიმავალი გზა გამოვიგონე.

მხოლოდ ერთი ფრაზა მახსენდება, მისი წასვლის წინ მხოლოდ ერთი წერილი, რომ ის უნდა წავიდეს. ჰოდა, მეც გავუშვი, არაფერი გავაკეთე მის შესაჩერებლად. წლები გავიდა და დედამიწის მეორე ნახევრიდან ასეთივე მოკლე წერილი მივიღე, ერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია ყველა სიტუაციაში და ურთიერთობაში. წერილში ეწერა: „მჭირდები“... ჰოდა, მე ახლა აქ ვდგავარ, მზისგან განათებული ქალაქის კარიბჭესთან და მას ვუყურებ. ყველა შეხვედრის სცენა უცებ მავიწყდება და აცახცახებული, ძალიან ნელი ნაბიჯებით მივდივარ მისკენ. თვალს არ ვაცილებ, თითქოს იგრძნო და ამომხედა. ვერაფრით ვიხსენებ, ეს მზერაც გამოვიგონე თუ მართლა ამდენ ურთიერთგამომრიცხავ გრძნობას იტევდა მისი თვალები – სიხარული, სევდა, ტკივილი, შიში, სიყვარული, იმედი. ყველაფერი შეიძლება ერთიანად დაგეუფლოს, როცა ვინმეს ეუბნები, რომ გჭირდება და ისიც მოდის. ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვიდექით, მე ვცდილობდი გამეღიმა, რომ მისი ამღვრეული გრძნობებისგან მხოლოდ სიხარული დამეტოვებინა და ყველანაირი შიში გამეფანტა. ყველაზე მეტად კი მისი დანაშაულის გრძნობის გაფანტვა იქნებოდა რთული, მთელი გზა ამას ვფიქრობდი, რთულია, გადააბიჯო თავიდან მიტოვების შიშს და ახალი გზა გამოძებნო მისაბრუნებლად. თუმცა დაბრუნებაც არაა, თუ წასულიც არ ხარ ადამიანისგან, ვერც შენგან გაუშვი, ამიტომ იყო ნაუცბადევი ჩემი გზა, რომელიც მასთან დასაბრუნებლად გამოვიგონე.

ახლა, როცა ჩემი ცხოვრების ბოლო დღეებს მორჩილად და მშვიდად მივყვები, ვფიქრობ, რომ ეს გამოგონილი გზა ყველაზე რეალურია მათ შორის, რაც კი გამივლია.

– მაპატიე! – ამ ერთ სიტყვაში ჩატია სინანული და მივხვდი, რომ ეს სიტყვა საკუთარ თავს უფრო უთხრა, ვიდრე მე. ამიტომაც ვაპატიე, რადგან არ მინდოდა, თავის თავთან ბრძოლა წაეგო. ვაპატიე, რომ ჩემი ცხოვრების გზები ობობას ქსელივით არია მისმა წასვლამ, მაშინ, როცა მე ცხოვრებისთვის ვერაფერი გამეგო და მთავარ გზაზეც ახალი შემდგარი ვიყავი. ამირია ყველა მომავალი გზა და ალბათ საკუთარ თავსაც აურია გზები, რომლებიც უჩემოდ გაიარა.

ნელი ნაბიჯით მივუახლოვდი, რადგან ნერვიულობისგან ფეხები მეკეცებოდა, თითქოს ახალი ნასწავლი მქონდა ნაბიჯების სწორად

გადადგმა. ალბათ შენიშნა და თავად მომიახლოვდა სწრაფად, თითქოს ეშინოდა, ზურგი არ შემექცია და არ წავსულიყავი ისე, როგორც წლების წინ წავიდა ჩემგან. მე მაშინ უკან არ მიმიხედავს, მეშინოდა, ვაითუ, არ გამომხედოს და სამუდამოდ ასე წასული დავიმახსოვრო-მეთქი, ამიტომ ჩქარი ნაბიჯით წავედი მისგან. ზუსტად მახსოვს, მისი შეხება ვიგრძენი თუ არა, იმწუთასვე მოვეშვი, მის ხელებს მივენდე. კარგად მახსოვს, როგორ იჭერდა ჩემს სიფრიფანა ხელებს, რომ თავი მყარად მეგრძნო, ყვავილებისთვის კი ვერაფერი მოეხერხებინა. ალბათ, მაშინვე მიხვდა, რომ არაფერში მჭირდებოდა სიყვარულის ასე დამტკიცება. ახლა რომ ვფიქრობ, არც მჭირდებოდა რამე ემტკიცებინა, რადგან ჩემთვის მთავარი იყო ის გზა, რომელიც ავირჩიე, მყარად და უკანმოუხედავად.

ახლა, როცა ამ საოცარ ქალაქში ჩამოვედი ცხოვრების წიგნის ბოლო ფურცლების დასაწერად და ამ წიგნის ყველაზე მნიშვნელოვან თავს ვწერ, ვხვდები, რომ იქ, იმ მზისფერ ქალაქში ჩასვლისას, სწორედ ისეთივე გრძნობა დამეუფლა, როგორიც ცოტა ხნის წინ რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში, როცა ასე მყარად და უკანმოუხედავად ავიღე გეზი საბოლოო გაჩერებისკენ და კიდევ ერთი გზა შევმატე ჩემს აბლაბუდად ქცეულ ცხოვრებას.

შემდეგი დღეები, რომლებიც თვეებად გადაიქცა, ზღაპარი იყო. ზღაპარი, სადაც მე მზისგან განათებულ ოთახში, ცხელი ჩაის ჭიქით ხელში, ყოველდღე ველოდებოდი მის დაბრუნებას სამსახურიდან და ყოველ დილით ნათქვამი – „გელოდები“ უამრავი სითბოთი მიბრუნდებოდა საღამოს.

ბედნიერი დღეები ერთმანეთს ჰგავს, უბედური დღეები კი ყველა თავისებურად განსხვავებულია. იმ დღეებში კი მხოლოდ ბედნიერების ადგილს ვტოვებდი გონებაში, მყარად მჯეროდა, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების მთავარი არჩევანი. ახლა კი ვიცი, რომ მე პარალელური გზა გამოვიგონე და ჩემმა რეალურმა ცხოვრებამ გვერდით ჩამიარა.

რაღაც უცნაური გავჩნდი, თავშივე ასე უცნაური ვიყავი, ალბათ. მუდამ მჭირდება აბობოქრებული ყოველდღიურობა, თუნდაც მაშინ, როცა საწოლში ვფლანგავ დღეებს. შემიძლია ბობოქარი ფიქრები უქმად წოლის დროსაც გამოვიგონო და გავყვე უსასრულობამდე, ავაგო გზები და უკან წამოსასვლელი გზაც თავადვე შევთხზა. დედა ამბობდა, ყოველთვის სიყვარულს ეძებ, ითხოვ და რეალურად თუ ვინმე გამოხატავს ამ გრძნობას შენდამი, მაშინვე გარბიხარო. ვფიქრობ, ამ პატარა ქალაქში, ამ მძიმე სენით გონებაამღვრეულიც, სწორედ ამ ბოლო დღეებში მისაღებ სიყვარულს გამოვექეცი, რადგან ყოველთვის მაშინებს, როცა ვინმეს ვუყვარვარ, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ოდესმე აღარ ვეყვარები და შემდეგ ამაზე დარდით უკან დასაბრუნებელ გზას ვეღარ ვიპოვი.

ამიტომაც იქ, იმ მზისფერ ქალაქში, უსაზღვრო სიყვარულით გაბედნიერებული, ერთ მზით განათებულ შუადღეს შიშმა შემიპყრო, დილით ნათქვამი – „გელოდები“, საღამოს სიტყვით – „უნდა წავიდე“ შევცვალე და, მიუხედავად მისი უამრავი არგუმენტისა, მაინც წამოვედი...

ბედნიერება ერთი კონკრეტული საგანი არაა, ფაზლია, ბევრი ნაწილისგან შემდგარი. ყველა რომ შევავსოთ, მოსაწყენია, ბევრი თუ აკლია – უბედურება, თუ ცოტა – მიზანი ახლოსაა და ოდნავ ინტერესს კარგავ. ხანდახან არასწორად ვსვამთ ფაზლის ნაწილებს, შემდეგ ძნელია იმ ნაწილების ამოღება, თუმცა უნდა მიხვდე ადამიანი, რომ ასე სწორად ვერ აეწყობა და უნდა შეძლო გამოსწორება, შეძლო გადანაცვლება ან თუნდაც არასწორი ნაწილის გადაგდება, სრული სურათის მიღმა დატოვება. ამიტომ ყველაზე რთულია, ბედნიერი იყო. ყოველთვისაა არასწორი და გადასანაცვლებელი ამბები, თუმცა ცხოვრებაც ხომ ასე უფრო საინტერესოა.

ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ ამ პატარა ამბის ჩასმით, ჩემი ცხოვრების ფაზლი გაცილებით საინტერესო გამოვიდა, თუმცა ამ თავს რომ ცალკე წიგნად ვწერდე, აუცილებლად დავარქმევდი „რა იქნებოდა, რომ...“

ბიჭი, რომელიც არ უნდა შემყვარებოდა

– ოდესმე შენ ჩემი წიგნის პერსონაჟი იქნები, – ვუთხარი და გავუღიმე, იმიტომ, რომ ღიმილი სწორედ მან მასწავლა.

ის იმსახურებდა ღიმილს, იმასაც, რომ ჩემი ცხოვრების წიგნის პერსონაჟი ყოფილიყო, ახლა ვფიქრობ, სულაც ერთადერთი, რადგან საკმარისი იყო მისი ყოფნა ჩემს ცხოვრებაში, სხვა არც არავინ მჭირდებოდა. მაგრამ არაა ასე მოწყობილი, ხანდახან ყველაზე არასაჭირო ადგილას აღმოვჩნდებით და მერე გზებს ვეძებთ, იქიდან თავის დასაღწევს. თუმცა ყოველთვის თუ არა, უმეტესად მაინც, ურთიერთობების დასრულების შემდეგ, მარტოობაში დასაბრუნებელ გზებს ძალიან ბევრი ტკივილით და დარდით დახუნძლული მივუყვებით. ჩემი წიგნის პერსონაჟი, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს მთავარ როლს, ახლა არაა ჩემთან. არც მაშინ უნდა ყოფილიყო, როცა იყო. თუმცა ყველაფერს იოლად უბრძანებ დამორჩილებას გულის გარდა, რომელიც ხანდახან სწორედ იმ ადამიანისკენ იწევს, რომელიც აკრძალულია. არადა, ვაშლზეც ხომ ვისაუბრეთ ამ წიგნში, ედემის ბაღის დაკარგვაზეც. ჰოდა, ასე დავკარგე ერთხელაც ჩემი ედემის ბაღი, აკრძალული ხილის გასინჯვის გამო.

ედემის ბაღი სიმშვიდეა ჩემთვის, სულის სიმშვიდე, არაფერი რომ არ მოასწავებს აბობოქრებას.

არ მიყვარს ზღვა, მხოლოდ სანაპირო, სადაც ყოველთვის საათობით შემიძლია ჩამოვჯდე და საათობით ვთვალო ტალღები მეცხრემდე და უკან. ყოველთვის მერვეს ველოდები, რადგან ვიცი, რომ მის მერე მოდის ის, ყველაზე დიდი – მეცხრე ტალღა. ჰოდა, ჩემთვის დიდი ტალღის მომასწავებელი წინამორბედი უფრო საინტერესოა, როცა იცის, რომ არაა მთავარი, თუმცა არც მეორეხარისხოვანია. ასეა ცხოვრებაშიც, აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც არც ბოლოა, თუმცა იცი, რომ არც მეორეხარისხოვანი. ჰოდა, ერთხელაც, როცა სანაპიროზე მორიგ საათს და მორიგ ტალღას ვითვლიდი, მზე დამიჩრდილა. მზესთან ერთად დაჩრდილა ყველა, ვინც ოდესმე მზის ან მთვარის შუქზე მინახავს. რამდენიმე წუთი დამჭირდა შემყვარებოდა. არასდროს მჯეროდა ერთი ნახვით შეყვარების, თუმცა როცა სიტყვა „არასოდეს“ ამბობ, ძალიან კარგად უნდა დაფიქრდე, არ შეიძლება ასე წამოისროლო სიტყვები. ამ ბიჭმა ბევრი „არასოდეს“ გადამაფიქრებინა.

– თავხედი ხარ და შენნაირი ბიჭი არასოდეს მომეწონება, – ვუთხარი, როცა იქვე ჩალით გადახურულ სახელდახელო კაფეში წვენს ვწრუპავდით. მზის დაჩრდილვის გამო ჩხუბში აყოლა ასე გამოასწორა, ცივი წვენით და უთბილესი ღიმილით.

ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი ბედნიერება და ყველაზე დიდი ტკივილიც ის აღმოჩნდა, ბიჭი, რომელიც არ უნდა შემყვარებოდა.

– მე თავხედი ვარ, შენ კი ის გოგო ხარ, რომელსაც ალბათ ყველა მამაკაცი ფეხქვეშ გეგება. მე კი აქ, ამ ჩალით გადახურულ ქვეყანაში სახელდახელოდ ასევე ჩალით გადახურულ კაფეში ვზივარ შენთან ერთად და მგონია, ლატარია მოვიგე, პრიზი კი მზისგან გარუჯული ბუტია გოგოა.

იმ წუთებში მეგონა, რომ მასაც შევუყვარდი, ან მე მინდოდა, შევყვარებოდი. ძალიან მინდოდა ამ თავხედ ბიჭს ვყვარებოდი, ბიჭს, რომელიც ისეთი ხალისიანი იყო, ვერაფრით ვხვდებოდი, როდის ხუმრობდა და როდის ამბობდა რამეს სერიოზულად. თუმცა მე მივხვდი, რომ ჯობდა მეცინა მის ყველა ფრაზაზე, რადგან მისი თქმით, სიცილი მიხდებოდა.

ჩვენი თავგადასავალი სულ ორიოდე კვირა გაგრძელდა, ორი კვირა ყოველდღე ვარღვევდი პირობას და ვივიწყებდი სიტყვას „არასოდეს“. ყველაზე დიდი პრინციპი კი მაშინ დავარღვიე, როცა მითხრა, რომ მას სხვა ადამიანი ელოდა სახლში, ყველაზე დიდი „არასოდეს“ მაშინ

ვთქვი. არ ზის ჩემს ხასიათში, არ ვიყო ჩემი სქესის სოლიდარული. არც საპირისპიროს ვერჩი რამეს, თუმცა ჩემნაირი სიფრიფანა გოგონების ცრემლებად არავის ბედნიერება არ ღირს. არის ხოლმე გატაცებები, რომელიც შეიძლება ისე გაატარო, რომ არავინ დაზიანდეს. მით უმეტეს, მე, ასეთი უსაშველოდ მარტო და თავისუფალი, დროდადრო ვერც კი ვარჩევ, გატაცებაა თუ სიყვარული, მაინც ვერასოდეს გავუბედავდი თავს, სახლში მომლოდინე გოგოს მეორე ნახევარი შემყვარებოდა. თუმცა ცხოვრება დამცინავია, ადგა და ყველაზე რთული თავგადასავალი სწორედ ისეთ დროს და ადგილას შემახვედრა, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა, ვინმე მყვარებოდა.

არის ცხოვრებაში დღეები, როცა არ გგონია, რომ ცოცხალი ხარ, რაღაცნაირად გვერდიდან უყურებ შენს თავს და ცხოვრებას. გინდა, რომ დაიძინო და ეს არაფრისმომცემი, უსიცოცხლო დღეები მალე გავიდეს, თუნდაც კარგი ამბებიც გაგეპაროს ძილის დროს.

არ ვიცი, რას ფიქრობენ ადამიანები, როცა იციან, რომ სახლში ელოდებიან, ისინი კი სხვა ადამიანს ირჩევენ მოსაუბრედ, თუნდაც ასე, შემთხვევით. არასოდეს გამომიცდია ეს, ამიტომ მიჭირს მათი გაგება, არავინ დამლოდებია სამუდამოდ სახლში, არც პირობა მოუცია სიკვდილამდე – ჭირშიც, ლხინშიც ჩემთან ყოფნის. ალბათ ამიტომაც იმდენად ძვირფასი იყო ჩემთვის ეს დაპირება და ეს ფრაზა, სამუდამო სიყვარულისგან გამოწვეული, რომ თავს პირობა მივეცი, არასოდეს შემყვარებოდა ის ადამიანი, რომელსაც სახლში ამ ფიცის მოზიარე ელოდა.

თუმცა, როგორც თავში ვთქვი, ამ ბიჭმა ყველა „არასოდეს“ დამარღვევინა, ყველა დაპირებაზე უარი მათქმევინა.

– მე და შენ მეგობრები ვართ და იცოდე, არ უნდა შეგიყვარდე! – იმ დროს მითხრა, როცა უკვე ძალიან მიყვარდა.

შემიძლია ჩემს წიგნში ისე დავწერო ეს ამბავი, რომ თავი მართალი გამოვიყვანო მკითხველის წინაშე, მაგრამ მან ხომ იცის, მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მარტო არ იყო. თუმცა ჩემ გვერდით სულ სხვანაირად ხალისიანი და ბედნიერი მეჩვენებოდა. ან სულაც არ მომჩვენებია, რადგან გულის სიღრმეში ყველას ძალიან კარგად შეგვიძლია რეალობის დანახვა, უბრალოდ ზოგჯერ არ გვინდა და არ ვხედავთ. ალბათ ასე იყო ადამი ევათი მოჯადოებული, ის ყველაზე აკრძალული ხილი რომ მოწყვიტა და ერთად დააგემოვნეს. მგონი, ეს დაპირებაც იქ გაჩნდა, ლხინიც და ჭირიც, სიკვდილამდე ერთად ყოფნაც, რადგან სიკვდილიც მაშინ გაჩნდა, ედემის ბაღი რომ დაკარგეს. ჰოდა, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ყველაზე მხიარულ ბიჭს აკრძალული ხილი შევაჩეჩე. ახლა ვფიქრობ, რომ ყველა ნორმალური ადამიანი ამ ამბავს ისე დაწერდა, რომ თავი მართალი გამოეყვანა. შემეძლო სინდისდამშვიდებულს გადამეფურცლა ეს თავი და გადავსულიყავი შემდეგზე. ვერ გამოვა ასე, არ შემიძლია. არ ვიცი, სხვა დროს რას ვიზამდი და როგორ. ახლა, როცა ჩემი ცხოვრების ფურცლები დათვლილია, ვერაფრით ავკიდებ ჩემს დანაშაულს სხვას, მით უმეტეს, ბიჭს, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა, ბიჭს, რომელიც ისე წავიდა, რომ არასოდეს არაფერი მწყენია მისგან.

სანამ წავიდა, სანამ ის დღეები იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, საათები ძალიან სწრაფად გადიოდა, დრო მირბოდა და მე ძალიან მინდოდა შეჩერებულიყო. ახლაც კი, როცა ჩემი ცხოვრება სადაცაა მიილევა, არ ვნატრობ, დრო გაჩერდეს. დრო არ უნდა გაჩერდეს, აუცილებელია წინსვლა, მაგრამ მაშინ, როცა აკრძალული ბედნიერება იპოვე და იცი, რომ აუცილებლად უნდა გაუშვა, დრო უნდა გაჩერდეს, უნდა გაცადოს ბედნიერება, თუმცა, როგორც სულ ვამბობ, არაა ეს ცხოვრება ისე მოწყობილი, როგორც გვინდა და როცა ამას იაზრებ, ცოტა უფრო ადვილია, უკანა გზა გამოიგნო არასწორი დანიშნულებით წასულმა.

იმ დღეების განმავლობაში ჩვენ ბევრი ვიცინეთ, ბევრჯერ თვალიც ავარიდეთ რეალობას და სიცილი გავაგრძელეთ. თვალი ვერ გავუსწორეთ მოახლოებულ დასასრულს, რომელიც გა-

რდაუვალი იყო. არა იმიტომ, რომ არ გვინდოდა ერთად ყოფნა, უბრალოდ არ შენდება ბედნიერება სხვის უბედურებაზე, დროებითია და აუცილებლად მალე ინგრევა. ცოტა მაინც ვიმშვიდებ თავს იმით, რომ არაფერი გამიკეთებია მის შესანარჩუნებლად. უბრალოდ, ავდექი და ის დაუვიწყარი დღეები ბედნიერი ვიყავი. ვხედავდი, ისიც. ვხედავდი, რომ რაც მეტად შევდიოდით ბედნიერების ზღვაში, მით მეტად გვაშინებდა ის მეცხრე ტალღა. ძალიან ვცდილობდით, მერვე ტალღის დასასრული გადაგვედო და ასე გაგვეხანგრძლივებინა მზიანი დღეები. თუმცა ყველაფერი სრულდება, ყველა ამბავს აქვს ფინალი. ის იმდენად კარგი ბიჭი იყო, რომ არც მე და არც მეორე ჩემნაირი გოგო გაიმეტა ტკივილისთვის – მხოლოდ საკუთარი თავი. ამიტომ, როცა ვინმეს ღალატს გავიგებ, სულ წარმოვიდგენ, რომ ხანდახან არ რჩება ადამიანს სხვა გზა, ან კარგავს უკან გამოსაგნებ ბილიკს, ან... ბევრი „ან“ არის ასეთ დროს. ჩვენ კი უბრალოდ ერთმანეთთან მისვლა დაგვაგვიანდა. ხანდახან წარმოვიდგენ, რა მოხდებოდა, რომ არ წასულიყო, რა მოხდებოდა, რომ მებრძოლა, რამე მაინც გამეკეთებინა იმისთვის, რომ ბიჭი, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა, ჩემთან ყოფილიყო. ახლა ხომ ჩემთან ერთად დაელოდებოდა ჩემს დაძინებას, ის ხომ ბოლო იქნებოდა, ვისაც დავინახავდი. გავიყოლებდი მის ღიმილს სიზმარეთში, თუმცა არაფერი გავაკეთე, ზღვის ნაპირას ჩალით გადახურულ კაფეში გამოვიტირე ჩემი ჩალით გადახურული ბედნიერება, პირველივე წამოქროლაზე რომ გადახადა სახურავი ქარმა, პირველივე შიშზე დაიკარგა ყველაფერი. სიყვარული საშიშია ზოგჯერ, ჩვენ კი ნამდვილად შეგვიყვარდა ერთმანეთი. წასვლით კი იმიტომ წავიდა, რომ მე არ მივაჩნდი მეორეხარისხოვან პერსონაჟად მისი ცხოვრების წიგნში.

– შენ ერთადერთობისთვის ხარ გაჩენილი, შენ პირველიც უნდა იყო და უკანასკნელიც, შენ ჩემი საყვარელი გოგო ხარ და ამიტომ მე ვერ გაგიმეტებ, ვინმეს კუთვნილ სიყვარულს გინაწილებდე. შენ სულ უნდა იღიმოდე. თუკი ოდესმე გყვარებივარ, ეს თხოვნა შემისრულე, რომ გაიღიმო მთელი ცხოვრება.

ჩემგან მიდიოდა ბიჭი, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარდა და მთხოვდა, გამეღიმა სამუდამოდ. ახლა, როცა ამას ვწერ, ვიღიმი, რადგან ასე მთხოვა. ყველაზე ცუდად რომ ვარ, ვცდილობ გავიღიმო, გავიხსენო, რომ შევპირდი ღიმილს. თუნდაც ჩემი ცხოვრების ბოლო სიცილებს და ღიმილებს ვითვლიდე, მაინც მისი დამსახურებაა ის, როგორიც გავხდი – დავიჯერე, რომ ადამიანებს შეუძლიათ სიყვარული. შეუძლიათ ისე უყვარდეთ, რომ ვერ გაიმეტონ, მეორეხარისხოვან პერსონაჟად აქციონ საყვარელი ადამიანი.

– შენ ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი მოგონება იქნები. სიბერეში ფუმფულა დივანზე მიწოლილი, პლედმოხურული, შენ გაგიხსენებ, როგორც ყველაზე ნამდვილს ჩემს ცხოვრებაში. შენ აუცილებლად იქნები ჩემი წიგნის პერსონაჟი. არ იდარდო, მე კარგად ვიქნები.

მაშინ მეგონა, ამ ბოლო ფრაზას ვატყუებდი, რადგან ვერაფრით ვიჯერებდი, რომ იმ დღიდან შეიძლებოდა რამე კარგად ყოფილიყო. თუმცა დრო, რომელიც ვერაფრით გავაჩერე, მკურნალია, სწორედაც იმით, რომ არ ჩერდება და სულ გაიძულებს წინ იარო, შენი ტკივილით, სიცილით და თუნდაც ბედნიერებით.

მაშინ მეგონა, ბოლო ფრაზა მოვატყუე. არადა, მე ხომ არასოდეს ვიტყუები, თუმცა ყველა „არასოდესზე“ უარი მათქმევინა. ტყუილით კი ჩემი სიბერე მომიტყუებია უნებლიედ, რადგან იქ იმ თეთრხალათიანებმა თქვეს, ვერ გამოვა სიბერეში მოგონებების გადამეორებაო. ჰოდა, მეც აგერ წიგნად ვაქციე ჩემი მოგონებები, ეს ბიჭი კი ნამდვილად იმსახურებს ჩემს წიგნში იყოს და ეს თავი ერთმა მკითხველმა მაინც წაიკითხოს, ფუმფულა დივანზე მიწოლილმა პლედით.

ასე დავკარგე ბიჭი, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა, თუმცა არც ერთი გოგო არ იმსახურებს მეორე გოგოს გამო ტირილს.

ღირდა ამ კარგი ბიჭის გამო პირადი ედემის ბაღის დაკარგვა, თუნდაც რამდენიმედღიანი ბედნიერების სანაცვლოდ.

ყველა პირობა დავარღვიე და ყველა წესი, თუმცა ერთი კი ნამდვილად ავუსრულე – ჩემი წიგნის პერსონაჟია, რომელმაც დამავიწყა სიტყვა „არასოდეს“.

მან ყველა ბიჭი გაამართლა ჩემნაირ სიფრიფანა გოგოსთან, ყველა ბიჭი, ვისაც ოდესმე გოგო მიუტოვებია.

– არ შეგიყვარდე! – მითხრა თავიდან.

– არასოდეს შემიყვარდება შენნაირი თავხედი...

ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა თქვა სიტყვა „არასოდეს“.

სიყვარული კი ზოგჯერ ედემის ბაღს გვაკარგვინებს, თუნდაც დროებით. მთავარია, სწორი გზა იპოვო, სიმშვიდეში დასაბრუნებელი.

ბიჭი მეზობელი ქუჩიდან

(ბოლო სიცოცხლე)

ამ ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ, რამდენიმე ხანს, სახლიდან არ გავსულვარ. ალბათ, ასე უფრო მგონია, რომ ვიმალები. ახალ გარემოსთან შეგუების ამბავია ეს დამალვა, თუმცა სამუდამოდ ვერ დაიმალები, მაინც მოგიწევს, ზღურბლს გადააბიჯო და ნისლისფერ ქალაქში ადამიანების ფუსფუსს აჰყვე. თუმცა, სანამ ეს გავიაზრე, ცოტა ხანს სახლის ფანრიდან ვუყურებდი ნისლისფერ ქალაქს. საბოლოოდ მაინც გავბედე, თავი შინაურად მეგრძნო და გარეთ გავსულიყავი.

ჩემი ახლანდელი სახლი, როგორც გითხარით, ძველია, თუმცა მაინც ეტყობა, რომ თავის დროზე სხვა სახლებისგან განსხვავებული პროექტით აუშენებიათ. სავარაუდოდ, სახლის თავდაპირველი მეპატრონეები ცდილობდნენ, მათი საცხოვრებელი სხვებისგან გამორჩეული ყოფილიყო. ხანდახან იმდენად გვინდა, გამოვირჩეოდეთ გარშემომყოფთაგან, რომ ყველაფერს, რაც ჩვენ გვიკავშირდება, განსაკუთრებული სიფრთხილით ვაშენებთ, ვცდილობთ მხოლოდ ჩვენს სახელთან ასოცირდებოდეს. თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ არაფერია ისე მოსაწყენი, ვიდრე გამორჩეულად ყოფნის სურვილი. ადამიანები ისედაც ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან, რა საჭიროა გამორჩეულობისთვის ათასი ნივთმტკიცება, როცა ცხოვრება ასე ხანმოკლეა, ასეთი წამიერი. თუმცა ამგვარ ამბებზე მხოლოდ ფინალში ვფიქრობთ, მაშინ, როცა ყველაფერი უკვე ძალიან გვიანია და მხოლოდ უძვირფასესი გვრჩება, დათვლილი წუთები, როცა ვხვდებით, რომ უნდა მოვასწროთ, მოვასწროთ სიყვარული და აი, სწორედ ასეთი მოსასწრები სიყვარული მოვიდა მაშინ, როცა ყველაფერი დასრულებული მეგონა.

შორიდან არა, ამ უცხო ქალაქში, ყველაზე ახლოდან მოვიდა, მეზობელი ქუჩიდან. იმდენად ახლოს იყო, რომ მზე ერთდროულად ამოდიოდა ჩვენთვის და წვიმაც ერთდროულად ასველებდა ჩვენს სახურავებს. ჩიტებიც კი ერთი და იმავე სიმღერას გვასმენინებდნენ დილაობით.

ერთ დღესაც, როცა სახლის ძველი კარი დაჟანგებული გასაღებით ჩავკეტე და ქუჩას გავუყევი, წინ შემხვდა. ამ ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ ერთი უცნაური ჩვევა დამჩემდა, ყველა შემხვედრს ვესალმები. ქალაქში, სადაც არავის სახელი არ ვიცი, ასე უბრალოდ და უსახელოდ ვესალმები ყველას. ერთ დღესაც ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანს მივესალმე. მისი სევდიანი თვალები მეტს მიამბობდა, ვიდრე მასზე დაწერილ წიგნს შეეძლო მოეყოლა და მე ძალიან მომინდა, ყველაფერი გამეგო მასზე მაშინ, როცა ჩემი ცხოვრების წიგნში სულ უფრო ცოტა ადგილი მრჩებოდა ადამიანების ჩასაწერად. სხვა გზა არ დამიტოვა და ემოციების ზღვა დამატეხა თავს. ემოციები კი არაფერში მჭირდებოდა მაშინ, როცა მხოლოდ სიმშვიდე უნდა დამემახსოვრებინა, ძილის წინ გამეღიმა და ასე, მთელი ცხოვრების ყველა თავის გადაკითხვის შემდეგ დამეძინა. არაფერი ხდება ისე,

როგორც ვგეგმავთ. როგორც უნდა ვეცადოთ, ცხოვრება აუცილებლად გვახვედრებს სიახლეებად ამოზრდილ ყვავილებს გზაზე, ზოგი შხამიანია, ზოგი სურნელოვანი და სასარგებლო, ზოგიც ეკლიანი, ძნელად მოსაკრეფი, თუმცა ხელებდაჩხვლეტილები ვხვდებით, რომ ბედნიერება მოითხოვს ბევრ ტკივილს. თუნდაც ეკლებით დავიკაწროთ, სიხარული ყველაზე უებარი წამალია უსაშველო ტკივილის შემდეგ. სწორედ ასე იწერება ცხოვრების წიგნი, სათუთად მოვლილი ხელებით კი მხოლოდ გამოგონილი ამბები შეგვიძლია ვწეროთ. ალბათ ამიტომაც იყო ჩემი ზოგიერთი წიგნი ცუდი, ზოგი კი – უარესი. ვგრძნობ, სიმშვიდის დროს თუ ვწერ, მხოლოდ წერას ვსწავლობ ამ დროს და ემოციები სადღაც უგზო-უკვლოდ ქრება. სიმშვიდეც ხომ უსაშველოდ მოსაწყენია ზოგჯერ. ამიტომ, თუ ისე მოხდა, რომ ცხოვრებამ გვერდი აგვიარა და გზაზე ყვავილებად ამოზრდილი სიახლეების დახვედრება დაავიწყდა, ჩვენითვე ვრგავთ უმეტესად ეკლიან ყვავილებს, რომ შემდეგ ჩვენვე დავიკაწროთ სათუთად მოვლილი ხელები. ტკივილიც საჭიროა ბედნიერებისთვის, რომელიც იმდენგვარ სახეს იღებს ზოგჯერ, თვითონ ვერ გაგვირჩევია, ბედნიერებაა ეს თუ უბრალოდ ილუზია, რომელიც ყველას სჭირდება, ჩემს ეულად მიტოვებულ კატასაც კი, რომელიც ალბათ ამ მცირე დროში შეეჩვეოდა ჩემს მოხუც მეზობელს, იმიტომ, რომ ის კვებავს ყოველდღე. წყალს ვინც უსხამს, მცენარეც სწორედ მისთვის ისხამს ყვავილს. კატაც ასეა, სავარაუდოდ, თუმცა კატობაც ცოტა უფრო რთული ამბავი მგონია და ვერც ბოლომდე ჩავწვდი მის ბუნებას, რადგან არ დაგვცალდა დიდხანს გვეცქირა და შეგვესწავლა ერთმანეთი. ამიტომ ვინ იცის, იქნებ სულაც აღარ ზის იმ ფანჯრის რაფაზე, სადაც ბოლოს ვნახე. იქნებ სულაც ახალი პატრონი შეიყვარა, რადგან მისი ლოდინი არ მოუწევს, რადგან ის არ მიდის შორს. თუმცა მე მაინც უფრო მეტად მისი ლოდინის იმედი მაქვს, რადგან კატების ერთგულების უფრო მჯერა, ვიდრე ადამიანების. რას გავუგებ კატას, როცა ამდენ ადამიანს ავუარე გვერდი ცხოვრებაში, ზოგთან დიდხანს გავჩერდი და ზოგს არც კი მივესალმე, მხოლოდ გავუღიმე. თუმცა სწორედ ასეთი გაღიმებებია ზოგჯერ საბედისწერო.

ასეთი გაღიმებით დაიწყო ჩემი უკანასკნელი სიყვარულიც.

არაფერია იმაზე ადვილი, სიკვდილს აღარ ელოდებოდე, აღარ გეშინოდეს, რადგან მან ჩემს შემთხვევაში დაკარგა ყველაზე დიდი იარაღი – მოულოდნელობის ეფექტი. როცა მოლოდინი გაქვს, უკვე იოლია შეეჩვიო, შეეგუო, მოასწრო ყველა საქმე, რომელიც დაწყებული გვქონდა. ისე არ მოხდება, დილით მოკვდე უეცრად და მხოლოდ ნაშუადღევს გაიაზროს საუკეთესო მეგობარმა. დაგეგმილი წასვლაა, თუმცა, როგორც ვთქვი, არასოდეს ხდება ყველაფერი ისე, როგორც ვგეგმავთ. ჩემს ცხოვრებაში კი განსაკუთრებით, არსაით მიმავალ გზაზე მოულოდნელად ამოზრდილი ყველაზე ეკლიანი ყვავილი დილით შემხვდა და მომესალმა, მაშინ, როცა მე მისი სახელიც კი არ ვიცოდი. ჩვენ ერთმანეთს გვერდი ავუარეთ, თუმცა მალევე მივხვდი, რომ კიდევ რვა სიცოცხლეც რომ ეჩუქებინა ვინმეს, მას გვერდს ვერასოდეს ავუქცევდი და აუცილებლად შევჩერდებოდი.

ამბავი კი მაშინ დაიწყო, როცა მეორე დილით ჩემი სიძველისგან დაჟანგებული კარი გავაღე და კიბის საფეხურზე ქოთნით ია დამხვდა. ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს, ასე თავაღერილი და სიცოცხლით სავსე, თითქოს თვალებს აფახურებდა კიდეც ჩემს დანახვაზე, მეტად რომ მომწონებოდა და სახლში შემეტანა, რადგან ია სახლის ყვავილია და ძალიან უყვარს ფანჯრის რაფაზე შემოსკუპება. ასე მზესაც ხედავს და თან ემალება. ყველაზე მეტად ალბათ ეს ყვავილი მგავს და ამას ახლა მივხვდი, როცა ასე უეცრად გაჩნდა ჩემი სახლის ზღურბლთან.

საზრუნავი გამიჩნდა, ახალი ბინადარი შემოსკუპდა ფანჯრის რაფაზე და გულის სიღრმეში იმედი გააღვიძა. იმედი, რომელიც არაფერში სჭირდება ჩემნაირ ადამიანს, საჩუქარი კი ჩემს ფაშფაშა მეზობელს დავაბრალე, რომელიც ყო-

ველთვის განსაკუთრებული სიყვარულით მკითხულობს. უფრო სწორად, წიგნის ამბებით არის დაინტერესებული და ზოგჯერ ცოტათი სწყინს, რომ არ ვუყვები მცირე ნაწილს მაინც. ხან ჩემს საყვარელ კენკრის ნამცხვარს მიცხობს და ხან ათასგვარ ხილს მომიტანს ხოლმე თავისი ეზოდან. ის მარტო ცხოვრობს და ხშირად ვფიქრობ, რომ ეს წიგნი მისთვისაცაა. ალბათ ვერც კი წარმოიდგენს, როგორ მამხნევებს მისი ყოველი მოკაკუნება კარზე. ან იქნებ პირიქით, ჩემი არსებობა უფრო ამხნევებს სიმარტოვეში, მასაც საზრუნავი გაუჩნდა ჩემი აქ ყოფნით და ალბათ იაც მისი საჩუქარია. ასე ვფიქრობ და დედაჩემის დარიგებას ვიხსენებ ყვავილებთან დაკავშირებით, იმას, რომ იას ბევრი მზე და წყალი არ სჭირდება, ფანჯრის რაფაზეც არ უნდა ხვდებოდეს ბევრი სინათლე, ერთხელ კიდეც მითხრა, რომ მე იას ვგავარ.

ყოველდღიურ რიტუალად ვაქციე სახლის კარის გარედან დაკეტვა ძველი გასაღებით და ქალაქში გასვლა. იმ დღეს ძალიან მომინდა ჩამოსვლის ადგილას დაბრუნება და სადგურისკენ გავემართე. ახლა უფრო მეტი დრო და ენერგია მქონდა, დავკვირვებოდი იმ ადგილს, საიდანაც ეს ქალაქი იწყება ჩამოსული სტუმრებისთვის. სტუმარი კი ამ ქალაქში იშვიათია, სადგურსაც კარგად ეტყობა ეს. ახლა, როცა მეტი დრო მაქვს დაკვირვებისთვის, კარგად ვამჩნევ დეტალებს. მოსაცდელ დარბაზში ისეთივე ნესტის სურნელი ტრიალებს, როგორიც ჩემს სახლში იყო პირველ დღეს, სანამ გავანიავებდი. მოსაცდელ დარბაზს კი ერთი ფანჯრის მეტი არ აქვს, ისიც ისეთ სიმაღლეზეა, ვერავინ მიწვდება, რომ გამოაღოს. რა საჭიროა ფანჯრები, რომლის გაღებაც არ შეგვიძლია? რომელიც ჟანგბადის წყარო ვერაა? მზეს ხომ არ აქვს მნიშვნელობა ჰაერის გარეშე, ის ხომ მხოლოდ მზის სხივებს არეკლავს ფანჯრის მინაზე, რომელიც საღამოს მთებს მიეფარება. აი, ჰაერმა კი მუდამ შეიძლება იტრიალოს ღია ფანჯარაში, ამიტომ ფანჯრები ისეთ სიმაღლეზე უნდა იყოს, შევძლოთ გავაღოთ. ამ ფიქრებში გართული ხმამ გამომაფხიზლა:

– ყვავილი სწორად გამოვიცანი?

ეს იყო კითხვა, რომელიც ყველაზე მეტად დამაბნევდა იმწუთას და ასეც მოხდა. ის ჩემ უკან იდგა და თავდაჯერებულად იღიმოდა. ასე მხოლოდ მაშინ იღიმიან, როცა მოულოდნელობის ეფექტი ამართლებს. სადღაც გამქრალიყო მისი სევდიანი თვალები და იმწუთას, იმ ცარიელ სადგურში, სადაც იმდენად იშვიათად ჩამოდის ვინმე, რომ ბაქანზე ბალახსაც კი ამოუწვერავს თავი, ჩვენ ყველაზე ბედნიერი ადამიანები ვიყავით, მე – მოულოდნელობით, ის – ჩემი გაკვირვებული სიხარულით. სიჩუმეს კი მხოლოდ ხეების შრიალის ხმა არღვევდა, რომელიც ღია კარიდან შემოდიოდა და მაშინ მივხვდი, როცა ფანჯრები არ იღება, აუცილებლად არსებობს ერთი კარი მაინც, რომელიც ბედისწერას რჩება ღია, იმისთვის, რომ სუნთქვა გავაგრძელოთ. ასეთი კარიდან შემოდიოდა ხეების შრიალი, ჩვენ ერთმანეთს ვუყურებდით და იქ მივხვდი, რომ ადამიანი, რომლის სახელიც კი არ ვიცოდი, გახდა ჩემთვის ის, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი. სწორედ ამ წუთისთვის გამოვიარე ამხელა მანძილი, სწორედ იმწუთას გავხდი მადლიერი ჩემი თეთრხალათიანი მეგობრებისა და უცებ იმასაც მივხვდი, რომ ცხოვრება მაშინაც კი შეიძლება გაგრძელდეს, როცა სრულდება. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ფურცელი დარჩა ჩემი ცხოვრების წიგნში, მთავარია, რომ ყველაზე მეტად ეს ფურცლები დაინტერესებს მკითხველს, რადგან ყველაზე მეტად ამბის ფინალი გვაინტერესებს ხოლმე. ასეა ეს. ბოლოს ყველაფერი აზრს კარგავს და მთავარი რჩება, მთავარი კი ყოველთვის სიყვარულია, თუნდაც ქოთანში გადარგული იის, რომელიც ვერსად წავა გარდა ფანჯრის რაფისა. თან თუ მის ცხოვრებაში ადამიანი გამოჩნდა, რომელიც წყალს დაუსხამს, ის მხოლოდ მისთვის მოისხამს ნაყოფს.

– მოდი, ერთად ვიაროთ ამ ყველასგან დავიწყებულ ქალაქში, ქალაქში, რომელიც ჭაობივით ითრევს ადამიანებს. იცი, ჭაობი არაა ყოველთვის საშიში, ეს ჭაობია, საიდანაც გაქცევა არ უნდა მოგინდეს, მე კი ვეცდები, მყარად მეჭი-

როს შენი ხელი და არსად გაგიშვა, – მითხრა და მე, ყველაზე ცივ ადამიანს, სხვა გზა აღარ დამიტოვა, ერთი ნაბიჯი გადავდგი და ჩავეხუტე, ისე, როგორც არავის ჩავხუტებივარ. თითქოს ასე, უსიტყვოდ მინდოდა მისგან ყველაზე ძვირფასი მეგრძნო, მისი გულის ფეთქვა დამეთვალა, სინქრონში იყო თუ არა ჩემს გულთან. არადა, კარგად ვიცი, მამაკაცის გული უფრო სწრაფად ფეთქავს. თუმცა ძალიან მომინდა მისი გულის ფეთქვისთვის ამეწყო ჩემი გულის რიტმი და კიდეც გამომივიდა.

– ვიაროთ, – მხოლოდ ეს ვუთხარი და ხელი ჩავკიდე.

იმ წუთიდან განათდა ნაცრისფერი ქალაქი, იმ წუთიდან ჩემი სიმარტოვე გაიყოლა ნისლმა, რომელიც გაიფანტა და მხოლოდ მზის სხივები მათბობდა წვიმიან ამინდშიც კი. მე აღმოვაჩინე ქალაქი, სადაც ყველა მცხოვრები წიგნის პერსონაჟია, მეორეხარისხოვანი, თუმცა აუცილებელი.

ხელის ჩაკიდება ყველაზე დიდი სითბოს გადაცემა მგონია ადამიანებს შორის, ასე ვცდილობთ, ერთმანეთს გავუნაწილოთ გამოზოგილი სითბო, სიმშვიდე. ვცდილობთ, ხელისგულებში მოვაქციოთ საერთო სივრცე და მთელი დაგროვილი წუხილი, სიხარული იმ პატარა სივრცით გადავცეთ ერთმანეთს.

ბევრი ადამიანის გვერდით გამივლია, ზოგთან, როგორც მოგახსენეთ, შევჩერდი კიდეც. თუმცა, თუ კარგად დავფიქრდები, ხელი არავისთვის ჩამიკიდია და არ წავსულვარ ასე უგზოდ და უმისამართოდ. რა ბედის ირონიაა, სულ ცოტა ხნის წინ, სწორედ ამ ყველასგან მიტოვებულ სადგურში ჩამოვედი ასე და ხელი მხოლოდ ჩემი ამაყად სახელურაღერილი ჩემოდნისთვის მქონდა ჩაკიდებული, თითქოს ვეყრდნობოდი. ჩვენ ვერაფრით გვექნებოდა საერთო სივრცე, რადგან ადამიანს ნივთები ვერ ანიჭებს ისეთ სიმშვიდეს, როგორც შეიძლება სწორად არჩეულმა ადამიანმა მიანიჭოს. ამიტომ მიკვირს ყოველთვის იმ ადამიანების, რომლებიც მატერიალურ სიკეთეებზე იმდენს ფიქრობენ, რომ მათ გონებაში ადგილი არ რჩება ადამიანებზე საფიქრად. ამიტომაც მიკვირს ჩემი ახლანდელი სახლის ყოფილი მეპატრონეების, რატომ ააშენეს ასეთი განსხვავებული, ასეთი ყველა დეტალგათვლილი სახლი? რა საჭიროა სახლის შენებას შეალიო ძვირფასი წუთები, თუ საბოლოოდ მაინც არ იცხოვრებ იქ? მთავარია, ვისთვის აშენებ, ვის უნდა გაუნაწილო, ვისთვის გემეტება ეს სივრცე გასაყოფად.

არ მახსოვს, რამდენ ხანს დავდიოდით ასე ხელჩაკიდებული. მახსოვს ადგილები, სადაც მივედით, თუმცა ჩემთვის ამ წუთამდე ყველაზე ძვირფასი ადგილი მაინც სადგურია, რომელიც ადრეც ყველაზე დიდი სიყვარულის მოწმე მეგონა და ახლა ჩემს თავზე გამოვცადე.

პარადოქსია, მაგრამ ადამიანებისგან გამოქცეული, ამ ბიჭმა ისევ ადამიანებთან დამაბრუნა.

სიმართლეს რომ გავუსწორო თვალი, მე არაფერში მჭირდება ადამიანებთან დაბრუნება, ყველაზე მეტად რაც არ მჭირდება, სწორედ ესაა.

ისიც კი არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი, რა დრო დამრჩა დაძინებამდე. ახლა ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა, ეს თავიდანვე მეკითხა ჩემი თეთრხალათიანი მეგობრებისთვის.

არც ეს ფიქრები მჭირდება, მაგრამ მე უფრო დიდი შიში იმის მაქვს – იმედიც არ მჭირდება, ადამიანს, რომელმაც კატაც კი მივატოვე, იმისთვის, რომ იმედით ეცხოვრა. უიმედობით ვარსებობდი ამ საოცარი ბიჭის გამოჩენამდე, რომელსაც არც კი ვიცი, როგორ გავუმხილო ის, რომ...

ის, რომ იას თავად უნდა მოუაროს...

ხანდახან სადგურშიც მივიდეს...

გაიხსენოს, რომ ოდესღაც მე მისი გულის რიტმს ვუსმენდი ჩახუტებისას.

ნანა ნანო შაინიძე

მემ!

...ვიდრე მზეს კოჭებს ვუსინჯავდი...
ვიდრე სულზე ფარდებს გადავწევდი და მომცრო ოთახის წვიმით დაღარულ მინებს მივეტმასნებოდი შუბლით,
ჩემი დღეები დაპატარავებულან, მემ!
დალეულან...
დაღამებულან...
მე ისევ, თონის სიმხურვალით მეგონა იწვოდა ჩემი ზაფხულის მზე –
ჩანაცრებულა!
აივანიც არ მაქვს, რომ შენს მზიან მხარეზე გადმოვცოცდე...
სარკმლიდან სახურავზე ასვლა რომ შემეძლოს, ბუხრის მილიდან ჩამოვიდოდი შენთან და შენს სარკმელში ჩამომდგარ დღეს ჩავეხუტებოდი...
შენ როგორ შეძელი, არ დაღამება, მემ?!
ძალიან ვცდილობ, მაგრამ არ გამომდის –
შენი მოშურნე ვარ, მემ!
ჰო, ყველა ფერად მშურს შენი... თეთრი არ ვიცი მე, სულ ყველა ფერად მშურს და, ხომ არ გეწყინებათ თუ გეტყვით? – ...არ მიყვარხართ, მემ!..
ვიდრე, წვიმას ზღაპრებს ვუყვებოდი, დღეები დამიღამდნენ,
მოიკეცნენ,
მხრებზე ვეება მთები ჩამოიყუდეს...
დამძიმდნენ!
შენ როგორ შეძელი, სიფრიფანა, მორკალული მხრების სიმსუბუქე, მემ?!

ჰო, რომ არ მიყვარხართ, გითხარი უკვე, ხოომ?!..
მეტიც, ვერ გიტანთ მემ!!!

ვიდრე ოთახში დამწყვდეულ მარტოობას, კედლებს, ბავშვობისდროინდელ ოცნებებში ჩარჩენილი ფერებით ვუხატავდი,
გარეთ დღეები ჩამიჟამდნენ...
გამებუტნენ...
დამიდუმდნენ...

დამინაწევრდნენ...
ლიფსიტებივით აისხლიტეს ჩემი სარკმლიდან და ღამე ჩამოიფარეს ალიბად –
ხომ ხედავ დავბნელდით და ნუღა გვეძებო...

და მზე, ჩემი მზე? – ალიყურნაჭამი მზე, ვის ქვეშაგებელში მიაძინეთ, მემ?!

ვიდრე მზეს კოჭებს ვუსინჯავდი,
ჩემი დღეები დაბნელებულან...
არ გეწყინოთ, რომ არ მიყვარხართ, მემ!
მეტიც – ვერ გიტანთ...
დაუღამებელი დღეების შემნარჩუნებელო, მემ!..

არადა...

...ვეღარ ვიქნები მორჩილი ცოლი,
ვეღარ...
შენ გამიმეტე –
მეძავის კალთასავით უდიერად გაცვეთილ სამყაროს შემაფუჩეჩე,
მიმდენე...
მიმასაჩუქრე...
შენ გამიმეტე!..
არადა, როგორი მორჩილი გყავდი –
მზეამოწვერილ დილას მოვდევდი შენს ფეხდაფეხ მსახურად
და გმსახურიბდი მზის ჩასვლამდე,
გყმობდი...
გაღმერთებდი...
განაყრებდი...
გირეცხავდი...
გილაგებდი
და მეტიც,
გალაგებდი...
მერე ღამესთან ერთად მთვარეს მოვყავდი შენთან გახელებულ ავაზად და
სისხლს გიდუღებდი,
ფაფარაშლილ ლომს გამსგავსებდი...
ახლა, რა გიშველო?
რა ვიშველო?
ვეღარ დავაბრუნებ მორჩილებაში მყოფ, დაღლილი სხეულიდან გაქცეულ სულს.
თავის-უფლების გემოგაგებულს...
თავის-უფლების მარად მოსურნეს...
თავის-უფლების უკვე მეპატრონეს...
ვეღარ ვიქნები მორჩილი ცოლი – ვეღაარ!...

ეგ კიდე არაფერი,
იავნანასაც ველარ ვიმღერებ...
სხვისი შვილების საიავნანოდ ხომ გამიმეტე...
ჰოდა, შენმა, ჩვენმა შვილებმა
გამიუცხოიავნანეს...
რა გიშველო?!
რა ვიშველო?!
სხვის დაკრულზე საცეკვაოდ გამაგდე,
უკულისო და უფარდებო სცენაზე გამიყვანე.
ახლა აქ, ამ სცენაზე
მხოლოდ დეკორაციათა ცვლაა შესაძლებელი,
ყველა სპექტაკლი ერთმანეთს გავს, შენი წყალობით.
ეს სცენარი შენ გეკუთვნის,
მას გლობალური სახე აქვს უკვე,
რომელმაც ყოველგვარ ეროვნულს ჩარჩოები დაუმსხვრია...
დამამსხვრია...
მომირღვია:
ანიც და ჰოეც,
ქცევაც და წესიც,
ადათიცა და ზნეჩვეულებაც...
ველარ ვიქნები მორჩილი ცოლი,
შენს ტუჩებნაჩვევ ბაგეებს ახლა
ცრემლები კოცნის...
ველარ ავიტან შენს ახირებებს...
არადა, მე ხომ ვიყავი?!
არადა, მე ხომ მიყვარდი?!
მე ახლაც მინდა გმორჩილობდე,
გმსახურობდე,
გაღმერთებდე,
მაგრამ...
თავისუფლებაში გაფრენილ სულს ველარ მოვდენი უკან,
რომელმაც თავისუფლებაში უფრო დიდი მონობა პოვა.
შენ გამიმეტე და მე ამ გამეტებაშიც დაგემორჩილე!..

და არამარტო

...დღეს აღდგომაა – ქრისტე აღდგა!..
ჭეშმარიტად-ო...
მაგრამ სად არის ჭეშმარიტება – მკვდრეთით ამღდგარო უფალო?
როცა მკვდარსა და ცოცხალს,
როცა სამშობლო მიწას ვერ ვჭირისუფლობთ?..

...ამ ეკლის იქეთ ჩემი შვილების სამარხებია,
ამ „საზღვრის“ იქეთ სისხლშემხმარი სანახებია...

...როცა აღდგომას ზარზეიმობს ერი და ბერი,
როცა აჭრელდა ნაირფერად მთელი სამყარო...
როს საფლავები მოელიან ასე მიმსვლელებს,
მავთულხლართებში უმწეობით ხელებს იშვერენ...

...გზა გამიხსენით, ამიხსენით სულზე ხუნდები,
დედა ვარ ბიჭის, შინმოუსვლელ ვერდაბრუნებულს –
უნდა ვეახლო, სამარეზე წითელი კვერცხით,
უნდა ვეახლო, ქრისტეს ჯვრით და კიდევ კვართით...

...მაგრამ პოზირებს საქართველო დროთა ჯირითით,
„მაღლებს“ ყოველთვის ლაქიობენ ჩვენში „დაბლები“
ანკი ყველანი მდაბლდებიან, რავი –
„პირიქით“?..

...ამ ეკლის იქეთ პირმოკრული სამარისნაირი,
ვინ მოთვლის ღმერთო, რამდენია მსგავსი ბორცვები,
სამშობლოსათვის დაიღუპა ასიდან ასი,
მათი სულისთვის ვეღარც მე ვარ ახლა მლოცველი –
დედა, რომელსაც დამიხურეს ყველა კარები,
დედა, რომელმაც ერთი კვერცხიც ვეღარ შევღებე,
სამყარო გახდა ახლა ჩემთვის მიუკარები
და თავად უფალს ერთი ლოცვაც ვეღარ შევბედე...

...გამიტყდა რწმენა, გამებზარა ყველა ნალოცი,
შენ ასე ახლოს, მაგრამ შვილო, რა შორს დამირჩი,
აქ იშვიათად ვინმეს ნახავ უფლის დალოცვილს,
აქ მხოლოდ შავით დახატავდა ალბათ და ვინჩიც...

...დღეს აღდგომაა, ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად-ო
„საზღვრის“ იქეთ კი ბალახი ჭამს შვილთა საფლავებს...

ხვნეშის სამშობლო აზვირთებულ ბრბოთა როკვაში...

მე „ბიჭის“ დედამ –
დღეს და არამარტო,
გუშინ და არამარტო,
გუშინწინ და არამარტო,

ტატუნაშვილისთვის და არამარტო,
ყველა გმირისთვის და არამარტო...

...ამ სიჭრელისთვის,
ამ სიბეცისთვის,
უგულობისთვის,
ანგარებისთვის,
მლიქვნელობისთვის...

...გამყიდველებისთვის,
გამცემლებისთვის,
მამონის მონებისთვის,
სულძაღლიანებისთვის,
ქლესა ცოტაკაცებისთვის,
უმადურებისთვის,
ეშმას მოციქულებისთვის,
ვწირავ –
ვერმონახულებულ გმირთა საფლავებს, ყველაფერ ამას
და დღეს ყველასთან ერთად,
ეს საქართველოც დავასაფლავე!..

...სად არის ჭეშმარიტება –
მკვდრეთით ამღდგარო, იესო(?)
„აღდგომა“.

* * *

ჩვენ გვაქვს ეკლესია...
ჩვენი გულებივით გაყოფილი.
სადაც არ იძლევიან კურთხევას...
სადაც ვერ აღავლენებ ლოცვებს,
სადაც ვერ ანთებენ სანთლებს!

გვაქვს წყარო, ჩვენი ცრემლებივით წყალუხვი,
ჩვენი სისხლივით მჩქეფარე...

გვაქვს ხიდი,
ჩვენი ნაპირების შემაერთებელი.
მაგრამ ამ ნაპირებთან,
არ გვაქვს მისასვლელი გზები.

გვაქვს სახლი,
სადაც არ ვცხოვრობთ ერთად.
გვაქვს სადგომები,
სადაც ვერ გხვდები შენ.
სადაც ვერ მხვდები მე.

და არის ის, ამ ყველაფრის გამმრთელებელი და სანთელივით წმინდა!

ბედნიერების გასაღები

...ყველა დარაზული კარის გასაღები,
ყველა გადამხმარი ჭალის წვიმა,
ყველა უბინადრო სახლის ბინადარი,
ყველა ნათქვამი და ამომღერებული,
დღემდე დაწერილი ყველა ლექსი –
დითირამბია თუ გარომანებული,
ყველა უიმედო წამი ხარ და,
მზერით გაცემული მოლოდინი...

წყალსაც წაუღია,
დღემდე რასაც ვწერდი,
ანდაც ხვალ თუ ისევ რამეს „ჩამოვსისხლავ“
შენ ხარ, აქობამდის რაც ვერ მოგიძღვენი –
ყველა უთქმელი და
უფრო დიდი სიტყვა!

ჩემი ჩარაზული კარის გასაღებო!



ვაჟა ოთარაშვილი

პოეტური დუეტი — ბარათები ლექსებად

ციკლიდან: „ფშაური ფსალმუნები...“

(ვაჟა-ფშაველასა და კეკეს იდუმალი სიყვარულის ისტორია)

1

„დაჰჟანგებულხარ გორდაო“...

დავეცით უკვე სადამდე,
შევბილწეთ არაგველები...
ხმალი დაჟანგდა ვადამდე,
დასისინებენ გველები...
გული რამ გადაგიგვარათ?
აზრი რამ დაგიავადათ,
რომ ქრისტეს დედა იმგვარად
მოიხსენიეთ ავადა...
დიდ ვაჟას ვერვინ დატორავს,
ჟამმაც ვერ დაასამარა...
უფალო, არ მიგვატოვო
ნაქართველართა ამარა!

2

მარტია... ამწვანდა ხეობა,
ბუხართან მინავლდა დარდები...
ჩარგალშიც ჩამოდგა დღეობა
იების და ყოჩივარდების...
სევდა თვალს ცრემლებით მოხატავს,
ბაგეზე შერჩება სიმლაშე
და მკერდზე ასკდება ოხვრა ტანს,
კვლავ შიშველ სარკეთა წინაშე...

შენ გხატავ, მოგელის ჩარგალი...
მარტის ქარს ეს ლექსიც მიება...
და ღამე ვარსკვლავთა ცარგვალი,
შენს თმებში ჩაიწნა იებად...

3

მშვიდადა გძინავს... შენი ფანჯრიდან
მოსჩანს ღრუბლების თეთრი ქულები...
ვაჟა-ფშაველა მოგწერ ჩარგლიდან,
აღარ პასუხობ ბარათს სრულებით...
იძინე... ეხლა მე შენ გიყურებ,
ვეამბორები ტუჩებს, წამწამებს...
იძინე ტკბილად, შენი საყურე
ოდნავ მეხება... სიზმრად მაწამებს...
ნეტავ არაგვზე ჩემს მკლავზე იწვე
და შენი სუნთქვის ვთვლიდე აკორდებს
და მაგ თვალების წამწამთა წიწვებს
ჩემი ტუჩები კვლავ მოაგონდეს...

4

ამილახვრიანთ ვიძინებ კარგო,
შენს აივანთან, ნაძვების ძირში...
მანდა ვარ კეკე... აღარ იდარდო
და ნუღარაფრის გექნება შიში...
და ნაზი სუნთქვის დაბალი ტონი
მელამუნება და ვნებით მავსებს...
ღია სარკმელთან მოხვედი მგონი,
მიღიმი, ვარსკვლავს გამსგავსე ცაზე...
შენ ახლა გძინავს... მე კი მანდა ვარ,
მე კი მანდა ვარ, სულ ახლოს შენთან...
ამაღამ კარგო არსად არ წავალ,
ჩემს მკერდზე ისმის მაგ გულის ფეთქვა...

5

შენი ცრემლის სურნელი
მონატრებად მოვიდა...
ჩვენ ერთმანეთს სულ ველით,
როგორც გრგვინვას კორიდა,
მტკვრის შესართავს არაგვი
შმაგად ელამუნება...
დიდოსტატის არაკი,
შურის ცოდვის ბუნება...

ხეკორძულას ხეობას
შენი თრთოლვა აკლია,
სიყვარულის დღეობას
ლექსები ჰყავთ ნათლიად...

6

ლაზარე – საქართველო
იქნება მალე დალპეს ლაზარე!
იქნებ ლაზარე მალე გაიხრწნას...
მისი აღდგომა შეაზანზარებს –
ცოდვებით სავსე ამ დედამიწას...
ბეთანიაში სნეულ ლაზარეს
დები იესოს მოსვლას ელიან...
უძლურება კი ცრემლს შეაზავებს
და სასთუმალი სნეულს სველი აქვს...
„დიდება უფალს!“ – თრთის მომაკვდავი...
ძმას დასტირიან მართა-მარიამ...
გადის ოთხი დღეც... ლოდი... საფლავი...
კი არა სძინავს, მართლა მკვდარია...
მოდის იესო და თავის რჩეულს –
(ანუ „რომელი გიყვარს“, უფალო...)
ამ ქვეყანაზე მართალს და ეულს
მოღაღადე ხმით ტკბილად უგალობს:
„აღსდეგ, ლაზარე, გამოვედ გარე!“
ხელფეხშეკრული დგება ლაზარე...
და გაცოცხლების ღვთიური წამი
მთელს დედამიწას შეაზანზარებს...

7

უცებ ისე მომენატრე... ისე...
რომ შენს ხმაზე შემითრთოლდა ლექსი...
თითქოს აქ ხარ, ყურთან ჩამკისკისებ,
ისე ცხადლივ, რომ შენი ხმა მესმის...
შენ კი გძინავს და სიზმარში გხედავ –
თუთის ხესთან რომ თამაშობ ბავშვი...
რა წრფელია მონატრების სევდა,
ღამე ცრემლებს გაყოლილი ქარში...

8

აქ უშენობის დარდები ქრიან,
არაგვს ალმასის მოსავს ხალიჩა...
ამ მონატრებას სახელი ჰქვია,
ლიხის მთის იქით რომ გადამირჩა...

კეკევ, ტკბილო და ჩემო ჭკვიანო,
ნუ მებუტები... ნუ ეჭვიანობ...
და უშენობის ქრიან დარდები...
დროვ, სად იწყები და სად მთავრდები...

9

ბზობა

„ვიცანი, ღმერთო, სამყარო...“

ვაჟა-ფშაველა

ზურგით სხეული ატარე უფლის
ნაღვლისთვალება პირტუყვო ჩვენო...
ნეტა თუ გრძნობდა ჯვრიანი შუბლი,
მაცხოვრის ნათლის უნაზეს ჩეროს...
ო, ბედნიერო ცხოველთა შორის,
ბედმა გარგუნა წმინდა მისია,
რომ ქრისტეს ფერხთქვეშ ყვავილთა მოლი,
შენს ჩლიქთა შორის ფენის ღირსია...

10

არსუკიძის მონოლოგი

„მცხეთას ატირდა არაგვი...“

ვაჟა-ფშაველა

სვეტიცხოველი ავაშენე, მოვაჩუქურთმე...
უფალს მადლობა! შენ გიპოვე ჩემდა ნუგეშად...
შენს თავს ვერავის ვერ დავუთმობ,
აქ ხარ უბეში...
ბინდის ბორანი ჩამოივლის მტკვართან ტაატით
და წმინდანების ლოცვებს ისმენს ყოველღამ ქართლი...
დგას მცხეთა, ივერთ ისტორიის დიდი ბარათი,
ავსებული და ანთებული მაცხოვრის კვართით...
შორით შენ გეტრფი... მენატრები და ვიტანჯები...
არმაზისხევთან გახსოვს ცეკვით პეპლებს რომ ვდიეთ?
მახვილს ელიან დიდოსტატის მუდამ მაჯები,
მკლავმოკვეთილიც შემიფარე და მაპატიე!...

11

ყაყაჩო და ყოჩივარდით მოგრთავ,
მოგატარებ ბაზალეთს და ჩარგალს...
არაგვისპირს ჩავიმუხლებთ ორთავ,
ჩვენი ტრფობა არავისას არ ჰგავს...
გიგონებ და ჟრუანტელი მივლის,
შენი სახე მელანდება როცა...
ზურგს უკან ვგრძნობ შენს ჯადოსნურ ღიმილს,
გელათში ვართ და მოძღვარი გვლოცას...

ეკა კვანტაღიანი

პოეტური დუეტი — ბარათები ლექსებად

ციკლიდან: „ფშაური ფსალმუნები...“

(ვაჟა-ფშაველასა და კეკეს იდუმალი სიყვარულის ისტორია)

1

რითმებშიც გული დარდისგან ოხრავს
და მონატრება კრთება ლექსებად...
ხან გავიხსენებთ ცრემლებით თოხათს
და სააკაძის ხმლის გაკვესებას...
ტრფობის და ბრძოლის ალი გადამდე,
სულმა უფლისთვის ლოცვად ინება:
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
კვლავ ივერიის აღორძინება!...

2

ირმების ჯოგი ჯაგებს აწყდება,
მზე თეთრ მყინვარებს გააცისკარებს
და ვარდისფერი ღრუბლის ღაწვები,
ისევ ლოცვისთვის აღებს ცის კარებს...
ვერ მოგვიხელთოს ბოროტის ეშვმა,
გვიცავს წმინდანთა ნათლის სულები...
შენ რომ ამ გზაზე ხელი გაგეშვა,
გადამიტანდა ეს უფსკრულები...
იცი შენამდე როგორ ვეწამე,
ახლა კი ტრფობის მასმევ შარბათებს...
ჩვენს შეხვედრამდე ვითვლი მე წამებს,
მალე ჩვენთვისაც გაიშაბათებს...

3

ააღდებიან ვარდის კვირტები,
ყლორტებს დანამავს დარდი ეკლებად...
ნატვრის სარკეში დაგაკვირდები,
ღიმილი ჩუმად აირეკლება...
ჩარგალის თავზე ვარსკვლავებს კრეფენ...
მარტის დილაა... ცოტა სუსხია...
გვიახლოვდება დღე ფეხაკრებით,
თითქოს მთის თასში მზე ჩაუსხიათ...

4

დამესიზმრა მივდიოდით ჩარგალს,
შორს ხარ, თუმცა შენი ტრფობით მხნე ვარ...
ჩაიმღერა ლექსი ჩუმად ჩანგმა,
მონატრებით გულში შეირხევა...
ქარმა ისე დაუბერა მძაფრად,
რომ კლდე-ღრეში კვალში უდგას ნადირს...
ოცნებებმა კვლავ აუშვეს აფრა,
ნისლებივით მწვერვალთან რომ ადის...

5

გამოკრთებოდა შუქი ნისლიდან
მილეულ მთვარის ანარეკლითა
და როგორც ისარს გადაისვრიდა
ექოს – მონასტრის ზარი რეკვითა...
გადაჰყურებდა მტკვარსა და არგავს,
ბებრის ციხიდან გალავნის ზღუდე...
ამ მიჯნურობას საზღვარი არ აქვს,
რადგან საზომად სიწმინდე უდევს...

6

ლაზარეს შაბათი...

სანამ უფალი ჯვარცმისთვის მიჰყავთ
და ცოდვებს კაცთა დაჰფარავს მკერდით...
ბზობამდე ადრე... მაცხოვრის სიტყვა
უხმობს ლაზარეს... აღადგენს მკვდრეთით!...
მერე კი წავა იერუსალიმს,
ეკლის გვირგვინით უტიფრად რთავენ...
განა ჯვარზე რომ მიალურსმნავენ,
ღმერთს არ შეეძლო დაეხსნა თავი?

ქრისტემ ბრძანა და ცოდვები შეჰკრა
მთლიანად... განა გაანახევრა...
ლაზარეს ერგო სიკვდილის შემდეგ,
ქვეყნად მეორედ თვალის გახელა...

7

ცაზე გაშლილა როგორც ხალიჩა,
ღამე ვარსკვლავთა ნაზი მძივებით...
თვალებში ტფილი ტრფობის ალი სჩანს
და შენს მზერაში ჩავიძირები...
მთვარე ღრუბლების ქიმზე ასულა,
შენამდე ისევ ლიხის ხევია...
შენი ლექსები მოვლენ სასთუმლად
და სიყვარულით მომეხვევიან...

8

საოცარია თოვლში ტიტები,
თუმცა გაუძლებს დღეებს ყინვიანს?...
ო, ღმერთო ჩემო, გთხოვ მომიტევე,
რომ ვერ ვივიწყებ არაგვის ნიავს...
ზოგჯერ აპრილიც სარკმელს დაფიფქავს,
ფანტელები კი ხეებს ეკვრიან,
მიმქრალ შუქზე რომ ლექსები ითქვა,
ამ მონატრების ანარეკლია...

9

მოდის აღდგომის ღამე...

აღდგომის ღამე დგება,
ბოროტის გაქრა ზრახვა...
ზეცაში უფლის ქება,
დასრულდა დიდი მარხვა...
ვერ დაიხსნიდა ცოდვებს
ვერვინ, ღმერთკაცის გარდა...
აქრობს სიკვდილის ბოდვებს,
კვლავ მოუწოდებს: ადამ!...
მთვარეს უძირო კბოდე,
თითქოს სანთლისგან ათლის...
აღდგომის ღამე მოდის –
დღეზე მბრწყინავი ნათლის!...

10

გავყურებ არეს სევდიანი ჯვრის მონასტრიდან,
კანკელს უკმიეს საცეცხლურის ციურ ნათებით...
უფლის ძალამ და დიდოსტატის მკლავმა აზიდა,
მცხეთის გულიდან სვეტიცხოვლის ჯვარ-გუმბათები!
ჟამთა სიავემ ივერიის ცა ვერ დამალა,
თითქოს ლოცვების ჯარი ჩემსკენ მცველად დაძარი...
პომპეუსის ხიდს გადაივლის მეფის ამალა,
ვიცი დაგვიცავს ღვთის კვართი და დედა-ტაძარი!

11

მახსოვს მცხეთა... მცირე თასი თიხის,
თხოთის მთიდან სხივი მოწითალო...
ვერ შეგვიშლის ახლაც მთები ლიხის
მიჩურჩულო: „ჩემო ნატვრის ქალო...“
მოვილოცოთ მინდა ზედაზენი,
მომატარო ყაზბეგი და მლეთა...
კვლავ გამათბო სიყვარულის მზერით
და ყაყაჩო გველის ბაზალეთთან...



გრიგოლ გაგუა

კივილი

სულია, რომ კვნესის ნამწარად,
აღმოხდეს მუნკისებრ კივილი...
რა ცილიც უმზეოდ დამწამდა,
რაც დუმილს ამოჰყვა ტკივილი,
არც ერთი სიჩუმის არ მწამდა...

ვინც კვდება,
ვინც ბორგავს,
ვინც წამობს,
ვინც სულის სარქველებს იტკიებს –
არ შეგდრკას მარილმა, წამწამო!
ნურც კვდომის მიზეზებს იძიებ,
თუ გინდა, ღალატი დამწამონ.

სულის და
გულის და
ღმერთის და
სამყაროს, ამბოხის მზაობა!
შედევრი დროდ გადაესკიზდა,
ზღვის ღელვა – მდუმარე ჭაობად...
გვირგვინი კეთდება ეკლისგან!

არ ვიცი, არ მკითხოთ, რა ვწერე,
ვეკუთვნი ხილვების სამყაროს,
დავაფრთხე სიზმრებიც, დავსერე,
მწყურია, კივილი ავყარო
ნისლებად ხილვების მთა-სერებს..

დამაფრთხო ფიქრმა და მშვენებამ,
დამაფრთხო, იმისამ, რასც ვკლავდი
თითებით, ლექსებით... შევებათ,
ლექსთ ჩამოვანგრიოთ ვარსკვლავნი
ხილვების დასების წევრებად!

მესტუმრე, მესტუმრე, ვარსკვლავო,
დაჰყევი სიზმართა ცათამბჯენს!
გაჩვენო მწერლის სასაკლაო
თვითმკვლელი ღამისგან გადამრჩენს,
ვიდრემდე ნაღარად საკრაობ.

ვიდრემდე მოანგრევ მკვდარ ქალებს
ვარსკვლავი, სინათლეს შორს ვრგავო...
ვგიჟდები,
ვიშლები,
ვკანკალებ!
ვგიჟდები,
ვიშლები,
ვბორგაობ!
ცა მთვარეს რქად გადმოარკალებს...

ვლესავდი ხილვათა სალ ომებს,
ჩემს სიზმრებს მზის ფერი ემოსა,
ბრძანდება, ვითარცა სალომე,
აღაპე ექციათ ეროსად,
სიწმინდე მიეგდოთ სალომედ...

ველარ ვარ, ვინც ხვალე ვიქნები,
ჩემს უძლურობასაც ვიბრალებ...
ხელების ფათურით მიგნებით,
დავმარხე სიმხნე და სიმწყრალე...
ჯერარდაწერილი წიგნებიც...

ჯერ მთვარეც ცას რქებმოუხრელობს,
ვარსკვლავებს ვერ სტაცებს ვერც ფერებს...
რომ ფიქრობთ, ლექსს წერდა წუხელო,
მე წუხელ გაქრობას ვეფერე
მარადიულობით... უხელოდ...

ვიძინებ
ვისვენებ

ცას ვკეტავ...
სიზმრები მიმყვება სააჯოდ...
ღრმა ნორმალურობის საკეტად
ღმერთებმა სამკაპი დაარჭონ
ლექსებით გამოსვლის სარკესთან.
სულის და
გულის და
ღმერთის... და
მე მაინც ჩემი მაქვს სამყარო.
ხილვები მეტყვიან, მეღირსა,
თუ – არა, კივილი ავყარო
ღრუბლიდან გავარდნილ მეხისა...

მე ხილვებს დავუთმე სამყარო...

თვითონ კი ვერასდროს ვერ მთვლიდა
– გვირგვინი დამეწნა ეკლისგან –
მე ღირსად... მე ღირსად... მე ღირსად...

ვიდრემდე მოანგრევ მკვდარ ქალებს
ვარსკვლავი, სინათლეს შორს ვრგავო...
ვგიჟდები,
ვიშლები,
ვკანკალებ!
ვგიჟდები,
ვიშლები,
ვბორგაობ!
ცა მთვარეს რქად გადმოარკალებს...

აქსიოს!

მწერალზე საბრალოდ,
მწერალზე დაღლილად,
მწერალზე ტანჯულად
ვინ უნდა აქციო?

ყოველ წამს დაბადო,
ყოველ წამს ჩაიკრა,
ყოველ წამს მსახურად
ქარების აქციო...

რაც მიწას ერთხმება,
თავს ზეცას უყადრებს,
გიყვარდეს,
მოიმცრო
და ცამდე აწიო,

ყოველწამს დაგადგან გვირგვინი თავზე და ყოველ წამს მოიძრო,
უფსკრულთან გაწიო...

იმალო, ჩაგესმას სასჯელად ყოველ წამს:

აქსიოს!
აქსიოს!
აქსიოს!
აქსიოს!

ᲡᲔᲓᲐᲕᲐᲢᲘᲜ ᲓᲔᲛᲘᲠᲗᲐᲨᲘ

ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ

კისერზე ყულფის კარგად მორგების შემდეგ, სამფეხა სკამს უყოყმანოდ ვკარი ფეხი და ჭერს მიპყრობილი თვალებით ღრმად ჩავფიქრდი. დაველოდე, თუ როგორი ფილმის კადრებად ჩაივლიდა თვალწინ მთელი ჩემი ცხოვრება. არაფერი გამოვიდა. დაახლოებით მთელი ათი წუთი დავყავი ამ მდგომარეობაში. ყოველი კადრის ნებისმიერ წერტილში მისი მომღიმარი სახე ჩანდა. და ამ დაკუთხული კადრებისგან შემდგარი მთელი ჩემი ცხოვრება დასრულდებოდა, იატაკზე, ზურგზე რომ არ ვწოლილიყავი. თურმე კაცი წოლით მდგომარეობაში თავს ვერ ჩამოიხრჩობს. ამ აღმოჩენამ ჩემში ყველაფრის ახლიდან დაწყების და სიცოცხლის სურვილი გააღვიძა.

ავდექი, კისრიდან ყულფი მოვიხსენი, როცა გავაცნობიერე, რომ დღე თავის მოკვლით არ დავიწყე, შინაგანი სიმშვიდით სამზარეულოს მივაშურე. სამი კვერცხი გავტეხე, ვისაუზმე, გავიპარსე, ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. ლიფტში უკვე პენსიაზე მყოფ „mafya reis“-ს (მაფიოზი, მაფიის თავი) – ბიძია ქადირს შევეჩეხე.

– დილა მშვიდობის, ბიძია ქადირ, – მივესალმე.

– დილა მშვიდობის, მუსტი, როგორაა საქმეები.

– კარგად, ისე რა, სხვა რა უნდა იყოს.

„იცით, ბიძია ქადირ, ცოტა ხნის წინ თავის მოკვლა ვცადე“, – მინდოდა მეთქვა, მომინდა გულში ჩავეკარი, თმებში მომფერებოდა, თანაგრძნობა გამოეხატა, შევცოდებოდი, მაგრამ არ ვუთხარი. უბრალოდ, ისეთი კაცის თვალებით შევხედე, რომელმაც ცოტა ხნის წინ თავის მოკვლა სცადა. მინდოდა, თვითონ მიმხვდარიყო. არაფერი უთქვამს, რამაც საბოლოოდ გამანადგურა. ლიფტიდან გამოვედით. შეჩერდა, შემომიბრუნდა.

– თვალებზე რა გჭირს, შვილო?

თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მეტირა.

– არა, ბიძია, რა უნდა მჭირდეს?

– სულელო, აბა ლიფტში მზის სათვალე რატომ გიკეთია?

ვირიდან ჩამოვარდნილ საზამთროსავით ვიგრძენი თავი. უმისამართოდ ვიხეტიალე ქუჩებში. დღეს სამუშაოზე რომ არ წავიდე, ამისათვის საკმაოდ დიდი მიზეზი მაქვს-მეთქი, გამოვუცხადე ჩემს თავს! 1. რადგან სამუშაო არ მაქვს, 2. უმუშევარი ვარ. თვეა ასე ვარ. სამუშაო კი, რომელზეც მოგახსენებთ, პიცის საცხობში კურიერად ვიყავი. ერთი დღით, რა თქმა უნდა. პირველსავე დღეს,

სერვისის მიტანისას, მოტოციკლეტი მომპარეს და მეპატრონემ, „აქ მოსული აღარ დაგინახოო!..“ იქამდე კი არც მიმუშავია არსად, მამა ყოველთვიურად მიგზავნიდა სახარჯოს, მაგრამ პიცერიაში რომ მოვეწყვე, ვუთხარი, აღარ გამომიგზავნოთ, აღარ დამჭირდება-მეთქი. მეორე დღეს კი, დარეკვა და სამუშაოდან გამომაგდეს-მეთქი, – ამის თქმა შემრცხვა. მამას ისევ პიცის მცხობელი ვგონივარ. უფრო სწორად, ჰგონია, რომ პიცის საცხობი გავხსენი. გასულ კვირას, როცა დამირეკა, მკითხა: – შვილო, სულ მინდა გკითხო და მავიწყდება, ეს პიცა რა არისო? ქარლიოვაში ფეხით ჩასულიყო, რაკი ტელეფონი კარგად არ იჭერდა. ტელეფონის ზუზუნს შორის ვუთხარი, „კბილის გადასაკრავი“ რამეა-მეთქი.

– კარგია, კარგი! – და სატელეფონო კავშირი გაწყდა.

ცოტა ხანში ისევ დარეკა, – კბილის გადასაკრავი რა არისო, – მკითხა.

აღარაფერი მითქვამს, კავშირი ისევ გაწყდა.

ხეტიალ-ხეტიალში ბერნას სახლთან მოვედი. ვიცი, ამ დროს ბერნა სახლში არაა, ბანკში მუშაობს, ან რომელიმე ბანკისთვის მუშაობს, დაახლოებით ასეა რაღაც.

– მობრძანდით, ბატონო, საკრედიტო ბარათს დაგიმზადებთ, – ღიმილით მითხრა, როცა პირველად ვნახე.

– არა, არ მინდა-მეთქი, – მივუგე. ისევ შემომთავაზა, დამაძალა კიდეც, მაგრამ უარი ვუთხარი.

– მხოლოდ თქვენი პირადობის სურათია საჭირო, დანარჩენს ჩვენ მოვაგვარებთ.

ამჯერად უარი ვეღარ ვუთხარი.

– კარგ საქმეში გამოიყენეთ, – მითხრა და მარკეტის შესასვლელის სტენდთან სწრაფად გააფორმა.

მკერდზე მიმაგრებულ ბეიჯზე „ბერნა“ ეწერა. სახელიც აქედან ვიცი. ჩემი სახელიც ეცოდინება, რადგან პირადობის სურათს რამდენჯერმე დახედა. შვიდი თვე კი გავიდა, მაგრამ არ დაავიწყდებოდა, ძალიან ლამაზად გამიღიმა. შემდეგ დღეებში ისევ წავედი სანახავად, სახლამდეც მივყევი, მაგრამ ვერ შემამჩნია. შემდეგ რამდენიმე დღე მარკეტის წინ ველოდე, ვერ ვნახე. ბანკში მივედი და ვიკითხე, მითხრეს, რიგის ნომერი აიღეო. ავიღე. ჩემი რიგი რომ მოვიდა, ისევ ვიკითხე და – „აქ მეტი აღარ მოხვიდეთო“, მითხრეს. ამის შემდეგ აღარ მინახავს ბერნა. ყოველდღე, დილით თუ საღამოს, მისი სახლის წინ ვიდექი, მაგრამ ვერ შევხვდი. აი, ის ღიმილი კი დარჩა ჩემში.

მამამ იცის, რომ სტამბოლში სამშენებლო საინჟინროზე ვსწავლობ. ოთხი წელი გავიდა, ამ წელს დავამთავრო უნდა, მაგრამ რადგან სკოლა არ მქონდა დამთავრებული, უნივერსიტეტის გამოცდებზეც ამიტომ ვერ გავედი. გასულ წელს მამამ სოფელში სახლი დაანგრია და ახლის აშენება დაიწყო. რაღაც აზრი მეც მკითხა: – ესენი ჯერ არ გვისწავლია-მეთქი; როცა ბერნამ პროფესია მკითხა, მშენებელი ინჟინერი ვუთხარი. საკრედიტო ბარათი კი ახლაც ჯიბეში მაქვს, პირველივე თვეში ვალის გადაუხდელობის გამო დაიბლოკა, გადაგდება დამენანა და პარკში გახვეული საფულეში შევინახე. გასულ თვეში სახლში მოიჯარადეები მოვიდნენ.

– მუსტაფა ბეი თქვენ ბრძანდებით??

– გისმენთ, ბატონო...

მერე თუკი რამ ნივთი იყო სახლში – წაიღეს. ბერნა რომ მენახა, ავუხსნიდი, რატომაც ვერ გადავიხადე. იმ გოგოსთან სირცხვილში დავრჩი.

ისე, სიმართლე თუ გინდათ იცოდეთ, თქვენ რომ ფიქრობთ, ისეთი პიროვნება არ ვარ.

სანამ ბერნას შევხვდებოდი, ნერგისი მიყვარდა, უფრო სწორად – მსურდა, რომ მყვარებოდა. ნერგისი მოპირდაპირე სახლში ცხოვრობს, გიასეთინ ბეის ქალიშვილია, უნივერსიტეტში სწავლობს. ერთხელ ქუჩაში შევხვდით, ძალიან ლამაზად გამიღიმა. ნერგისის სანახავად უნივერსიტეტშიც კი

მივედი ერთხელ. იქვე, ბაღში დავჯექი და დაველოდე, ფიქრებში ვკითხე: – ნერგის, მითხარი, როგორ გინდა რომ მიყვარდე? ფსიქოპათი გავხდე, გულზე სამართებლით სახელი ამოვიტვიფრო? ან, მაშინ როცა ერთხელაც კი არ შეგხებივარ, შენთვის ხელის ჩამომრთმევ ყველა კაცს ხელები მივამტვრიო? უნივერსიტეტის კარებთან გელოდო, შენით დავსნეულდე, მკლავზე მოგქაჩო და გითხრა: „მოდი, ერთად გავისეირნოთ“? შუაში ჩამდგარ მეგობრებს კი სიფათი დავუსამარო? შენს პასუხზე – „მომწყდი თავიდან, შარზე ხარ?“ – მე კიდე უფრო მეტად შარიანი გავხდები! სახლის წინ შუაღამემდე ვიყურყუტებ, შენ კი ფანჯრიდან ჩუმჩუმად, შიშნარევი, შეუბრალებელი, თვალებით გადმომხედე, ნახე, გაიხარე, პოლიცია გამოიძახე, განყოფილებაში წამიყვანონ. ყოველი დარტყმისას კი შენს სახელს დავიღრიალებ. ასეა – ან ჩემი ხარ, ნერგის, ან შავი მიწის. ცხოვრებას გაგიმწარებ, სიცოცხლის სიხარულს მოგისპობ. „თავი გამანებე, არ მიყვარხარ. ცხოვრება დამინგრიე, შენი მეშინია, ვერ ხედავ?“ – აცრემლებული როცა მეტყვი, მწარე სიმართლეს გავიგებ... სამართებლით მაჯის გადაჭრით სიყვარულს გადავჭრი. ერთ წერილს დავტოვებ და როცა წაიკითხავ, ცრემლებში ჩაიხრჩობი... აი, მაშინ გაიგებ, თუ როგორ მიყვარდი. ველური ყვავილების თაიგულით ხელში მოდი ჩემს საფლავზე, საფლავის ქვაზე კი დაწერონ: „შენ ჩემთან მოდი, ნერგის?“ მითხარი, რა სახით გინდა მიყვარდე, ნერგის? თუ გინდა, ყოველდღე ხელჩაკიდულები გამოვიდეთ სკოლიდან და მტრედებივით ჩახვეულებმა ვიაროთ, რომ ყველას ჩვენი შეშურდეს, ჩვენმა შემყურე ყველა შეყვარებულმა იჩხუბოს, დასცილდნენ ერთმანეთს. მე „ჩემო სიყვარულო“-თი მოგმართავ, შენ კი „ჩემო ერთადერთო“-თი. ერთი ვაშლის ორ ნახევრად ვიქცეთ, ერთ სახლში ვიცხოვროთ. ძილის დროს ცალ-ცალკე ყოფნით გამოწვეულ ტანჯვას ბოლო მოვუღოთ. შენზე მოძღვნილი ლექსებით მოვრთოთ ოთახის კედლები, ყოველმა წამმა ზღაპარივით ჩაიაროს. ვერ გავძღეთ ერთმანეთის ყურებით, მთელ სამყაროში განუმეორებელ ერთადერთ სურნელად ჩვენი კანის სუნი შევიგრძნოთ, ისე ვიცხოვროთ, თითქოს ამ ქვეყანაზე მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყოთ...

შემდეგ კი, ერთ დღესაც, აღმოაჩენ, რომ მესამეც არის. ერთ გოგოს, რომელსაც ჯეიდა ჰქვია, საჩუქრებს ვუგზავნი. გაიგებ, მაგრამ არ დაიჯერებ – „შეუძლებელია, ის ამას არ იზამს“. მაგრამ მაინც გაიგებ, რომ ეს სიმართლეა. დაე, ქვეყნიერება თავზე ჩამოგექცეს, კვირაობით სახლში ჩაიკეტე, ადამიანების რწმენა დაკარგე, ველარ იტანდე ჩემი სახის ყურებას, და როცა მე არხის ხიდიდან ცივ წყალში გადავეშვები, შენ ჩემი დატოვებული წერილი წაიკითხე! ცრემლები დაგახრჩობს, როცა გაიგებ, რომ ჯეიდა ჩემი და იყო. აი, მაშინ გაიგებ, თუ როგორ მიყვარდი, ერთი კონა ველური ყვავილებით ხელში საფლავზე მოდი, საფლავის ქვაზე კი წარწერა დაგხვდეს – „შენ მოდი, ნერგის?“

ჩემო ნერგის, როგორ გინდა, რომ მიყვარდე?

შრომისგან შუბლზე ჩამოღვრილ ოფლის წმინდა წვეთებზე, აქციიდან აქციაზე გადარბენისას ერთმანეთში არეულ ოფლის სუნზე უფრო მაღლა იდგეს ჩვენი სიყვარული, ჩხუბთან და ბრძოლასთან ერთად, კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი ერთგულება. რევოლუციის ბრწყინვალე გზაზე, ხელი-ხელ სეირნობისას, ყოველ ახალ დღეს აღმოვაჩინოთ ერთმანეთი. დაკითხვებისას, წამების დროს, ფოლადივით გამოიწრთოს ჩვენი სიყვარული. ჩაგრულთათვის შექმნილ ამ სამყაროში ჩვენი წვლილიც იყოს. და ყოველ წინააღმდეგობას შრომისა და თავისუფლების სიყვარული დავუპირისპიროთ. გამბედაობა და თავგანწირვა ვაქციოთ ცხოვრების ერთადერთ კანონად!

შემდეგ კი, დაკითხვისას, წამების დროს, გაეცი ჩვენი კონსპირაციული, საიდუმლო სახლის მისამართი. ერთ დილით, როცა განთიადის ვარსკვლავს მზის სხივი ჯერ არ მოხვედრია, სახლს თავს დაესხმიან, წამიყვანებენ, შენ კი დატოვებულ წერილს იპოვი, წაიკითხავ და ცრემლები დაგახრჩობს. მაშინ გაიგებ, თუ როგორ მიყვარდი! ხელში ერთი კონა ველური ყვავილებით მოდი ჩემს საფლავზე, სადაც დააწერენ: „ისევ შენ ხარ, ნერგის?“

როგორ გინდა რომ მიყვარდე, ნერგის, და მე ისე შეგიყვარებ. ერთ დღეს, თუკი ისურვებ, ეს მოკრძალებული ურთიერთობა დახვეული სიგარის კვამლში გაეხვევა და ფრაზა – „დარტყი ნაფაზი, მოდი და იწამე“ ჩვენი ცხოვრების ფილოსოფია გახდება. ისე, როცა ვიტყვით, ბოჰემური ცხოვრება ჩვენი სტილიაო, ნეხვში გავახვევთ მთელ ჩვენს ცხოვრებას, ფულისთვის კი ბარებში მიმტანად ვიმუშაოთ. უთანასწორობას და უსამართლობას ავუჯანყდეთ, ცხოვრების მიზნად ღვინის სმა ვაქციოთ. ყოველ ახალ დღეს მორიგი ტაბუ დავანგრიოთ, მისი დანგრევით კი სიყვარულით ვისიამოვნოთ. არც წარსულის ანგარიში და არც მომავლის გეგმა, ვიცხოვროთ დოლარის კურსის შედარების გარეშე. 50 ლირად ლაჰმაჯუნის გამყიდველს კი არა, მყიდველს ვაგინოთ. ნუ გაგვაკვირვებს „ოლიმპიუსი“, ნერგის (აქ, ნაგულისხმევია ოლიმპუსი – ღმერთების სასახლე და მათი ცხოვრების წესი) და როცა ერთ დღეს სახლში მარტო ყოფნა მოგბეზრდება, „ასეთი ცხოვრების დედაც-თქო“, და დასალევად წავიდეთ.

მე-14 ბოთლი ლუდი „tekel fici“-ის გახსნის შემდეგ, ჩხუბს ავტეხ, ბარის ბიჭები დანით დამჭრიან, ჯიბიდან შენთვის დაწერილი წერილი დამივარდება, წაკითხვისას კი... ასე თუ ისე, იცი ეს ნაწილი, საფლავის ქვაზე კი დააწერონ – „არაფერია, ნერგის“.

ჩამომჯდარი დავფრინავ ოცნებებში, უცებ წინ ნერგისი გამომეცხადა. ვიგრძენი, ფეხის გადადგმისას მუხლები მიმტყუნებდა, კიდევ კარგი, რომ ვიჯექი. გვერდით ჩავლისას პირდაპირ არა, მაგრამ ჩემს მხარეს გამოიხედა. უტყუარია, ჩემს დასანახად გამოიხედა, მაგრამ ვერ შემამჩნია, ღიმილი კი ჩემში დარჩა. თქვენ რომ ფიქრობთ, ისე არა�ა...

არც ისე არის საქმე.

რაც თავს გადამხდა, სერმას სიყვარულით მომივიდა. სუნელებისა და ქსოვილების სუნით გაჯერებულ ერთ ვიწრო ქუჩაში შევეჩეხე მას. როგორც კი დამინახა, მობრუნდა და გაშეშდა. მეც ასევე. გარკვეული დრო თვალებით ვსაუბრობდით, უეცრად თითქოს შეწყდა ქუჩის ხმაური, ირგვლივ ყველაფერი ერთიანად გაქრა, მხოლოდ ჩვენი ორნი დავრჩით... საერთოდ არ შეცვლილა, ისეთივე მომაჯადოებელი იყო, როგორც წლების წინ. თავდაპირველად ორივე შევყოყმანდით. შეგვეძლო ერთმანეთისთვის გვერდი ჩაგვევლო, თითქოს არც შევხვედრივართ, გაგვეგრძელებინა გზა და არ შევხებოდით ძველ ჭრილობებს, არ გაგვეახლებინა მიყუჩებული იარა. იქნებ, უბრალო შინაგან წვას ვიგრძნობდით, ქუჩის ბოლოსკენ კი ეს წვაც გაგვივლიდა. თანდათან დაცილებისას, ყველაზე დიდი, მწარე ღიმილად შეგვრჩებოდა, მაგრამ ჩვენ ასე არ მოვიქეცით, ერთმანეთისკენ წავედით, მწარე წიწაკის ტომატის გასაყიდ ალაგას შევეჩეხეთ ერთმანეთს, მწარე სუნმა ცხვირი აგვიწვა და ცრემლი მოგვერია. სხვაგვარად არ იფიქროს-მეთქი და – თავი შევიკავე, მას კი თვალები აუწყლიანდა, ალბათ, მწარე ტომატის გამო. თვალების მწვანე ფერი თაფლისფერში გადაუვიდა. რა თქმა უნდა, იქნება რაღაც მეცნიერული ახსნა იმისა, თუ რატომ მოგვდის ცრემლი. ნეტა იმ წუთს მცოდნოდა! რაღაც სიტყვას მაინც ვიტყოდი. არ ვიცოდი რა მეთქვა, თითქოს ყველა სიტყვა წაშლილიყო გონებიდან. ბაზრის ხმაურს ერთი „გამარჯობა“ შეერია. ხმაური იმდენად დიდი იყო, კი არ გამიგონია, ტუჩების მოძრაობით მივხვდი მის „გამარჯობას“. „როგორი მწარეა“, – ვუთხარი მე. – „დიახ, ძალიან მწარეა“, – მიპასუხა, თან მწარე პილპილის ტომატს დაჰყურებდა. ბაზარი ერთმანეთზე გადაბმული „ტენტებით“ იყო გადახურული, ტენტებს შორის მზის სხივებს ეპოვათ გზა – გზა, რომელიც მილიონი წლობით უვლიათ და მის მუქ კულულებში იკარგებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ სამყაროში შემოჭრილი მოწყვეტილი ეს მზის სხივი დარჩენილ ცხოვრებას თავდაყირა დააყენებდა. თითქოს ორი წლის წინ ერთმანეთს არც დავცილებივართ და საყიდლებზე ერთად გამოვედით. ხვეულებში ჩარგული მზის სხივის ასაღებად თმებისკენ თავისთავად წავიდა ხელი... „არ გაბედო!“ – დაიყვირა, მაგრამ ამ ხმას ჩემს ყურამდე არ მოუღწევია. თმებზე დაყრილი ყველა სხივი მოვკრიბე მუჭში. უცებ

მაჯა ვიღაცის ხელმა გადამიბრუნა. ორივე ერთად მივბრუნდით ხელის პატრონისკენ „არა, არ ქნა“, – შესძახა „საყვარელ კაცს“. მწარე ყვირილმა შეძრა ბაზარი. ტუჩები არ დამინახავს, მაგრამ ხმა მიწვდა ყურებს. მთელი სხეულით გადამეფარა, შემდეგ ისევ ხმებმა მოაღწია, სახეზე თმები ჩამოეშალა, შავ ხვეულ კულულებს სისხლი შეერია. თვალს მოწყვეტილი ერთი წვეთი თაფლი დაეცა ტუჩებს. სუნელების სუნს სისხლის სუნი შეერია, ბაზრის მხიარული ჟივილ-ხივილი უეცრად შეწყდა.

ახლა რომ გიყვებით, ასე ნუ მიყურებთ, მეც სული გამეყინა იმ წამს. სრული სიმშვიდით აართვა სული „საყვარელმა“ და იქაურობას გაეცალა. სოფელში, ერთი ხის ძირშია სერმას საფლავი. ახლაც თვალწინ მიდგას სისხლიანი საფლავი, მისი ღიმილი კი ჩემთან დარჩა. რაც თავს გადამხდა – სიყვარულის გამო გადამხდა, თავში გაჭედილი ტყვიის პატიმრად ვაგრძელებ ცხოვრებას, რომელიც სერმას ძმისგან მივიღე ნობათად. აზრი კი ხან მოდის, ხან კი მიდის. ხან ისე მიდის, არც კი ბრუნდება, ყოველ ლამაზ ღიმილს კი სერმასთან მივყავარ. ერთ ლამაზ ღიმილს შეწირული ცხოვრების ანგარიშის ძალაც აღარ მაქვს.

ასე ნუ მიყურებთ, თქვენ რომ გგონიათ, ყველაფერი ისე არ არის....

ქალთევზა

მე მინა მქვია, ორი თვის წინ სირიიდან, ჰამადან წამოვედი დედასთან ერთად. დედამ მაგრად ჩამკიდა ხელი და მგზავრობისას ერთხელაც არ გაუშვია. ხან ფეხით ვიარეთ, ხან გადატენილი ავტობუსებით, ხანაც მტვრიანი სატვირთო ავტომობილებით ვიმგზავრეთ, გზებზე სულ თხრილები იყო, მანქანებით ხტუნვა- ხტუნვით მივდიოდით. დედას კი ერთხელაც არ გაუშვია ხელი ჩემთვის. ადამიანები გაუთავებლად რაღაცაზე საუბრობდნენ, ავტობუსში ბევრმა იტირა კიდეც, მეც ვიტირე. მამა ჰამაში მოკლეს, რატომ მოკლეს არ ვიცი, მაგრამ მაშინ დედამაც ბევრი იტირა, მეც ვიტირე.

ძალიან დიდხანს ვიმგზავრეთ. გზაში ორი ბავშვი და ერთი ბიძია გარდაიცვალა. კაცებმა ისინი გზის პირას დამარხეს. ბავშვების საფლავები შედარებით პატარები იყო. დედები ბავშვების საფლავებს ჩახვეულები მოსთქვამდნენ, წამოსვლა არ უნდოდათ, მაგრამ კაცებმა ძალად მოაცილეს საფლავებს, უნდა წავიდეთო.

ერთ ადგილას მივაღწიეთ, ხალხი თითქოს ცოტათი გამხიარულდა, გამოცოცხლდა. ზოგი კაცი ამბობდა: როცა დაბნელდება, სანაპიროზე გავალთ და ღამით გემში ჩავსხდებითო, დედას უთხრეს, თქვენ ვერ წაგიყვანთო. დედა ბევრს ეხვეწა, ემუდარა, ბოლოს უბიდან სამი ცალი სამაჯური ამოიღო და იმ კაცებს მისცა. ისინიც დათანხმდნენ: კარგით, მაშინ წამოდითო.

მე ზღვა არასოდეს მინახავს, დედასაც არ ენახა, ჩემს სოფელში ზღვა არ იყო. ზღვის ნაპირზე რომ მივედით, უკვე ბნელოდა, მაშინაც ვერ დავინახეთ. ერთ პატარა გემში ჩაგვსხეს, ბევრნი ვიყავით. დედამ ხელები მაგრად მომხვია და არ მიშვებდა. კაცებმა გაგვაფრთხილეს, გემის კიდეებს მაგრად ჩაეჭიდეთო. დედამ კიდევ უფრო მაგრად მომხვია ხელები. ზღვის ტალღები მაგრად გვაქანავებდა, ძალიან ბნელოდა და ზღვა ვერ დავინახე. სახეზე მარილიანი წყლის შხეფები მხვდებოდა, მარილიანი წყლისა და ძლიერი რყევის გამო მაღებინა. დედა გამუდმებით მიმეორებდა, არ შეგეშინდეს, ცოტაც და მივაღწევთო. მარილმა თვალები ამიწვა, ამიტომაც ცოტა ვიტირე.

ზღვა ძალიან ღელავსო, გემის კიდეს მაგრად ჩაეჭიდეთო, გამუდმებით გვაფრთხილებდნენ კაცები...

შემდეგ კი გემი გადაბრუნდა...

ჩვენს სოფელში ზღვა არ იყო, პატარა მდინარე იყო მხოლოდ, თევზები ძალიან სწრაფად დაცურავდნენ მასში. ისე... იცით, ცოტათი დიდიც კი იყო. ჩვენი სახლი ამ მდინარის პირას იდგა, ნაპირს

ხეები გასდევდა... მამამ ერთხელ ხეზე საქანელა გამიკეთა, დედამ კი ძველი წინდისგან თოჯინა შემიკერა. ის თოჯინა გზაში, ავტობუსში დამრჩა... ჩვენი სახლი ძალიან ლამაზი იყო...

...ჩვენ, ყველანი, ზღვაში ჩავცვივდით, დედამ ხელები კიდევ უფრო მაგრად ჩამჭიდა. ჩვენს სოფელში ზღვა არ იყო და ცურვაც ვერ ვისწავლეთ, ვერც დედამ ისწავლა... დედასთან ერთად ზღვის ფსკერისკენ წავედი. შემდეგ კი მოწყვეტით ისევ ზევით წაგვიღო წყალმა, მაგრამ იმდენად ბევრნი ვიყავით, რომ ზემოდან ფეხებით გვაწვებოდნენ და ისევ ფსკერისკენ გავექანეთ. დედას ერთხელაც არ გაუშვია ჩემთვის ხელი, მაგრად ჩამეხვია, მარილიანმა წყალმა ყელი ამიწვა. მე კი შინაგანი ხმით ვუთხარი: „ნუ გეშინია, დედა“. უბრალოდ ტირილი მინდოდა. დედა მაგრად მომეხვია, სულ თვალებში მიყურებდა... ჩვენ საერთოდ ვერ ამოვედით ზღვის ძირიდან...

მე მინა მქვია, ხუთი წლისა ვარ და ორი თვის წინ ჰამადან დავადექით გზას.

ჩვენ ზღვა გარედანაც არ გვენახა... ერთი კვირაა ზღვის ფსკერზე ვწევარ.

მე პატარა ქალთევზა ვარ, ხმელთაშუა ზღვის გოგო, ზღვა უკვე ჩემი დედაა. დედა მჭიდროდ ჩამეხვია და ერთხელაც არ გავუშვივარ, რადგან დედებს გოგონები განსაკუთრებით უყვართ.

ჩვენში არსებული მამრი

ციხის სასეირნო ეზო ერთი 4×8 ოთხკუთხა ფორმის ჭის მსგავსი ბეტონია, ნაბიჯს რომ ვერ დაასრულებ. დილით იწყებ სიარულს და საღამოს ხედავ, რომ ისევ საწყის მდგომარეობაში ხარ. როგორც ადამიანი, ორი პირი ვიყენებთ ამ ალაგს – მე და ვექილი აბდულაჰ ზეიდანი. მაგრამ მარტო მამაჩვენის ქონება არაა ეს ალაგი, ჭიანჭველებისა და ობობების სამფლობელოცაა, უფრო სწორად, ეს ციხე მათი ბუდის თავზე აუშენებიათ და სახლის მეპატრონეებივით გვეპყრობიან. არც მთლად უსამართლოდ. რა თქმა უნდა, ჩვენც ვცდილობთ, არ შევაწუხოთ ბატონები. საკმაოდ ურთიერთპატივისცემით სავსე ურთიერთობა გვაქვს.

ჭიანჭველათა კოლოსალური კოლონის შრომისა და ბრძოლის ერთიანობაზე დაკვირვება ადამიანს სიცოცხლის ხალისით ავსებს. თითქმის უწყვეტად, აღტკინებული ჟინით აღსავსენი, აგრძელებენ ბრძოლას და ციხის ბნელ ბნელ კუნჭულებში უხმაუროდ, უჩუმრად, სამაგალითო მშენებლობებს მართავენ. აი, ობობები კი ჭიანჭველებთან შედარებით ცივი არსებები არიან, თითქმის უმოძრაო, დილამშვიდობისაო, ეუბნები კაცი და ის კი ართავს, ართავს... ძაფებს მხოლოდ საკუთარი ქსელის დასართავად იყენებს. კიდევ ბეღურებია, რა თქმა უნდა. ციხის სახურავის ნაპირთან ცარიელ ხვრელში ბუდის აშენებას ცდილობს ბეღურების წყვილი. დღეების მანძილზე ეზიდებიან ხმელ ბალახ-ბულახს, წვრილ ტოტებს. რა თქმა უნდა, დედალი მეტი თავდადებით შრომობდა, მამრი ხანდახან თუ მოახეტებდა წვრილ ხმელ ტოტს, უმეტესად ბუდის შესასვლელთან, მავთულხლართზე შემომჯდარი გვეარტისტებოდა. ცოდვა არ მინდა ავიკიდო, იქნებ მისი მოვალეობაც ეს იყო... მშენებლობა ათ დღეს გაგრძელდა. ჩვენც ვეხმარებოდით შეძლებისდაგვარად, გისოსებიანი ფანჯრის რაფაზე წყალსა და პურის ნამცეცებს ვაწვდიდით. ერთხელ დედალმა ბეღურამ მითხრა: „ღმერთმა დაგლოცოთ, ძმაო, თორემ ამ ბედოვლათის შემყურეს, საკვებიც საზრუნავი მექნებოდაო“. „მე მეუბნებით?“ – ვკითხე განცვიფრებულმა. „დიახ, თქვენ გეუბნებით, მიგებთ?“ ყურებს არ დავუჯერე, ბავშვობაში უთავბოლოდ, ნახევრად ნასწავლი ჩიტების ენა თურმე არ დამვიწყებია. „რას ამბობთ, ქალბატონო, მშენებლობით ხართ დაკავებული, საკვებზე ზრუნვა მაინც ავარიდოთო, ვიფიქრეთ. რაიმე თუ დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ, ბოლოსდაბოლოს, მეზობლები ვართ“, – დავამატე. ამ დროს მამრი ბეღურა გამოძვრა ბუდიდან:

„ვის ელაპარაკები, ქალო, შენ?!“

„არავის, ვიფიქრე, საკვებისთვის მადლობას ვეტყვი-მეთქი მეზობელს“.

„შედი შიგნით!“

უსიამოვნება რომ არ გაგრძელებულიყო, წამში ბუდეში შეძვრა ქალბატონი ბელურა.

„გისმენ, ძმაო, რაიმე პრობლემაა?“ – თვალი თვალში გამიყარა მამრმა.

„არა, ძმაო, რძალს ვკითხეთ, რაიმე ხომ არ გჭირდებათ-მეთქი“.

„კარგი, გეყოფათ, თუ რამე, მე მითხარით“, – უხეშად მომაძახა მამრმა.

„გასაგებია, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი“, ვუთხარი და ნელა მივხურე ფანჯარა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვნახეთ, რომ ჩვენს რძალს „ემშობიარა“ – ორი კვერცხი ედოთ, წყვილი, ტყუპები გაუჩნდებათ მეზობლებს. „ღმერთმა ქნას, შვილები მამას არ დაემსგავსონ“, – გავივლე გულში.

ისე, ციხეში უმი კვერცხი აკრძალულია, მოხარშულისგან კი არ იჩეკება. და აქედან გამომდინარე, შეიძლება დაწესდეს რაღაც ცხოვრებისეული აკრძალვები... სხვათა შორის, ჩვენი რძალი ბუდის აშენებისას ფეხმძიმედ ყოფილა. ვაჟბატონი კი, – აბა, თუ მაგარი ხართ, ჰა ბურთი, ჰა მოედანიო, – ფოსტას დააგზავნის. ამას წინათ დილით გადამეტებულმა ხმაურმა გამაღვიძა, კარები ჯერ არ იყო გახსნილი, ზედა სართულის ფანჯრიდან უფრო კარგად ჩანს ბუდე, ავდექი, ფანჯრიდან გავხედე.

ისეთი აურზაური იდგა, დაყრუვდებოდით, იფიქრებდით, მიტინგის დაშლა დაიწყესო. „kaz atmaın, kaz atmain“ „kaz-ი არ დააგდოთ, kaz-ი არ დააგდოთ“, ყვიროდა ერთ-ერთი (აქ მწერალს „კაზ“ მინიშნებით უწერია, ერთხელ ფერათ თუნჩის კონცერტზე სელაჰათინ დემირთაშმა და სირრი სურეა ონდერმა თურქული შეასრულეს ერთად, ონდერმა თქვა: ამ სცენაზე მყოფი მუსიკოსები თუნჩის ლერწმის მეგობრებია, ჩვენ კი kaz, ანუ ბატი მეგობრები ვართო. დემირთაშმა განმარტა: ონდერი გ-ს ვერ ამბობს, „გაზ მეგობრები ვართ“ უნდოდა ეთქვაო, და აქაც ეს გამონათქვამი გამოიყენა: კაზ ათმაინ, ანუ გაზ ათმაინ – გაზი არ დააგდოთ, შეუტიეთო). ოთხი მამრი ბელურა ბუდის შესასვლელს შემოხვეოდნენ და გაავებით გნიასით ჭყლოპინებდნენ, ჩემი მეზობლები კი თავგანწირვით იცავდნენ ბუდეს და კვერცხებს. ხმაურიდან გამომდინარე, თავდამსხმელები სამთავრობო ჩიტები იყვნენ. კომისარი აბურძგნული ბუმბულითაც იცნობოდა: „ძმაო, შენ ეგ ბუდე ლეცენზიის გარეშე აგიგია, ამას აქეთური-იქითური აღარ უნდა, ან ბუდეს დაანგრევთ, ან ბარტყებიდან ერთს ჩიტების მთავრობას გადასცემთო“, – ოფიციალური ტონით გაჰყვიროდა, დანარჩენი სამი კვერს უკრავდა: „დიახ, მისცემთ!“ და ამით მბრძანებლის ტონს აძლიერებდნენ.

ბუდის შესასვლელს ფრთებით აფარებული დედა ბელურა თავგანწირული ჭყლოპინებდა: „ჩემი სულის ართმევის გარეშე ვერც ბუდეს დაანგრევთ, ვერც შვილებს წამართმევთ...“ მამრი კი, მის გვერდით, – „დიახ, ბატონო, ჩემი ჰანუმი მართალს ამბობს, მისი სულის ართმევის გარეშე, შვილებს ვერ წაიყვანთო“... კომისრის გუნდმა წრე საკმაოდ შეავიწროვა: „მეტს აღარ გაგაფრთხილებთ, მთავრობის ბრძანებას ვერ უგულებელყოფთ, ორივეს ციხეში გაგიშვებთო!“ – მიმართა კომისარმა.

მეზობელი წყვილი შემომიბრუნდა, თვალებში ჩავხედეთ ერთმანეთს: „რას გვეტყვი, რას გვირჩევ, რა ვქნათო“, – ამბობდნენ თვალებით. „ვფიქრობ, უნდა შეებრძოლოთ, წინააღმდეგობა გაუწიოთ“, – ვუპასუხე თვალებითვე.

„ბოლო ამოსუნთქვამდე გავუწევ წინააღმდეგობას!“ – ვაჟკაცურად შესძახა დედა ბელურამ. მამრმაც, ამაყი შეძახილით დაამატა: „ბოლო ამოსუნთქვამდე გაუწიე, ქალო, წინააღმდეგობა!“ დედა ბელურამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, თვალის დახამხამებაში გაიქროლა და მავთულხლართებში დაუჯერებელი არეულობა და ქაოსი შეიქმნა. ლეგენდარული თავგანწირვით იბრძოდა ის ოთხი

მამრი მთავრობის ჩიტის წინააღმდეგ. მამრი კი გვერდიდან გაუთავებლად ჭივჭივებდა – „კომისარო, ერთი წუთით, ამბის ატეხა არაა საჭირო, ორი შვილი ჩვენთვის ბევრიაო!“

შუა ბრძოლაში დედა ჩიტმა მამრს ისეთი განმგმირავი თვალებით გადმოხედა, მამრი ბუმბულის შიგნით ჩაიმალა და ლამის საკუთარი თავისხელა გახდა. გადაუმეტებლად გეტყვით, ათი წუთის განმავლობაში დედა ჩიტი ისეთი თავგანწირვით ებრძოდა ოთხ მამრ მთავრობის ჩიტს, რომ ისინი სასეირნო ეზოს ტერიტორიიდან განდევნა. ამ ხნის განმავლობაში, მრისხანე, სასტიკი თავდასხმის მიუხედავად, დედა ჩიტმა ბუდისა და შვილების დაუჯერებელი თავდაცვისუნარიანობა გამოავლინა. სამაგიეროდ, მავთულხლართებზე შემომჯდარი, გაბღენძილი ჩემი სქესის წარმომადგენელი, რომელსაც ჰამზა შევარქვი, ტრაბახით გადმომყურებდა.

სულაც ნუ მიყურებ მასე, ჰამზა, ძმაო! ჯერ შენში არსებული მამრი გყავს ჩასაკლავი.

ჰამზამ ცარიელი თვალებით გადმომხედა, ამჯერად არაფერი უთქვამს.

თუ რაიმე განვითარება მოჰყვება ამ ამბავს – აუცილებლად დავწერ, აქ ვარ მაინც.

ანგარიში დედასთან

1981 წელი იყო. მე 8 წლის, ჩემი ძმა კი – 9-ისა იყო. ეს წელი მართლაც რომ შავი წელი იყო. რამდენიმე თვის წინ დიდი, შემზარავი, დაუნდობელი სამხედრო გადატრიალება მოხდა. მე და ჩემი ძმა ამის გაგებაშიც არ ვიყავით, და არც ჩვენი თემა ეხება ამ საკითხს. სახლში შაქარი გათავებულიყო; საერთოდ, ჩვენი სახლის ქვეშ მდებარე დუქანში ვყიდულობდით კილოობით, მაგრამ ასე ძვირი გამოდიოდა, ამიტომაც, დედა, შენ საბითუმოში გაგვაგზავნე – 5-კილოიანი იყიდეთო. ჩვენი სახლიდან საბითუმომდე 1 კილომეტრია. დუქანში 5-კილოიანი შეკვრით შაქარი 300 ლირა იყო, მებითუმესთან – 250. შენც 250 ლირა მოგვეცი. ჩემს ძმასთან ერთად წავედი და შაქარი ვიყიდეთ. რადგან პატარა ვიყავი შაქრიანი ტომარა ჩემმა ძმამ დაიჭირა, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ძირს დააგდო, ცოტა დავისვენეთ და ერთმა, ერთ ყურში, მეორემ მეორე ყურში, მოვკიდეთ ხელი და კიდევ რამდენიმე ნაბიჯით ვათრიეთ. დავიღალეთ, ისევ ძირს დავაგდეთ. მივხვდით, რომ ამხელა ტომარას ვერ წავიღებდით. გზის პირას ცოტა შევისვენეთ და ერთ ცხენიან ეტლთან მივედით, ჩემმა ძმამ მეეტლეს ჩვენი სახლის მისამართი უთხრა და რამდენად წაგვიყვანო, შეეკითხა. მეეტლემ ჯერ ჩვენს 5-კილოგრამიან ტომარას უცნაურად გადმოხედა და – 50 ლირაო, გვითხრა. არ ვიცოდით, შევაჭრება თუ შეიძლებოდა და ჩვენც იმ წუთშივე დავთანხმდით. შაქრიანი ტომარა ეტლზე შემოვდეთ, ჩვენც შემოვჯექით და სახლამდე სულ ფეხების ქნევით მოვედით. მეხუთე სართულზე ვცხოვრობდით და მეეტლემ შაქარი კარამდე აგვიტანა. არ ამოიტანდა, მაგრამ ჩვენ ერთი ყურუშიც არ გვქონდა და იძულებული გახდა, ფულის ასაღებად ამოვიდა. კარი რომ გაგვიღე, ჩვენ ყველაფერი მოვყევით, ჯერ ხუმრობა გეგონა, მაგრამ როცა მიხვდი, საქმე სერიოზულად იყო, 50 ლირა გამოიტანე და მეეტლეს მიეცი. მებითუმესთან ნაყიდი შაქარი იგივე ფასი დაჯდა, რაც ჩვენი სახლის ქვეშ დუქანში ღირდა. ის იყო და ის, მას შემდეგ, მე და ჩემი ძმა კაპიტალის მონოპოლიზაციის წინააღმდეგი და კაპიტალის მასებზე გადანაწილების მომხრე ვიყავით. და ამის პირველი პოლიტიკური აქციაც ეს იყო: არ გადავუხადეთ მედუქნეს 300 ლირა და გადავანაწილეთ, ბატონო, მებითუმეს 250 და მომტანს – 50. მაგრამ შენ ხომ ვერ დაგაჯერეთ ამაში და ამიტომაც ყოველივე ზემოთქმულის განხორციელების დაწყებამდე აირ-დაირია ყველაფერი, და შენს გამო, თურქეთი, თავისუფალი მოხმარების ბაზრიდან, ეკონომიკურ ბაზარზე გადავიდა. აი, შეხედე, საიდან სად მოვიდა ქვეყანა! დიდი ცოდვა აიკიდე, დიდი! ერთხელ, მაწონი შეაყენე, ნახევარი ქოთანში ჩაგვისხი და – „ეს ჰაჯი

ბაბუას წაუღეთო“, მე და ჩემი ძმა თამაშ-თამაშით, ზოზინ-ზოზინით ოთხი უბნის ქვემოთ მდებარე ბაბუას სახლში წავედით. როცა მივედით, უკვე შუადღე იყო, თან კარგად დაღლილებიც ვიყავით, ბაბუამ – მოშიებულები იქნებითო და, მიტანილი მაწონიდან დაგვისხა. ჰოდა, მე და ჩემმა ძმამ მიტანილი მაწონი მთლიანად შევჭამეთ. ბებიამ კონტეინერი გარეცხა და გამოგვატანა. რომ მოვედით, ასე რატომ დაგაგვიანდათო, გვკითხე.

– ბებიასთან საჭმელი ვჭამეთ და იმიტომ დაგვაგვიანდა!

– რა ჭამეთ?

– მაწონი ვჭამეთ.

– მე რომ მაწონი გაგატანეთ, ის შეჭამეთ? – გვკითხე გაკვირვებულმა.

– დიახ, – ისე გიპასუხეთ, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყო. შემდეგ, წლების განმავლობაში, ამ ამბავს ხალხს უყვებოდი, უყვებოდი და იცინოდი. თუმცა ეს არც არასდროს მომჩვენებია არანორმალურად და უცნაურად. ლოგიკას იქნებ ვერ ჩავწვდი, მაგრამ საკმაოდ ნორმალურად მეჩვენებოდა. და ამდენ ფიქრში, წლების შემდეგ, ციხეში ყოფნისას ამოვხსენი: შენ მაწონი იმიტომ კი არ გაგვატანე, რომ სჭირდებოდათ, არამედ იმისთვის, რომ გახარებოდათ. ჰოდა, ჩვენ რომ მაწონი მივუტანეთ, გაიხარეს კიდეც, მაგრამ იგივე მაწონი რომ შვილიშვილებს აჭამეს, კიდევ ერთხელ გაიხარეს! ჰოდა, შენი შეყენებული მაწვნით შექმნილი ერთი გახარებისგან, ჩვენ ორჯერ გახარება შევქმენით, აბააა! 36 წელი ყვებოდით და უსამართლოდ იცინოდით ჩვენზე – სასტიკად, უსამართლოებო... ჰო, მართლა, იმ წელს, „namaz kullahı“-ს – ნამაზის ქუდის (ნაქსოვი პატარა ქუდი ლოცვის დროს იხურავენ კაცები) საქმეშიც გავეხვიეთ. შენ აკრილის ძაფისგან, საქსოვი ჩხირებით, ნამაზის ქუდებს ქსოვდი, ჩვენ კი, მე და ჩემი ძმა ნურეთინი, ვყიდდით. გეთანხმები, ჩვენ რომ გვინდოდა, მთლად ისე ვერ მიდიოდა საქმე, რადგან იმ დროისთვის „ნამაზის ქუდების“ მსოფლიო ბაზარი ისედაც გადაჭარბებულად გადავსებული იყო. მაგრამ შენ პასუხისმგებლობა მხოლოდ მარკეტინგს დააკისრე, წარმოების დაწყებისას ბაზრის მოთხოვნილებით არც დაინტერესებულხარ და არც გამოგიკვლევია. თან იმ დროს გაცილებით მოთხოვნადი იყო წვრილად ნაქსოვი, პასტელის ფერის „ნამაზის კულაჰები“, ყოველ შემთხვევაში, „ჰაჯი“ (მექა-მედინაში მოსალოცად ნამყოფებს აქ ასე უწოდებენ) ბიძიებს ასეთი ერჩიათ. შენ კი მსხვილად ნაქსოვ, ბორდოსფერ, ხაკისფერ, შავი და წითელი ფერის ნამაზის ქუდებს აწარმოებდი. არა... აბა, წითელ-მწვანე ნამაზის კულაჰი შეიძლება? მაგრამ შენ მაინც მოქსოვე. დიარბაქირის სტადიონთანაც ვყიდდით, ულუ-ჯამის წინაც. უმეტესობა, რა თქმა უნდა, ჰაჯი ბაბუას მივყიდეთ მაინც. როცა საქმე რიგიანად არ მიგვდიოდა, ჰაჯი ბაბუას დუქანში მივდიოდით, თან მოწოდებულ „გოლფრედებს“ და „ვაფლებს“ ვჭამდით, თან ერთ-ორ ნამაზის ქუდსაც მივყიდდით. ჰა�ა, რომ იცოდე, სულ ცოტა ოცი ცალი მამას მივყიდეთ, და როგორც მახსოვს, მგონი, 25 ცალამდე იყო. ერთ დღეს, სადილზე, მამა მოვიდა სახლში, ასეთი რამ ხშირად არ ხდებოდა, მაგრამ იმ დღეს გადაწყვიტა სახლში ესადილა. შენ, დედა, სასწრაფოდ სუფრა გაშალე, ჩვენ კი პურისთვის ქვემოთ დუქანში გაგვგზავნე. დუქნის ხსენებისას, ჩვენ მხოლოდ ერთ დუქანს მოვიაზრებდით და ეს ბაბუას დუქანი იყო. თამაშ-თამაშით, ზლაზვნა-ზლაზვნით წავედით. ვაფლიც შევჭამეთ და ისევ ზლაზვნით როცა მოვედით სახლში, სამი საათი გადასული იყო. „სად იყავით თქვენ?“ – შეცხადებით გვკითხე. „ბაბუას დუქანში...“ „კი მაგრამ, პური სად არის?“ იმწუთშივე ჩემს ძმას შევხედე, თითქოს პურზე პასუხისმგებელი დირექტორი ის იყო და მე რას მეკითხები-მეთქი, ისეთი სახით შეგხედე... მაგრამ ვერ გაჭამე... მამას უპუროდ ეჭამა საჭმელი და ისე წასულიყო. თუ რატომ მოხდა ასე, მაგის ლოგიკური ახსნა ვერ ვიპოვე, ამიტომაც, მოდი, გამოვტოვოთ ეს საკითხი. ბოლოს და ბოლოს, 1981 წელი რთული წელი იყო ჩვენთვის... მაგრამ, ერთ დღესაც, ყველა რთული წელიწადი მთავრდება...

შენი და ყველა დედის ხელებს ვემთხვევი, დედა...

მარტო როგორც ისტორია

მამასთან არასდროს მქონია თბილი ურთიერთობა, მამაშვილური საუბრები. ამბობენ, გოგოების მამებთან ურთიერთობა განსაკუთრებულად თბილიაო, მაგრამ მე არასდროს გამჩენია ასეთი გრძნობა. როგორც ვიცი, ინერტული კაცი იყო. მხოლოდ ჩემთვის არა – ყველასთვის. არასდროს მინახავს, რომ დედას და მამას ეჩხუბა, მაგრამ არც ის მჯეროდა, რომ მათ ღრმა გრძნობები აკავშირებდათ ერთმანეთთან. ვფიქრობ, დედაჩემმა თავიდანვე იგუა მისი ასეთი ხასიათი და ამ გზით დათანხმდა მშვიდ ცხოვრებას. ბუნდოვნად მახსოვს ის დრო, როცა ისინი მხიარულობდნენ და მხიარულად საუბრობდნენ. ისპარტაში ვარდების დიდი ბაღი გვქონდა, მამა ვარდებით ვაჭრობდა. მე და დედაჩემი მთელ დროს ვარდების შეგროვებაში ვატარებდით. მამაჩემს საშუალო სკოლა ჰქონდა დამთავრებული, დედა კი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ჩემი ძმა, რომელიც ჩემამდე დაიბადა, ორი თვის ასაკში გარდაიცვალა, ჩემს შემდეგ კი სხვა შვილი არ ჰყოლიათ. მე ვეხმარებოდი ვარდების მოვლაში, როცა პატარა ვიყავი, მაგრამ არასდროს მომწონდა ვარდების ბაღში მუშაობა. სწავლა მინდოდა. მამა თავისებურად მამხნევებდა და მხარს მიჭერდა. მას შემდეგ, რაც სტამბოლში წავედი და არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ისპარტაში საცხოვრებლად აღარ დავბრუნებულვარ. ზაფხულობით მხოლოდ დასვენებების დროს, მცირე ხნით ვჩერდებოდი სახლში. ხუთი წლის წინ, როცა დედა დავკარგე, ერთი კვირა დავრჩი ისპარტაში მამასთან. მარტო დატოვება არ მინდოდა. იმ ერთ კვირაში სამჯერაც არ გვისაუბრია წესიერად. მამაჩემმა გულში, უხმოდ გადაიტანა თავისი უბედურება და ტკივილები. ვგრძნობდი დედაჩემის სიკვდილით გამოწვეულ სიცარიელეს მასში. მე და დედა უფრო ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. კვირაში რამდენჯერმე ვსაუბრობდით ტელეფონზე. ჩემი დიდი თხოვნის და უფრო კი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ის ორჯერ ჩამოვიდა სტამბოლში და ძალიან კარგადაც გავერთეთ დედა-შვილი. ვიცოდი, მამა არ მოინდომებდა ჩამოსვლას, ამიტომ არც შემითავაზებია. დედაჩემის უეცარი სიკვდილის ფონზე თითქოს სულ მარტო დავრჩი, არ მიგვრძნია, რომ გვერდით მამა მყავდა და არც ველოდი, რომ ის დედაჩემის ადგილს შემივსებდა. მგონი, არც მამაჩემს ჰქონია მსგავსი მოლოდინი ჩემგან. ვიცოდი, რომ ვუყვარდი, მაგრამ ჩვენ არასდროს ვიყავით საკმარისად ახლოს, რომ ეს ეჩვენებინა. ერთი შემთხვევაც კი არ მახსოვს ცხოვრებაში, ის ცუდად მომქცეოდა ან სულაც გაბრაზებულიყო. მშვიდი, წყნარი, კარგი ადამიანი იყო.

მამაჩემთან გატარებული ერთი კვირის ბოლოს ვუთხარი:

– მამა, დროა, ახლა სტამბულში უნდა დავბრუნდე.

– რა თქმა უნდა, შვილო. შენ წადი, შენს საქმეს მიხედე, ჩემზე არ ინერვიულო, – მიპასუხა.

ასეთი ემოცია მის ხმაში პირველად შევნიშნე.

– თუ გინდა, ერთად წავიდეთ, ცოტა ხანს ჩემთან დარჩები, გარემოს შეიცვლი, – მეც კი გამიკვირდა, ისე გულწრფელად ვუთხარი.

– არა, შვილო, მე აქ კარგად ვარ, თან ვარდების მოსავალიც მისახედია. ამას რომ მოვრჩები, მერე ვნახოთ.

დავემშვიდობე და სტამბოლში დავბრუნდი. ოფისში იმდენი საქმე დაგროვილიყო, ფეხს ვერ გადაადგამდი, და მეც მთლიანად საქმეში გადავეშვი, რამაც კარგად იმოქმედა ჩემზე. პარტნიორთან ერთად დაარსებული არქიტექტურული ოფისის მუშაობა დღითიდღე უმჯობესდებოდა. მოკლე დროში ავიღეთ ისეთი მასშტაბური პროექტები, რომლებსაც აქამდე ვერც კი წარმოვიდგენდით – ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვქონდა სტამბოლში მიმდინარე ურბანული ტრანსფორმაციის პროცესში. მე და ჩემი ბიზნესპარტნიორი ფირათი უნივერსიტეტიდან ვმეგობრობთ. ბოლო კურსზე

დავუახლოვდით ერთმანეთს და დამთავრების შემდეგ, ერთად გავხსენით არქიტექტურის ოფისი. როცა სტამბოლში ჩამოსულ დედას ფირათი გავაცანი, მითხრა, ეს ბიჭი ხელიდან არ გაუშვა, შვილო. დედაჩემის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე დედის სიტყვები გავითვალისწინე – ფირათთან ვიქორწინე. მამაჩემს დავურეკე და ვუთხარი, ვთხოვდები-მეთქი. „ბედნიერებას გისურვებ, შვილო, გილოცავ, შენით ძალიან ბედნიერი ვარ“. მეგობრების წრეში მოკრძალებულად აღვნიშნეთ ქორწილი. არ ჩამოსულა, მაგრამ საღამოს ტელეფონით დაგვირეკა და თბილად მოგვილოცა. ჩვენი ქორწილიდან რამდენიმე ხნის შემდეგ დამირეკა: „ბაღი გავყიდე, ფინიკიაში ერთ პატარა ადგილას დავსახლდი. მისამართს გამოგიგზავნი, ჩემზე არ იდარდოო“. „მამა, წარმატებებს გისურვებ, თუ რამე დაგჭირდეს, აუცილებლად დამირეკე“. დაახლოებით ათ დღეში ფინიკიაში ერთი მეთევზეთა სოფლის მისამართი გამომიგზავნა... მესიჯით მწერდა, რომ კარგადაა, „თუ გზა დაგირჩეთ, აუცილებლად შემომიარეთო“. „თავს მიხედე, აუცილებლად გინახულებთ-მეთქი“, მივწერე. თვეში ერთხელ აუცილებლად მირეკავდა, მეც ვეკითხებოდი, როგორ იყო. ყოველთვის მეუბნებოდა, რომ კარგად იყო, რომ კომფორტულად გრძნობდა თავს. ფირათთან ქორწინება ისევე კარგად მიდიოდა, როგორც ჩვენი ოფისის საქმეები. კვირაში ექვს დღეს ვმუშაობდით, კვირას ვისვენებდით, შაბათს საღამოს ბეიოღლუზე ჩვენს საერთო მეგობრებთან ერთად ვსვამდით, დავდიოდით კინოში ან თეატრში. ფირათი ძალიან დაინტერესებულია ლიტერატურით. მეც მიყვარს კითხვა, მაგრამ ფირათი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყველა ახლად გამოსულ წიგნს და გულდასმით სწავლობდა ხოლმე. ყოველ შაბათ-კვირას წიგნის მაღაზიებში იკარგებოდა და ახალი წიგნებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა. წიგნებისადმი ასეთი ინტერესი მეც გადმომდო. ყოველთვის მთავაზობდა წამეკითხა რომანები, რომლებიც განსაკუთრებით მოსწონდა. მეც ვენდობოდი მის არჩევანს და, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული არასდროს ვრჩებოდი. ერთ დღეს საწოლში იწვა, წიგნი დახურა, რომელიც ახლახან დაამთავრა და მკერდზე დაიდო, ჭერს მიაშტერდა და დიდი ფიქრის შემდეგ თქვა:

– ვა�ა! აი კაცი, მისი პირველი რომანია, მაგრამ კარგად წერს, ნამდვილი სიტყვის ოსტატია! – შემდეგ კი, – შენც უნდა წაიკითხო, მოგეწონებაო, – მითხრა და მომაწოდა. წიგნის სათაურიც შთამბეჭდავი იყო: „მარტოსული, როგორც ისტორია“. ავტორი ჰასან ვეფა კარადაღლი. პენსიაზე გასული ინჟინერ-მექანიკოსი. ავტორის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ იყო, ფოტოდან ერთი მოხუცი იმზირებოდა. გადავხედე და საწოლთან თაროზე შემოვდე – მოგვიანებით წასაკითხად.

მეგაპოლის ქალაქში ურბანული ტრანსფორმაციის ფარგლებში დიდი სისწრაფით მიმდინარეობდა ძველის ნგრევა და მათ ადგილზე ახალი პროექტების შენება. განსაკუთრებით კადიქოი ფიკირტეფეს მხარეში განხორციელებულმა პროექტებმა იმდენად დიდი მოგება მოგვიტანა, რომ მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრების სტანდარტები. მოგებას უძრავ ქონებაში ვდებდით, შემდეგ ვყიდით და, გარდა არქიტექტურული პროექტებისა, ამ გზითაც დამატებით შემოსავალსაც ვშოულობდით, მაგრამ ისაა, ამ ტემპმა და მოგების მუდმივმა ჟინმა თითქოს მანქანად გვაქცია და მოგებული თანხის დასახარჯადაც ვერ ვპოულობდით დროს... რომ არა მეგაპოლის ქალაქში ურბანული ტრანსფორმაციის საპირისპიროდ მიმართული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და სახალხო მოძრაობები, თითქმის არაფერი ხდებოდა, რასაც შეეძლო შევეწუხებინეთ. ბედნიერი ვიყავი თუ არა, ამაზე ფიქრის დროც კი არ მქონდა. ვშრომობდით, საკმაო ფულს ვშოულობდით და კარგად ვცხოვრობდით. მე და ფირათს სერიოზული პრობლემები არასდროს გვქონია. ხშირად ერთმანეთსაც ვერ ვხედავდით. ამ დაძაბულობაში და მუდმივ გადარბენაში მყოფი, საღამოობით, ძილის წინ თუ ვპოულობდი დროს წიგნის რამდენიმე გვერდის წასაკითხად. ფირათის შემოთავაზებიდან, მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შევძელი ხელში ამეღო „მარტოსული, როგორც ისტორია“, მიუხედავად

იმისა, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი, წიგნი გადავშალე და პირველივე გვერდიდან თითქოს დამიპყრო ნაწარმოებმა. როცა ძილმა წამიღო, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ წიგნის თითქმის ნახევარი წაკითხული მქონდა.

მეორე დღეს ოფისიდან ადრე წამოვედი. ჩემი გონება წიგნს დასტრიალებდა. სახლში მისვლისთანავე კითხვა გავაგრძელე. ფირათმა დამირეკა და მითხრა, რომ მშენებლობიდან ოფისში დაბრუნდება და გვიანობამდე იმუშავებს, მე კი შემთხვევით ვისარგებლე და წიგნში ჩავეფალი. გვიან, როცა ფირათმა ფრთხილად შემოაღო კარი, რომ არ გავეღვიძებინე, ბოლო გვერდს ვკითხულობდი. ის მისაღებში შემოვიდა და ჩუმად მკითხა: „ჯერ არ გძინავს?“ წიგნზე თვალის მოუშორებლად, ჩურჩულითვე ვუპასუხე: „არა“. ის უბრალოდ იდგა და მიყურებდა ერთი-ორი წუთის განმავლობაში. ბოლო წინადადების წაკითხვის შემდეგ მივუბრუნდი და ვუთხარი: „ვაიმე! შოკისმომგვრელია!“ „ჰო, ჩემზეც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, – თქვა მან და ჩემს გვერდით მოკალათდა. – ხალხმრავლობაში, მრავალრიცხოვან საზოგადოებაში ადამიანის მარტოობა ამაზე უკეთ ვერ აიხსნება. ხანდახან ვფიქრობ, ნერმინ, ამდენს ვშრომობთ, ვშოულობთ კიდეც, მაგრამ კონკრეტულად ფულის გარდა რა მოგება გვაქვს? მარტოობის განცდა, რომელსაც ამდენი ფული მიქმნის, დროდადრო მაშინებს. უბრალოდ, დაფიქრდი, სოციალური და კლასობრივი თვალსაზრისით ამაღლება ატმოსფეროდან კოსმოსში გადასვლას ჰგავს. მაღლა ასვლისას, იქ ცოცხალი არსებების რაოდენობა თანდათან მცირდება. შორდები ადამიანებს და მოგზაურობ კოსმოსში საკუთარ მარტოობასთან ერთად. სამწუხარო ის არის, რომ დღედაღამ ვშრომობთ, თითქოს თავს ვაკლავთ, რომ ამას მივაღწიოთ. როცა იმ ადგილიდან, სადაც სიცოცხლეა, თვით მჩქეფარე შუაგულიდან მივილტვით მაღლა, იმ ადგილისკენ, სადაც არ არის სიცოცხლე... ზოგჯერ შეგნებულად გასაცოდავებულ უბადრუკად ვგრძობ თავს...“

როცა ამას ამბობდა, ფირათი თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა. „დიახ, მართალი ხარ, დადგა დრო, ამაზეც ვიფიქროთ. თან უფრო მეტი სიფრთხილე და გულმოდგინება გვმართებს, რომ ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინოთ“, – ვუთხარი მე. ფირათი მომიბრუნდა, თვალებში ჩამხედა. „ნერმინ, მოდი, ხვალ დილით დასასვენებლად წავიდეთ, მშვიდ გონებაზე ამ პრობლემის მოგვარებაზეც ვიფიქროთ და თან დავისვენოთ. ჰა, რას იტყვი?“ „კარგი, დამშვიდდი, ასე უცებ ყველაფრის მიტოვება და ხვალვე წასვლა შეუძლებელია“, – შევეცადე უარი მეთქვა.

საკუთარ თავს ვერ ვუჯერებდით, როცა დილით ადრე მანქანის საბარგულში ჩავალაგეთ ჩემოდნები. ისიც კი დავგეგმეთ, რომ ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მოგზაურობის შემდეგ, ფინიკიაში, მამაჩემთან შევივლიდით. გზად მამაჩემს დავურეკე, ვუთხარი, რომ სამოგზაუროდ ვიყავით და ათ დღეში მასაც შევუვლიდით. მითხრა: „მოდით, შვილო, მშვიდობიან გზას გისურვებთო“. ამ დროის მანძილზე, რაც ეგეოსის ზღვის სანაპიროზე გავეტარეთ, დავტკბით ზღვით, ვიხეტიალეთ, ბევრი ვისაუბრეთ ჩვენს წარსულზე, მომავალის გეგმებზე, კაცობრიობის მიერ ცივილიზაციის სახელით ჩადენილ სისასტიკეზე, დრამებზე, ქვეყანაში და მსოფლიოში არსებულ მძიმე ვითარებაზე, კულტურულ დაკნინებაზე, ურთიერთობათა ინდივიდუალიზმზე, ჩვენს სიყვარულზე, კაცობრიობის განვითარების მანძილზე ჩამოყალიბებულ სიყვარულის სახესხვაობებზე და მუტაციებზეც კი.

როდესაც ფინიკიაში ჩავედით, თავს სარეაბილიტაციო ცენტრიდან ახალგამოსულებივით ვგრძნობდით. მამამ ისე დაგვაკვალიანა, არ გაგვჭირვებია მისი საცხოვრებელი ადგილის პოვნა. ეს იყო გზისპირა ხეივნის შიგნით მდებარე, პატარა ტყით შემოსაზღვრული ხუთი-ექვსი დუქნისა და ოციოდე სოფლური სახლისგან შედგარი პატარა დასახლება, რომელიც ტყეში მიმოფანტულიყო. როცა მანქანით გორაკზე ავედით, მამაჩემი და სამი სოფლელი მოხუცი მტვრიანი ყავახანის წინ, ხის მაგიდასთან ისხდნენ. მამამ როგორც კი დაგვინახა, სიცილით წამოდგა და მანქანას მოუხლოვდა.

მე და ფირათს გადაგვეხვია, მოგვესალმა. ნაბიჯი უკან გადადგა და ფირათი ისე შეათვალიერა. ორი წლის დაქორწინებულები ვიყავით, მაგრამ ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მამაჩემის გულწრფელი და ღიმილიანი მისალმება დაეხმარა უხერხულობის დაძლევაში ფირათს. ყავახანაში თავშეყრილ სოფლელებსაც მივესალმეთ, ხელი ჩამოვართვით. მერე მამამ თავის სახლში დაგვპატიჟა. ყავახანის მფლობელმა ჩაი შემოგვთავაზა, რაზეც მამამ ხუმრობით უპასუხა – ჩემი დაყენებული ჩაი შენისაზე უკეთესიაო, მერე წინ გაგვიძღვა – აბა, წამოდით, ბავშვებოო. გავიარეთ მაღლარი ვაზისა და ფერადი ყვავილების ხეივანში ჩადგმული თევზის რესტორანი, საკონდიტრო და სუვენირების მაღაზია და მამაჩემის ვარდებით სავსე ბაღიან სახლშიც მოვედით. უზარმაზარი ბაღის კუთხეში აშენებული პატარა კოტეჯი ბაღს მიდგმულ ნაგებობასავით იდგა. მაღლარი ვაზით მოჩრდილულ ეზოში ერთმანეთის პირდაპირ ხის ოსმალური ფარდაგიანი ორი ტახტი იდგა, ზედ ბალიშები ეწყო, შუაში ხისავე დიდი მაგიდით. ბაღი სავსე იყო ფერადი ვარდებითა და ხეხილით. ვარდების მოვლა-მოყვანის წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და ოსტატობა ამ ბაღში ჩაექსოვა მამას. ოსმალურ ტახტზე მჯდომი, ხეხილის გასწვრივ, გზის ქვემოთ, უსასრულო ზღვას ხედავდი. როგორც კი დავსხედით, მამამ, – ჩაის მოვამზადებ და მოვალო, – გვითხრა და კოტეჯისკენ წავიდა. მე და ფირათმა ერთმანეთს გადავხედეთ. ვტკბებოდით შესანიშნავი ხედით და სიმშვიდის მომგვრელი საამო ჰავით. დროდადრო სახლის წინა მხრიდან ასფალტზე მიმავალი მანქანების ხმა თუ არღვევდა კლდოვან ნაპირებზე მიმსხვრეული ტალღების, გრილი ნიავის მსუბუქი სტვენისა და ჭრიჭინობელების გაბმული ჭრიჭინის საოცარ ჰარმონიას.

მამას დარჩენილი სიცოცხლის გასატარებლად და საცხოვრებლად საუკეთესო ადგილი შეერჩია. ცოტათი შემშურდა კიდეც. თავს ძლივს ვიკავებდით, რომ მგზავრობით დაღლილებს და დივანზე მოკალათებულებს ძილი არ მოგვრეოდა. მამა მალე დაბრუნდა ცალ ხელში ჩაიდნით, მეორეში კი ლანგრითა და ჭიქებით. ჩაის გემო მართლაც ისეთი იყო, როგორსაც შეგვპირდა! სამი-ოთხი საათი ვისაუბრეთ, ჩვენ – ჩვენი სამუშაოს შესახებ, მამაჩემმა – თავის ახალ სოფლურ ცხოვრებაზე. აშკარა იყო, რომ დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ აქაური მშვიდი ცხოვრება მამაჩემზე კარგად მოქმედებდა. შედარებით უფრო მოლაპარაკე გამხდარიყო, ვიდრე ადრე, თუმცა მისი შინაგანი განწყობის, ფიქრების წაკითხვა ისევ შეუძლებელი იყო, რა თქმა უნდა, თუკი ასეთი რამ გააჩნდა საერთოდ.

მისმა ასეთმა სიმშვიდემ და კარგად ყოფნამ გამახარა. მიუხედავად მისი დაჟინებული თხოვნისა, ღამით მასთან დარჩენაზე უარი ვთქვით – საღამოს ანტალიიდან სტამბოლში თვითმფრინავით უნდა დავბრუნებულიყავით, მანქანა კი სტამბოლში კურიერის მეშვეობით უნდა გაგვეგზავნა. დარჩენაზე რომ ვერ დაგვითანხმა, – თევზი მაინც შეჭამეთ და მერე წადითო... ამ შეთავაზებაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდით, რადგან სუფთა ჰაერმა თავისი ქნა – კუჭმაც გაგვკენწლა. მეზობლად მდებარე თევზის რესტორნის ბაღში ერთ-ერთ ხის მაგიდას მივუსხედით. ჩანდა, რომ მამას სოფლის მცხოვრებლებთან საკმაოდ მეგობარული ურთიერთობა დაემყარებინა. სავალი გზის გასწვრივ არსებული ყველა სავაჭრო თუ სამუშაო ფართს სოფლის მოსახლეობა მართავდა. ვიდრე მამა სიხარულით ანთებული თვალებით სოფლის ამბებს გვიყვებოდა, ჩვენ თითქმის პირწმინდად მოვასუფთავეთ უგემრიელესი ხემსი, ახლად დაკრეფილი ბოსტნეულით დამზადებული სალათები და მადის აღმძვრელი ახალი თევზი. ჩაიც დავაყოლეთ, შემდეგ დავემშვიდობეთ და წამოვედით. გზაში ფირათმა მითხრა, რომ მამამ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ძალიან სასიამოვნო მოსაუბრე იყო და უფრო ხშირად უნდა შევხვედროდით.

მეორე დღეს ისევ სამუშაოს დავუბრუნდით, თუმცა სულ სხვა განწყობით: თითქოს ახალი ცხოვრება დავიწყეთ. გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ ფულით და საქმით არ უნდა შემოფარგლულიყო ჩვენი ცხოვრება, რომ უფრო მგრძნობიარენი და, შეძლებისდაგვარად, უფრო სოციალურები გავ-

ხდებოდით საზოგადოების მიმართ, უფრო მეტად დავინტერესდებოდით სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემებით. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ შვებულების დროს.

თუმცა, ორი კვირაც არ გასულა, მე და ფირათი ძველ ტემპს დავუბრუნდით, იმაზე მეტად ვმუშაობდით, ვიდრე ადრე. მართალია, ერთმანეთს არ ვუტყდებოდით, მაგრამ შვებულების დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს სამსახურში მიღწეული წარმატებებისთვის ჩადენილ ცოდვათა მონანიებად აღვიქვამდით...

ასე გავიდა კიდევ ორი წელი. ვინაიდან ჩვენი ბიზნესი მუდმივად იზრდება, ჩვენ დავაარსეთ ბევრად უფრო დიდი არქიტექტურული კომპანია. ჩვენ მიერ დაქირავებული თორმეტი არქიტექტორი და ინჟინერი კომპანიის რუტინულ სამუშაოს ასრულებდა, მე და ფირათი კი უფრო დიდ პროექტებს ვეძიებდით. რაღაც ღრმა შინაგანი განცდით, შფოთით ვუდგებოდით სამუშაოს, თითქოს, თუ ერთ დღეს არ ვიმუშავებდით, ნებისმიერ მომენტში გავღარიბდებოდით და ჩავიძირებოდით.

...ხანდახან დღეები ისე გადის, ერთმანეთს ვერ ვნახულობთ, საღამოობით დაღლილები ვიძინებთ და დილით ადრე მივიჩქარით ოფისში თუ მშენებლობებზე... თუმცა, კიდევ ათი სიცოცხლე რომ გვქონოდა, ისიც არ გვეყოფოდა დაგროვილი სიმდიდრის გასახარჯად...

არც მე და არც ფირათს არ გვყავდა ახლო ნათესავები.

უფრო სწორად, არც ისე ნათესაურები ვიყავით, რომ მათთან ახლოს ვყოფილიყავით.

თურქულიდან თარგმნა **ინგა მამულაიშვილმა**

ირმა ვადაჭკორია

ფრედერიკ ბეგბედერი „99 ფრანკი“

ეს არის ამბავი ადამიანის „საკუთარი თავიდან გადარჩენისა“, ადამიანში ადამიანის გაღვიძებისა და ადამიანის საკუთარ თავთან დაბრუნებისა...

ამ წიგნს ერთი ამოსუნთქვით ვერ წაიკითხავთ, კითხვის პროცესში ბევრჯერ დაგჭირდებათ ამოსუნთქვაც, ჩასუნთქვაც, ემოციათა გაკონტროლება, იქნება შეჩერება და ფიქრი, წაკითხულის გააზრება და გათავისება... ეს არის ულტრათანამედროვე ნაწარმოები, რომელიც სულ სხვა პლატ-ფორმაზე გადაგიყვანთ და სხვა რაკურსით დაგანახებთ არსებულ სინამდვილეს, რომელსაც თქვენ თვალწინ შესაბამისი დინამიკით, განწყობით, სტერეოტიპებით, ემოციებით, შეგრძნებებით, ურთი-ერთობებითა და ფასეულობებით ფამილარულად გააშიშვლებს ავტორი. პირველივე გვერდებიდან მიხვდებით, რომ ეს სიშიშვლე მწერლის უხამსი სითამამე სულაც არ არის, ეს ის რეალობაა, რომელ-საც, უბრალოდ, ვერ ვამჩნევთ ან არ ვიმჩნევთ...

„ფილოსოფია იწყება გაკვირვებით და მთავრდება უფრო დიდი გაკვირვებით“.
არისტოტელე

კარგი წიგნიც გაკვირვებით იწყება და კიდევ უფრო დიდი გაკვირვებით სრულდება. პირველი, რაც ფრედერიკ ბეგბედერის წიგნის **„99 ფრანკი“** გადაშლისას გაგაოცებთ სარჩევია, ნაცვალსახე-ლები და ზმნის უღლება ერთად გაგიელვებთ გონებაში.

1. მე...
2. შენ...
3. ის...
4. ჩვენ...
5. თქვენ...
6. ისინი....

აქედან იწყება ფიქრი და მოლოდინი, ფურცლავ წიგნს და გრძნობ, რომ უჩვეულო სტრუქტურის ტექსტს გვთავაზობს ავტორი, სამ პირსა და ორივე რიცხვში, იწყებ კითხვას და გაოცებთ მწერლის

ორიგინალური სტილი, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი, მეტყველების უჩვეულო ფორმები და სახეები. იგი არ ერიდება გრამატიკული ნორმების დარღვევას, სლენგებს, ვულგარიზმებს, რომელთა საშუალებით ახერხებს გააღვიძოს ჩვენი წარმოსახვა, შეგვაგრძნობინოს და დაგვანახოს ის სამყარო, გარემო და ვითარება, რომლის ნაწილიც ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია. ექვსივე პლატფორმიდან საოცარი ოსტატობით მოაქვს სათქმელი. თავიდან გაქვს განცდა, რომ ეს ექვსი ამბავია, რაღაც გამაერთიანებელი სიუჟეტური ხაზით, მაგრამ ორი პირის **1. მე... 2. შენ...** წაკითხვის შემდეგ ხვდები, რომ **მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი...** ყველა **ოქტავი პარანგოა**, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ვნებებში დაკარგული, აღვირახსნილი კაცობრიობის ხორცშესხმული ტრაგიკული სახე...

ცოტა რამ ავტორზე

რას ამბობენ ფრედერიკ ბეგბედერზე?

„ბოლო მოდაზე ჩაცმული ბურჟუი, ინტელექტუალი, არისტოკრატიული წარმომავლობის ნარკომანი, სკანდალური, გარყვნილი, 55 წელს გადაცილებული ჟურნალისტი, რომელიც ღამის კლუბებში სიარულს ვერაფრით ანებებს თავს „სკანდალური და ექსცენტრიული“ – საფრანგეთის ლიტერატურულ წრეებში ბეგბედერს ამგვარი სიტყვებით ხშირად მოიხსენიებენ, „ეპატაჟური და გროტესკული“ – ასე ახასიათებენ მის შემოქმედებას“.

ფრედერიკ ბეგბედერი მეამბოხე, სენსაციური და სკანდალური სახელით ცნობილი მწერალია. იგი თავდაყირა აყენებს სტერეოტიპებს, ამბობენ, რომ არის ტიპური ბურჟუა, მაჩოს ვიზუალით, ქალთა გულების მპყრობელი, უყვარს მდიდრული ცხოვრება, ბრენდული სამოსი, მოგზაურობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მის ნაწარმოებებს კითხულობენ, აქვს კარგი იუმორი, საუბრობს სლენგებითა და ვულგარიზმებით, საუბრისას რთულია გაარკვიო როდის ხუმრობს და როდის არის სერიოზული, უყვარს გლამურული ცხოვრება, ოლიგარქების წრეში ტრიალი, ღამის კლუბები და ე. წ. „სვეცკი ტუსოვკები“.)))

ზოგიერთის აზრით, ძალიან ჰგავს თავის გმირებს, თუმცა ამას ავტორი კატეგორიულად უარყოფს და აღნიშნავს: „რასაც ვყვები, ყველაფერი გამოგონილია, მე მაქვს ძალიან ძლიერი წარმოსახვის უნარი, ამ ამბებს არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან“.

იმასაც ამბობენ, რომ მასთან ინტერვიუსთვის ყოველთვის მამაკაც ჟურნალისტებს არჩევენ, რადგან ეს უსაფრთხოა, მას მარტივად შეუძლია ცდუნება და ქალი ჟურნალისტები ურთიერთობის შემდეგ იწყებენ დნობასა და ავიწყდებათ პროფესიული მოვალეობები.)))

„დოსტოევსკი წერდა რომ ეშოვა ფული, მე ვწერ იმისთვის, რომ მოვეწონო ქალებს.“
„თუ გინდათ მოეწონოთ ქალებს, დაწერეთ წიგნი“
ფრედერიკ ბეგბედერი

რას ამბობს ფრედერიკ ბეგბედერი თავის თავზე?

„მე მაქვს აქტიური, მრავალფეროვანი ცხოვრება და ვატარებ ხავერდის კოსტიუმს“ – ეს ფრაზა ძალიან მოსწონს ავტორს და როცა ახსენებენ ყოველთვის ორაზროვნად ეღიმება. ვფიქრობ, ციტატა მეტაფორულია და გზავნილი ტექსტის მოცულობაზე გაცილებით დიდი და მრავლისმთქმელი.

„ზოგი წერს ფულის შოვნის მიზნით არიან ისეთები, რომლებიც წერენ, რათა იმკურნალონ, ზოგს, უბრალოდ, მოსწონს წერა, ჩემთვის კი მნიშვნელოვანია ოცნება, როცა ვწერ ყოველთვის ვოცნებობ, წარმოვიდგენ მკითხველს და როცა ვწერ უნდა ვიყო შეყვარებული“.

„კარგ ლიტერატურას ქმნიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ სათქმელი“.

ამბობს, რომ, როგორც ყველა მწერალს, მასაც ძალიან უყვარს ღამე, რადგან ეს არის საუბრის დრო, როცა სხვაგვარად შეიგრძნობ ყველაფერს, ამიტომ უყვარს ღამის კლუბები, ალკოჰოლი, რომლის საშუალებით იცვლება სინამდვილის აღქმა. **„ღამით უფრო მარტივია მიაღწიო ყველაზე მთავარს...“ –** ამბობს ის.

„სულ ვცდილობდი გამეგო, ვის შეეძლო სამყაროს შეცვლა. ეს გრძელდებოდა იმ დღემდე, სანამ მივხვდი, რომ ის, ვისაც ვეძებდი, შესაძლოა თავადვე ვყოფილიყავი“.

„ვერანაირ ინტერესს ვერ ვხედავ წიგნის წერაში, თუ ყველაფერი არ ავამტუტე“.

„მე ვწერ და თქვენ კითხულობთ, ვწერ და თქვენ ჩემს წიგნებს ყიდულობთ, რადგან ყოველთვის ზუსტად ვიცი, როგორ მოგყიდოთ“.

სექსი, ნარკოტიკი, ალკოჰოლი – ყოველთვის იყო მის ცხოვრებაში. ავტორის აზრით, ეს ბუნებრივი მდგომარეობაა მწერლისთვის, იგი ეხმარება მას გადალახოს ემოცია, შიში, სტრესი, რომელსაც გრძნობს შემოქმედი თეთრი ფურცლის წინაშე.

ვინ არის ფრედერიკ ბეგბედერი?

ფრედერიკ ბეგბედერი საფრანგეთში დაიბადა 1965 წლის 21 სექტემბერს, მან ძალიან კარგი და მრავალმხრივი განათლება მიიღო, იგი სწავლობდა მონტენისა და ლუი გრანდის ლიცეუმებში, ასევე პარიზის პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტში, უმაღლესი განათლება აქვს მარკეტინგშიც. მისი ლიტერატურული კარიერა 90-იანი წლებიდან იწყება, იგი აქვეყნებს პირველ რომანს „შეშლილი ახალგაზრდის მემუარები“, პარალელურად ვითარდება მისი კარიერაც, მუშაობს რედაქტორად სარეკლამო სააგენტოში, ასევე ბეჭდავს კრიტიკულ წერილებსა და ქრონიკებს ცნობილ ჟურნალებში. მონაწილეობას იღებს სატელევიზიო გადაცემებში ლიტერატურის შესახებ.

1994 წელს გამოდის მისი მეორე რომანი „არდადეგები კომაში“.

1997 წელს რომანი „სიყვარული გრძელდება სამი წელი“, რაზეც რეჟისორი მარკ მარონიე ტრილოგიას იღებს.

1999 წელს გამოსცემს ნოველათა კრებულს „ნოველები ექსტაზის დროს“.

2000 წელს კი გამოდის და საზოგადოებას შოკში აგდებს ბეგბედერის ყველაზე გახმაურებული რომანი „99 ფრანკი“, რომელსაც მოგვიანებით ჯერ „14,99 ევრო“, შემდეგ კი „6,20 ევრო“ ეწოდება. რომანში მხილებულია სარეკლამო სფეროს შიდა სამზარეულო. ნაწარმოების გამოსვლიდან ცოტა ხანში ავტორი სამსახურს ჰკარგავს სარეკლამო სააგენტოში.

ამავე პერიოდში ბეგბედერი საკუთარ ლიტერატურულ გადაცემებს ჰქმნის საფრანგეთის სხვადასხვა ტელეარხებზე, რომლებიც მალევე იხურება.

2003 წლის იანვარში გამომცემლობა ფლამარიონიო სთავაზობს მწერალს გახდეს გამომცემელი.

2006 წლამდე ბეგბედერმა გამოსცა დაახლოებით 25 წიგნი, რის შემდეგაც ფლამარიონთან მისი თანამშრომლობა შეწყდა.

2003 წელს მწერალი **ინტერალიეს** პრემიას იღებს რომანისთვის „Windows on the world“, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს ეხება.

2005 წელს გამოვიდა ბეგბედერის „რომანტიკოსი ეგოისტი“,

2007 წელის „მიშველეთ ბოდიში“.

რომანით „უნა და სელინჯერი“ მკითხველმა დიამეტრულად განსხვავებული ბეგბედერი გაიცნო, სენტიმენტალური, ემოციური, გულისხმიერი, მეოცნებე.

დღემდე ბეგბედერი არის 1994 წელს მის მიერვე დაარსებული ფლორის პრემიის ჟიურის თავმჯდომარე. მან ასევე დააარსა სადის პრემია, 2001 წელს, ლიონელ არასილთან ერთად.

2005-დან 2007 წლამდე იგი მუშაობდა ჟურნალისტად სატელევიზიო გადაცემაში Canal+-ზე. 2007 წლიდან კი ჟურნალ „პლეიბოის“ ფრანგული გამოცემის ლიტერატურული კრიტიკოსია. პარალელურად მუშაობს Canal+-ის ლიტერატურულ-კინემატოგრაფიულ გადაცემა „წრის“ წამყვანად. 1998 წლიდან მუშაობს ლიტერატურულ ჟურნალ „Lire“-შიც.

2008 წლის 29 იანვრის საღამოს ფრედერიკ ბეგბედერი ერთ თავის მეგობართან ერთად დაკავებულ იქნა ნარკოტიკების მოხმარების გამო. მან წინასწარი დაკავების საკანში გაატარა 39 საათი, რის შემდეგაც გაათავისუფლეს.

გარკვეული პერიოდი მას შემოქმედებითი პაუზა ჰქონდა. 2016 წელს მიცემულ ინტერვიუში კითხვაზე როდის გაახარებს მკითხველს ახალი ნაწარმოებით, მწერალმა განაცხადა, რომ მას ტელევიზიაში მუშაობამ ბევრი მასალა დაუგროვა იმისთვის, რომ დაწეროს ტელევიზიაზე, როგორც სამყაროს დაინფიცირების წყაროზე, როგორც ეს მოაეხრხა „99 ფრანკში“სარეკლამო სამყაროზე.

„99 ფრანკი“

ფრედერიკ ბეგბედერის, როგორც დიდი მწერლის კარიერა, სწორედ „99 ფრანკით“ იწყება, სადაც მან, როგორც თავად აღნიშნავს, ამხილა სარეკლამო სფერო – სამყაროს დაინფიცირების წყარო, ბეგბედერი რომანში თავხედი, ცინიკოსი, ირონიული, უხამსი და აღვირახსნილია, რა თქმა უნდა, მეტაფორული გაგებით, რადგან მიზანი, გააშიშვლოს სინამდვილე, ასე მიიღწევა.

ნაწარმოებს ძალიან ეფექტური და დამაინტრიგებელი დასაწყისი აქვს:

„ყველაფერი წარმავალია: სიყვარული, ხელოვნება, დედამიწა, თქვენ, მე. სიკვდილი იმდენად გარდაუვალია, რომ, რატომღაც ყველას მოულოდნელად ატყდება თავს“.

„სიკვდილი ერთადერთი პაემანია, რომელიც თქვენს ორგანაიზერში წინასწარ ვერ ჩაინიშნება“.

„ყველაფერი იყიდება: სიყვარული, ხელოვნება, დედამიწა, თქვენ, მე. ამ წიგნს იმიტომ ვწერ, რომ იქნებ როგორმე სამსახურიდან გამომაპანღურონ“.

ასეთი შესავლის შემდეგ ძნელია გვერდზე გადადო წიგნი, იწყებ კითხვას და ყოველი სტრიქონით გაკვირვებს ავტორი ოსტატობითა და არასტანდარტული სტილით. მკითხველიცა და ავტორიც ამბავთან იგივდება და ნაწარმოების დასრულების შემდეგ გიჭირს დაჯერება, რომ ფრედერიკი ოქტავი არ არის და რომ თვითონ არ მიუღია ამ ვაკქანალიაში მონაწილეობა. მწერლის გულწრფელი, უშუალო წერის მანერა ძალიან იზიდავს, იახლოებს მკითხველს და დიდ ფიქრებს აღუძრავს, საფიქრალი კი, დამეთანხმებით, მართლაც, ბევრია, როგორც ყველა დიდი მწერლის დიდ ნაწარმოებში, ფრედერიკ ბეგბედერი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ გენიოსები თავიანთ გენიალურ წიგნებში ერთი თემით არასდროს იფარგლებიან.

თემები, რომლებზედაც ფიქრს აღგვიძრავს ნაწარმოები:

სამყარო დაღუპვისთვის არის განწირული, რადგან ყველაფერი ხელოვნურია.

„ეს ცივილიზაცია ყალბ სურვილებზე დგას, რომელსაც ძალით აღვიძებ შენს თავში. ამიტომ ამ სამყაროს დაღუპვა გარდუვალია“.

„სულაც არ იყო აუცილებელი ცხოვრება ისე ყოფილიყო მოწყობილი, როგორც ახლაა. შენ სულაც არ გინდოდა ეს ხელოვნურად შექმნილი უბედურება“.

ნარკომანია, სექსი, გაუფასურებული ფასეულობები, უპასუხისმგებლო, ადამიანები, რომლებიც გლამურში ცხოვრობენ, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ და გაუცნობიერებლად კარგავენ ადამიანურ ღირებულებებს, ვნებებს აყოლილნი შორდებიან საყვარელ ადამიანებს და ლაჩრულად ამბობენ უარს მოვალეობებზე.

„...მე ბავშვს ვერ გავზრდი იმიტომ, რომ მე თვითონ ბავშვი ვარ... მე ჩემივე შვილი ვარ... ყოველ დილით ჩემს თავს მე თვითონ ვშობ... მე მამა არ მყოლია და მე როგორ უნდა ვიყო მამა...“

„შენ ღრმად ჩაისუნთქე, ამოისუნთქე და ლაჩრული შვება იგრძენი, რომელიც ყველა განშორების თანამდევია. მერე კი ქაღალდის ხელსახოცზე მიაწერე: „ყველა განშორება სიყვარულის მიუნჰენია“. და კიდევ: ის, რასაც ადამიანები სითბოსა და სინაზეს უწოდებენ, მხოლოდ და მხოლოდ განშორების შიშია“.

ფულით შეიძლება იყიდო ყველაფერი მატერიალური, მაგრამ არამატერიალურს, რასაც ბიოლოგიური საფუძველი აქვს, ვერ იყიდი:

„განა შეიძლება უბედური იყოს კაცი, რომელსაც ანგარიშზე ორი მილიონი ევრო აქვს. თუ შენ ახლა გაღმა გადიხარ, მაშ გამოღმა რაღაა?“

ირგვლივ გამეფებული სიყალბე, მონური მორჩილება, მლიქვნელობა და პირფერობა სიმულაციური სამყარო, ყალბი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ დააჯერონ სამყარო, რომ ისინი ქმნიან მზეზე უფრო ნათელსა და უმანკოს!..

„მთელი სარეკლამო რგოლი განათებული იქნება მზით, მაგრამ ჩვეულებრივი მზე კი არ იქნება, არამედ რაღაცნაირი, ნათელი და უმანკო“.

„მაგრამ თუ კაციშვილი ხმას არ ამოიღებს, სად მიგვიყვანს ეს ყველაფერი?..“

„გამოდის, რომ შენ მთელი ათი წლის განმავლობაში რასაც გავალებდნენ, აკეთებდი და ერთხელაც არ აგიმაღლებია ხმა ამ სიბინძურის წინააღმდეგ. შეიძლება, შენ რომ შენი საქმის კეთებაზე უარი გეთქვა, ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო...“

„მლიქვნელობა და პირფერობა! ჩვენთვის სხვა აღარაფერი არსებობს დედამიწის ზურგზე! ეს არის კაცობრიობის მამოძრავებელი ძალა!“

ჰედონიზმი – ცხოვრებით ტკბობა და უდიდესი ნეტარება, რომელიც ვნებებითა და გართობით კი არა, მოწყენით მიიღწევა.

„ჭეშმარიტი ჰედონიზმი – ეს არის მოწყენილობა, მხოლოდ მოწყენილობა აძლევს ადამიანს საშუალებას დატკბეს აწმყოთი, იმ კონკრეტული წამებით, რომელშიც იმყოფება".

„როდესაც დედამიწის ზურგზე ყველა თანახმა იქნება, რომ მოწყენილი იყოს, კაცობრიობა გადარჩება".

ტექნოლოგიების ბნელი მხარეები – **„თანამედროვე კოშმარი" –** სარეკლამო სამყარო, უძირო ჭაობი, უფსკრული, რომელიც თავისი სიბინძურით სვრის ყველას და თავის წუმპეში ითრევს.

„ამ წყეულმა რეკლამამ სულ თავდაყირა დააყენა ყველაფერი".

„კაცი, რომელიც ტელევიზორს უყურებს ან ინტერაქტიურ საიტზეა შემძვრალი, ან ვიღაცას მობილურით ესაუბრება, ან playstation-ზე თამაშობს, არ ცხოვრობს. ის არ არის იქ, სადაც არის, თითქოს სხვა სამყაროში გადავიდაო. შეიძლება მთლად არ მომკვდარა, მაგრამ ცოცხალიც აღარ ეთქმის".

...და გამოსავალი!!! **საკუთარი თავიდან გადარჩენა.**

„ადამიანი ქმნილებაა, რომელიც მუდამ საკუთარი თავის შექმნის მდგომარეობაშია და მთელი ისტორია ეს არის, ადამიანად გახდომის მცდელობის ისტორია. ადამიანი არსებობს, იგი იქმნება!..

მერაბ მამარდაშვილი

ერთ-ერთი თავის ბოლოს ტექსტი ყველაზე საინტერესო ეპიზოდზე სარეკლამო პაუზით წყდება, აღარ აგრძელებ კითხვას და ფიქრობ, რა მოხდება? როგორ გააგრძელებს ცხოვრებას ოქტავ პარანგო? იბრძოლებს ჭეშმარიტი ბედნიერებისთვის, დაიბრუნებს საყვარელ ქალს – სოფიას, მომავალი შვილის დედას და სიხარულით დაელოდება ახალი სიცოცხლის დაბადებას თუ დარჩება კოშმარში და გააგრძელებს წუმპეში ფორთხვას.

„უბედური ის კი არ არის, ვინც ტალახში წაიქცევა, არამედ ის, ვინც იქ წოლას შეეგუება".

იოანე ოქროპირი

„და ოქტავს კვლავ მოუარა სურვილმა გულში ჩაეკრა ცის კამარა, მადლობა ეთქვა სამყაროსთვის, რომ იყო აქ და არა სხვაგან, მართალია დროებით, მაგრამ მაინც..."

„თვით სამუშაოზე თავგადაკლული ხალხიც კი ხვდება, რომ თუ დროდადრო არ შეისვენებს და სამყაროს მშვენიერებით არ დატკბება, მერე, უბრალოდ, ცხოვრების გაგრძელებას ვეღარ შეძლებს".

„ოქტავი მიხვდა, რომ რაღაც ღვთიურს მიუახლოვდა, შეეხო რაღაც მარადიულს, მოეფერა სიცოცხლეს, მაღლა დადგა მიწიერ ამაოებაზე, ჩასწვდა ყოველდღიურობის სისადავის დიდებულებას".

„როდესაც ტყუილი მთავრდება, ეს არ ნიშნავს, რომ სიმართლე იწყება. ფრთხილად იყავით: ერთი ტყუილი თავის თავში შეიძლება მეორე ტყუილს შეიცავდეს!.."

ოქტავ პარანგომ განვლო გზა, რომელიც აუცილებელი იყო მშფოთვარე სულის დაოკების, წარსულის დასამარებისა თუ სულიერი კათარზისისთვის.

და ბოლოს... ეს წიგნი სულ სხვა რაკურსით დაგანახებთ სარეკლამო სამყაროს, ტექსტის კითხვის პროცესშივე სამუდამოდ შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება რეკლამისადმი, ამის შემდეგ თქვენ

ველარასოდეს იქნებით რეკლამის უბრალო მაყურებელი გარედან, მის მიღმა „მთელ სამყაროს“ (შემქმნელებს, დამკვეთებს, მოდელებს, მანეკენებს, დიზაინერებს, ვიზაჟისტებს...) დაინახავთ, მათ მიზნებსაც სხვაგვარად ჩასწვდებით და მათ საუბარსაც კი გაიგონებთ წარმოსახვაში...

მოკლედ, დიდი გაკვირვება გელოდებათ!!!

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ფრედერიკ ბეგბედერს, 2014 წელს „ჩემი რჩეული მსოფლიოს“ სერიით გამოცემულ ორმოცდაათ წიგნში მისი სამტომეული შევიდა (გამომცემლობა „პალიტრა L“), მთარგმნელები: თინათინ ღარიბაშვილი, ნინო თურქესტანიშვილი. 2016 წელს იგი საქართველოს ესტუმრა სამდღიანი ვიზიტით, შეხვდა ქართველ მკითხველებს და განაცხადა, რომ საქართველო მისთვის თავისუფლების სიმბოლოა, იცნობს რუსთაველის შემოქმედებას, ქართულ დამწერლობას და ძალიან მოსწონს.

წასვლისას თავისებური სარკაზმიც არ დაიშურა, თბილისში თუ სიყვარული სელფების რაოდენობით განისაზღვრება, მაშინ ძალიან გყვარებივართო))), როგორც ჩანს, სწორედ ამ სიყვარულმა და ქართული ბომონდის გლამურულმა გარემომ მეორედ ჩამოიყვანა იგი საქართველოში, ასევე ცნობილ ფრანგ მწერალ დავიდ ფონკინოსთან ერთად.

„მწერალთა სახლში“ ენერგიულად, ხმაურით და იუმორით სავსენი მოვიდნენ. ეს აუდიტორიასთან ურთიერთობის წინასწარ არჩეული სტრატეგია იყო თუ სინამდვილეშიც ასეთები არიან, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის ერთი საათი, რაც ორმა ცნობილმა თანამედროვე ფრანგმა მწერალმა თავიანთ ქართველ კოლეგებთან შეხვედრისას „მწერალთა სახლში“ გაატარეს, მოსაწყენი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება დასაშვებზე მეტად ხმაურობდა, თანამედროვე ბესტსელერების ეს ორი ავტორი – ფრედერიკ ბეგბედერი და დავიდ ფონკინოსი – სინქრონული თარგმანის რეჟიმში ახერხებდა ხმა უკანა რიგებში მსხდომთათვისაც მიეწვდინა“. – იუწყებოდა ქართული პრესა.

ბეგბედერზე საუბრის დასრულება ყოველთვის მიჭირს, ვფიქრობ, ეს არ იქნება დასასრული...

რეჟისორმა ჟან კუნენმა 2007 წელს „99 ფრანკის“ მიხედვით გადაიღო ფილმი, რომელშიც ბეგბედერიც ასრულებს ეპიზოდურ როლს.



მიხეილ მახარაძე

იდეოლოგიური წნეხი და რეპრესიები შალვა ნუცუბიძის წინააღმდეგ

კომენტარებსა და გამოხმაურებაში შესულია საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან შალვა ნუცუბიძის მიმართ რეპრესიებისა და იდეოლოგიური წნეხის ამსახველი მასალები და ასევე მის მონოგრაფიაზე – „Руставели и восточный Ренессанс“ (Тб., 1947) გამოქვეყნებული ყოვლად უსაფუძვლო და ხშირ შემთხვევაში იდეოლოგიური ბრალდებების შემცველი ერთი რეცენზიის შეფასება დღევანდელი გადასახედიდან.

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის საარქივო მასალების თანახმად, 1949 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობა შეამოწმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიამ და კომისიის დასკვნის საფუძველზე იმავე წლის აპრილში სხვადასხვა იდეოლოგიური ბრალდებით ინსტიტუტიდან დაითხოვეს შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე კაპანელი და კოტე ბაქრაძე.

აღნიშნულის გამოძახილი იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის 1949 წლის ბრძანება (№23) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტისადმი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ შეცდომა დაუშვა, როცა თანამშრომლებად მოიწვია აშკარა იდეალისტები, პროფესორები: შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. კაპანელი და კ. ბაქრაძე. შ. ნუცუბიძე დადანაშაულებულია რეაქციულ-იდეალისტურ შეხედულებებში, ს. დანელია ანტიმარქსისტულობასა და ანტიპარტიულობაში, კ. კაპანელი სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებებში, ხოლო კ. ბაქრაძეს თავის „ლოგიკაში“ თურმე მოჰყავს სილოგიზმების იდეოლოგიურად მავნე მაგალითები.

საარქივო მასალებში განსაკუთრებით საინტერესოა დისკუსიები ამა თუ იმ თემისა თუ პრობლემის ირგვლივ. აქ წინ წამოწეულია იდეოლოგიური ფონი და უმრავლეს შემთხვევაში ნაშრომის, თვალსაზრისისა და შეხედულების ავკარგიანობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად არის ის შესაბამისობაში მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან.

მწვავე დისკუსია გამართულა შ. ნუცუბიძის რამდენიმე ნაშრომის ირგვლივ. დისკუსიაში მონაწილეობენ: ს. დანელია, კ. კაპანელი, ს. ყაუხჩიშვილი, პ. შარია, ს. წერეთელი, კ. ბაქრაძე, ა. ქუთელია, ლ. გოკიელი.

განსაკუთრებით ცხარე ყოფილა კამათი ნუცუბიძის ნაშრომზე – „Руставели и восточный Ренессанс“. ნუცუბიძეს ხშირად უხდება გაიმეოროს ფრაზები:

„ჩვენც, ხომ მოაზროვნე მარქსისტები ვართ, შემოქმედებითი მარქსისტები“, „ჩემი წიგნი მარქსისტულია თავიდან ბოლომდე“ და სხვ. ბოლოს დისკუსიაზე თავის გამოსვლას იგი ასე ამთავრებს: „ჩემი შრომა თავიდან ბოლომდე დაწერილია მარქსისტულად“.

2. 1953 წლის 25 დეკემბერს გამართულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომაზე განუხილავთ უნივერსიტეტის რექტორის (ერმილე ბურჭულაძე – მ. მ.) მოსაზრება სამშობლოს მოღალატეთა შესახებ. მათ შორის არის შალვა ნუცუბიძის სახელიც. მომხსენებელია აკად. გიორგი ახვლედიანი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რექტორის განცხადებით 1938 წელს ნუცუბიძე სამართლიანად იყო დაპატიმრებული და მისი განთავისუფლება სულაც არ ყოფილა მისი უდანაშაულობის გამო. დღეს მიტინგებსა და კრებებზე პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურეები ერთხმად მოითხოვენ მის [შ. ნუცუბიძის] უნივერსიტეტიდან გაძევებას.

გ. ახვლედიანი ასე ამთავრებს გამოსვლას: „ილარიონ ტალახაძე (1936-1946 წლებში საქართველოს სსსრ გენერალური პროკურორი, იმჟამად უნივერსიტეტის თანამშრომელი – მ. მ.) განმარტავდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის აზრი ამ ბილწი ხალხის შესახებ კარგად არის ცნობილი და ჩვენ აუცილებლად უნდა მოვაშოროთ ისინი უნივერსიტეტის კერას. გასაკვირი ის არის, როგორ იყვნენ აქამდე ისინი ჩვენს რიგებში [...] სრულიად გასაგებია სამეცნიერო საბჭოს განაწყენება. ჩვენ უხუცესი წევრები სამეცნიერო საბჭოსი, ვალდებული ვართ ჩვენი ხმა შევუერთოთ საყოველთაო გულისწყრომას [...] ჩვენ, გვმართებს უდიდესი დაძაბვა ყურადღებისა და სიფხიზლისა და დროულად და მართებულად მიმაჩნია რექტორის ბრძანება“.

3. 1) გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიის შესახებ ურთიერთსაპირისპირო აზრებს გამოთქვამს აკად. კორნელი კეკელიძე, კერძოდ: კეკელიძე, როგორც ნუცუბიძის მონოგრაფიის – „Руставели и восточный Ренессанс“ რედაქტორი, რედაქტორის წინასიტყვაობაში ძირითადად, იზიარებს ავტორის პოზიციას და აქებს მას „გაბედული დასკვნებისა და არგუმენტაციის ორიგინალურობის“ გამო; შემდეგ კი კეკელიძე იცვლის პოზიციას და მკაცრად აკრიტიკებს მის მიერვე ადრე მოწონებულ ნუცუბიძის ნაშრომს.

2) დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ რენესანსის საკითხებზე შალვა ნუცუბიძის მოსაზრებათა კრიტიკისას, სერგი დანელია ჟურნალ „Советская книга“-ში გამოქვეყნებულ წერილში ნუცუბიძეს საყვედურობს რუსული კულტურის ისტორიიდან ქართული კულტურის ისტორიის მოწყვეტას, რითაც ფერმკრთალდება ქართული კულტურის სპეციფიკურობა. არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნუცუბიძის განხილვის საგანია XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის რენესანსული ხასიათი. ამ ეპოქაში კი ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობისთვის, რასაც საყვედურობს დანელია ნუცუბიძეს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

დანელია ნუცუბიძეს ნაკლად უთვლის, აგრეთვე, იმას, რომ ის რენესანსის საკითხების განხილვისას არ ითვალისწინებს კიროვისა და ჟდანოვის აზრებს. ამ შენიშვნას იდეოლოგიური ბრალდების ელფერი დაჰკრავს. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ დანელია არასოდეს უკმევდა გუნდრუკს საბჭოთა წყობილებას. სწორედ ამის გამო ის შერისხული იყო საბჭოთა რეჟიმის მიერ და გარკვეული დროით ციხეშიც იჯდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ კამათსა თუ პოლემიკაში, ნუცუბიძე არასოდეს მიმართავდა იდეოლოგიას.

4. 1948 წლის ჟურნალ „ბოლშევიკის“ მე-8 ნომერში (გვ. 74-86) გამოქვეყნდა იდეოლოგიური ბრალდებების შემცველი რეცენზია სათაურით – „ქართული კულტურის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ“. რეცენზიას რატომღაც ინიციალებით ხელს აწერენ ა. ქუთელია და ს. წერეთელი. ყველა მონაცემით ხელმომწერები არიან – ალიოშა ქუთელია და სავლე წერეთელი. რეცენზიაში უმკაცრესად და ტენდენციურად არის შეფასებული შალვა ნუცუბიძის მონოგრაფია – „Руставели и восточный Ренессанс“.

უპირველესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ რეცენზიაზე ხელმომაწერები ერთმანეთთან შეუთავსებელნი იყვნენ როგორც იდეურად, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. ამასთან, რეცენზიაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დადებითი ნაშრომზე, რომელმაც შემდეგში საყოველთაო აღიარება მოუტანა მის ავტორს და ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას. ეს რეცენზია პრელუდიაა ნუცუბიძის წინააღმდეგ იმ აღვირახსნილი კამპანიის (მეორედ), რომელიც წლები გრძელდებოდა და დამთავრდა მისთვის, მონადირეთა კავშირის წევრობის გარდა, ყველა რეგალიის აყრით.

ვნახოთ რაში ედავებიან რეცენზენტები ნუცუბიძეს:

1) რეცენზენტები ნუცუბიძის ნაშრომის კრიტიკისას მიმართავენ ენგელსს (ხშირად), ჟდანოვს, კალინინს. განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ნუცუბიძის მხრიდან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრების დამახინჯებაზე, რაც იმ დროისთვის უმძიმეს იდეოლოგიურ ბრალდებას წარმოადგენდა;

2) ნუცუბიძე მისტიკურ-იდეალისტურ მოძღვრებებს – ნეოპლატონიზმს (პროკლეს ფილოსოფია) და არეოპაგიტიკას ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის გაღრმავება-განვითარებად და მწვერვალად მიიჩნევს;

3) ნუცუბიძე იცავს და იწონებს ეკლესიურ-ხუცურ იდეოლოგიას და თავს ვერ აღწევს იდეალიზმის გავლენას.

მეტი სიცხადისთვის მოვიტანთ ციტატებს რეცენზიიდან:

„იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგებმა დიდი ხანია ხელი აიღეს რენესანსის ჰუმანურ, რეალისტურ იდეებზე და შუასაუკუნეებრივი ხუცობისა და და მისტიკის აღდგენას მიჰყვეს ხელი. ისინი არაჩვეულებრივი ძალით აღადგენენ შუასაუკუნეების რეაქციულ ფილოსოფიურ და რელიგიურ იდეებს, შუასაუკუნეებრივ მისტიკასა და ხუცობას დღესაც“ (გვ. 74);

„ძველმა ქართულმა კულტურამ თავის უმაღლეს განვითარებას XI-XII საუკუნეებში მიაღწია, იმ პერიოდში, როდესაც დასავლეთი ევროპა შავბნელი სქოლასტიკითა და მისტიკით იყო მოცული“ (გვ. 75);

„[...] პროფ. შ. ნუცუბიძის შრომა არათუ არ იძლევა ქართული რენესანსის სისტემურ მეცნიერულ გამოკვლევას, მის ღრმა მეცნიერულ შესწავლას, არამედ, პირიქით, ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ს მას, ახდენს მის ფ ა ლ ს ი ფ ი კ ა ც ი ა ს. ამასთან პროფ. შ. ნუცუბიძე ცდილობს თავისი შეხედულებები მარქსისა და ენგელსის დებულებებად გაასაღოს“ (გვ. 75-76. დაყოფა ყველგან ჩემია – მ. მ.);

„პროფ. შ. ნუცუბიძე კი არსებითად მიდის ენგელსის მიერ დაგმობილი გზით, ისე რომ ამ თავის გზას იგი ასაღებს ენგელსის მიერ ნაჩვენებ გზად“ (გვ. 77);

„ფსევდო-დიონისე ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ე. წ. უარყოფითი (აპოფატიკური) ღვთისმეტყველებისა. ამ უაღრესად რეაქციული მოძღვრების დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ, თუმცა ღმერთი მთელი სამყაროს შემოქმედად და მიზნად არის აღიარებული, მაგრამ მაინც აბსოლუტურად ტრანსცენდენტურ რაღაცად არის მიჩნეული და სრულიად შეუმეცნებად ადამიანის გონებისათვის“ (გვ. 79);

„შ. ნუცუბიძის მტკიცებით ნეოპლატონიზმი ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების დაცემისა და რღვევის პერიოდის რეაქციული მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრება კი არაა, როგორც ეს მარქსისტულ ლიტერატურაში არის დამტკიცებული, არამედ ანტიკური მემკვიდრეობის შემდგომი ორგანული და პროგრესული განვითარება. ანტიკური ფილოსოფიის უმაღლესი მიღწევა, პროფ. შ. ნუცუბიძის აზრით, იყო არა არისტოტელეს ფილოსოფია, არამედ ნეოპლატონიზმი. ამასთან პროფ. შ. ნუცუბიძე ცდილობს თავისი შეხედულებები მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ ა დ გ ა ა ს ა ღ ო ს. მაგრამ რადგანაც საამისოდ არავითარი მონაცემები არ არსებობს, ამიტომ

პროფ. შ. ნუცუბიძე მიმართავს მარქსისა და ენგელსის შეხედულებების პირდაპირ დამახინჯებას (გვ. 80)";

მისტიკურ ექსტაზს დიდი ადგილი უჭირავს ნეოპლატონურ ფილოსოფიაში, „აი ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიმართეს ნეოპლატონიზმს ქრისტიანული ეკლესიის მამებმა, კერძოდ კი – ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა" (იქვე);

„ეპიგონსა და მისტიკოს პროკლეს, – შ. ნუცუბიძე უდიდეს დიალექტიკოსად აღიარებს და, – მაღლა აყენებს, ვიდრე არისტოტელეს, რომელსაც ეგზომ დიდად აფასებდნენ, როგორც დიალექტიკოსს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები" (გვ. 81);

„არეოპაგიტიკა იყო არა მარტო აბსტრაქტულ-მისტიკური მოძღვრება, არამედ იგი წარმოადგენდა აგრეთვე ბიზანტიის ქრისტიანული საეკლესიო იერარქიის თეოლოგიურ-ფილოსოფიური დასაბუთების ცდას. ამიტომ იყო, რომ მას ხელი ჩასჭიდეს ეკლესიის მოძღვარებმა. ამან ქრისტიანულ ეკლესიაში არეოპაგიტიკა პოპულარული გახადა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. აქ ნათლად ჩანს არეოპაგიტიკის სოციალური და კლასობრივი არსი" (გვ. 81-82)";

„ნუცუბიძე არა მარტო იცავს არეოპაგიტიკის უცნობი ავტორის რეაქციულ-ხუცურ იდეოლოგიას, არამედ ყოველგვარი ფაქტების გარეშე, უფრო მეტიც, ფაქტების წინააღმდეგ, მას, არეოპაგიტიკის ავტორს, ქართველად აცხადებს" (გვ. 83);

რეცენზენტები ნუცუბიძის კვლევის მეთოდზე:

„ეს არის მეთოდი დამახინჯების, გადასხვაფერების, პლუს მეთოდი ყველა ისტორიულ პიროვნებათა შეგნებულ მატყუარებად და სიცრუისმთქმელებად გამოცხადებისა, როდესაც ეს პიროვნებები იმას არ ამბობენ, რაც ნუცუბიძეს სურს თავისი მოგონილი თეორიისთვის" (გვ. 85);

„ამრიგად, პროკლეს რეაქციულ-მისტიკურ ნეოპლატონიზმს, როგორც არეოპაგიტული მისტიკის პირველწყაროს, პროფ. შ. ნუცუბიძე აღიარებს 'ქართული რენესანსის იდეოლოგიის ამოსავალ წერტილად' [...] ჩვენი წარსული კულტურის პროკლეს ფილოსოფიასა და არეოპაგიტიკის მისტიკაზე დაყვანით პროფ. ნუცუბიძე ჩვენს მდიდარ კულტურას აცლის საკუთარ სოციალ-ეკონომიურ და იდეოლოგიურ-კულტურულ ბაზას, ნაციონალურ ხასიათს" (გვ. 86);

„შ. ნუცუბიძე ფაქტებიდან კი არ გამოდის, როგორც ამას მეცნიერება მოითხოვს, როგორც ამას გვასწავლის მარქსიზმ-ლენინიზმი, არამედ თავისი მოგონილი და ყურით მოთრეული აპრიორული სქემიდან. ეს სქემა თავიდან ბოლომდე იდეალისტურია. ის მთლიანად გაჟღენთილია კულტურული და რელიგიურ-მისტიკური სისტემების მიგრაციის იდეალისტური თეორიით" (იქვე);

„მთელი რენესანსის, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური რენესანსის იდეოლოგიურ ბაზად შ. ნუცუბიძე აცხადებს აშკარა მისტიკურ და ეკლესიურ სქოლასტიკას იმ ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა, რომელმაც მეხუთე საუკუნეში სცადა ფილოსოფიურად გაემართლებინა ბიზანტიის ეკლესიის იერარქია" (იქვე);

„პროფ. ნუცუბიძის წიგნი „Руставели и восточный Ренессанс" წარმოადგენს საერთოდ რენესანსის და კერძოდ ქართული რენესანსის პრობლემის მისტიფიკაციას და დამახინჯებას" (იქვე);

დამოწმებული ციტატებიდან ცხადი ხდება რეცენზენტების ბრალდებები (და არა შენიშვნები!), რასაც ისინი გამოთქვამენ ნუცუბიძის ნაშრომის და მასში გამოთქმულ მოსაზრებებზე.

გამოვყოთ მათგან მთავარი:

1) რეცენზეტები ნუცუბიძეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, განსაკუთრებით ენგელსის დებულებების თავისებურ, მისთვის სასარგებლო ინტერპრეტაციებსა და დამახინჯებებში ადანაშაულებენ;

2) რეცენზენტები არ იზიარებენ ნუცუბიძის თვალსაზრისს ნეოპლატონიზმზე (პროკლეს ფილოსოფიაზე), როგორც ანტიკური ფილოსოფიის განვითარების უმაღლეს მწვერვალზე;

3) მისტიკოსისა და ეკლესიური სქოლასტიკოსის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების გამოცხადებას აღმოსავლური და დასავლური რენესანსის იდეოლოგიურ ბაზად.

4) რეცენზენტებისთვის ასევე მიუღებელია ნუცუბიძის მიერ პეტრე იბერის გამოცხადება არეოპაგიტიკის ავტორად. ამასთან, ასეც რომ იყოს, რა კავშირი აქვს მას ქართულ კულტურასთან, ის ხომ სირიაში ცხოვრობდა და წერდა არა ქართულად, არამედ ბერძნულად, შენიშნავენ რეცენზენტები.

5) ნუცუბიძის ნაშრომი – „Руставели и восточный Ренессанс“ მიაჩნიათ საერთოდ რენესანსის და კერძოდ ქართული რენესანსის პრობლემის მისტიფიკაციად და დამახინჯებად.

6) ნუცუბიძის მოსაზრებებში ყველგან ხედავენ იდეალისტურ გადახრებს.

ამ სახის რეცენზიისა და მასში გამოთქმული ბრალდებების გამოქვეყნება ჟურნალ „ბოლშევიკში“ ნიშნავდა იმას, რომ ბრალდებების ადრესატს პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ მისცემოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით ამგვარი რეცენზიის გამოქვეყნებას ვერანაირი გამართლება ვერ მოეძებნება.

ახლა შევაფასოთ რეცენზენტების ბრალდებები შალვა ნუცუბიძის ნაშრომზე.

ჯერ ერთი, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თვალსაზრისების დამახინჯება იმ დროს უმძიმესი ბრალდება იყო და მას გამართლება ვერ მოეძებნება. სინამდვილეში ნუცუბიძის მხრიდან ეს ძირითადად არის მარქსისტული დებულებების ინტერპრეტაცია, რაც კონიუქტურისადმი ერთგვარი ხარკის გადახდა იყო;

მეორე: რეცენზეტების აღნიშვნით, ნეოპლატონიზმი მისტიკურ-იდეალისტური მოძღვრებაა და ის ვერ ჩაითვლება ანტიკური ფილოსოფიის განვითარების მწვერვალად. მწვერვალი შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ დრომ დაადასტურა, რომ ნეოპლატონიზმი პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიის სინთეზს ახდენს. მაგალითისთვის, უმაღლეს სიკეთეზე პლატონის მოძღვრებისა და არისტოტელეს მიზნობრივი მიზეზის გაერთიანებით ჩამოყალიბდა ნეოპლატონური მოძღვრება პირველმიზეზზე, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო პანთეიზმს. სწორედ ამაში იყო ნუცუბიძის გენიალობა, რომ კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში, როცა ნეოპლატონიზმს უკიდურესად უარყოფითად ახასიათებდნენ, განჭვრიტა და სწორად შეაფასა ნეოპლატონიზმის ნამდვილი როლი და ადგილი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. დღეს ეს პოზიცია ნეოპლატონიზმის მიმართ აღიარებულია და სადავოც არაფერია.

ამასთან, რატომ დაავიწყდათ რეცენზენტებს, რომ ჯერ კიდევ ნიკო მარმა თავის ნაშრომში – *„Вступительные и заключительные строфы ‘Витязя в барсовой коже’ Шоты из Рустава“* (СПб.,1911) უტყუარად აჩვენა და დაამტკიცა ნეოპლატონური იდეების არსებობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

მესამე: რეცენზენტები მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ არეოპაგიტულ მოძღვრებას, მიიჩნევენ მას მისტიკურად და საეკლესიო სქოლასტიკად, რეაქციულ-ხუცურ იდეოლოგიად. დღეს არეოპაგიტული მოძღვრება სულაც არ არის ასე გაგებული და მას უდავოდ მიიჩნევენ რენესანსის თუ ერთადერთ არა, ერთ-ერთ მთავარ მსოფლმხედველობრივ საფუძვლად მაინც.

საქმე ის არის, რომ არეოპაგიტულ მოძღვრებაში მოხდა ნეოპლატონიზმის პროგრესული იდეების შერწყმა ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან. როგორც ნუცუბიძე აღნიშნავდა, არეოპაგიტული მოძღვრების ავტორმა ნეოპლატონიზმი „გადარგო“ ქრისტიანულ ნიადაგზე და ამით გზა გაუხსნა მას შუასაუკუნეების აზროვნებაში. აქაც სახეზეა ნუცუბიძის გენიალური მიხვედრა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეცენზენტების მიერ არეოპაგიტიკა მიჩნეულია ქრისტიანული დოგმების ფილოსოფიურად გამართლების მცდელობად და ამიტომაც გახდა იგი ასე პოპულარული ეკლესიაში. მაშინ როცა, ქრისტიანობის დიდი რეფორმატორი მარტინ ლუთერი არეოპაგიტიკას თვლიდა პლატონურ მოძღვრებად და მოითხოვდა არეოპაგიტული თხზულებების ქრისტიანული ლიტერატურის კატალოგიდან ამოღებასაც.

ერთი ნიუანსიც გასათვალიწინებელია. რეცენზენტების მიერ „მისტიკოსად და საეკლესიო სქოლასტიკოსად“ და „რეაქციულ-ხუცურ იდეოლოგად“ შერაცხულ ფსევდო-დიონისე არეოპაგელს რუსთაველი, ვინც იშვიათად მიმართავს ავტორიტეტებს, თავის უკვდავ პოემაში „ბრძენ დივნოსად“ მოიხსენიებს და იმოწმებს კარდინალურ საკითხში – *ბოროტებაზე სიკეთის აუცილებელ გამარჯვებაში.* ვის დავუჯეროთ?

მეოთხე: რეცენზენტებისთვის კატეგორიულად მიუღებელია არეოპაგიტიკის ავტორად პეტრე იბერის გამოცხადება. ნუცუბიძის ეს თვალსაზრისი მაშინვე მიუღებელი იყო კორნელი კეკელიძისა და სერგი დანელიასთვის, მოგვიანებით კი ივანე ლოლაშვილისთვის. განსახილველი რეცენზიის გამოქვეყნებიდან ოთხი წლის შემდეგ კი სათანადო დასაბუთების საფუძველზე არეოპაგიტიკის ავტორად პეტრე იბერი აღიარა ცნობილმა ბელგიელმა მეცნიერმა, ამ შემთხვევაში მიუკერძოებელმა მკვლევარმა **ერნესტ ჰონიგმანმა** (1892-1954), შემდგომ შ. ხიდაშელმა, ა. ლოსევმა, ვ. სოკოლოვმა და სხვა არაერთმა ევროპელმა მეცნიერმა. რაც შეეხება პალესტინაში მოღვაწე პეტრე იბერის დამოკიდებულებას მის ისტორიულ სამშობლოს – საქართველოსთან, ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩემი *„არეოპაგიტიკა“* (თბილისი, 2011, გვ. 35-38). ასე რომ, მსგავსი უარყოფითი დამოკიდებულება ნუცუბიძის თვალსაზრისზე ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერის იდენტობაზე, საფუძველს მოკლებულია.

მეხუთე: ნუცუბიძის ნაშრომის – „Руставели и восточный Ренессанс“ მიჩნევა რენესანსის პრობლემების მისტიფიკაციად და დამახინჯებად, ასევე მოკლებულია საფუძველს. ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან მალე იგი კლასიკად იქცა. სწორედ ამ ნაშრომის საფუძველზე გამოჩენილმა რუსმა სწავლულმა ალექსეი ლოსევმა (1893-1988) უდავო ფაქტად აღიარა საქართველოში რენესანსის არსებობა, რომელიც მისი აზრით, მინიმუმ ერთი საუკუნით წინ უსწრებდა იტალიურ რენესანსს.

ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას, რომელიც გადმოცემულია რეცენზენტების კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულ ნუცუბიძის მონოგრაფიაში, ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. მომხრეთა შორის არიან ისეთი გამოჩენილი სწავლულები, როგორებიც იყვნენ: ა. ლოსევი, ნ. კონრადი, ს. ბრაგინსკი, შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე და სხვ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიამ შემდგომში სტიმული და მძლავრი ბიძგი მისცა კვლევებს ჩინეთსა და იაპონიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში რენესანსის არსებობაზე.

მეექვსე: ნუცუბიძის მონოგრაფიაში იდეალიზმისა და იდეალისტური იდეების ძიება, დღევანდელი გადასახედიდან გულუბრყვილოდ გამოიყურება და მასზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

ნუცუბიძის ნაშრომი – „Руставели и восточный Ренессанс“ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გამოკვლევაა. მასში გატარებული აზრები, ბუნებრივია, ყველასთვის ერთნაირად მისაღები ვერ იქნებოდა. დრომ აჩვენა, რომ ეს ნაშრომი რენესანსის თემაზე დაწერილ გამოკვლევებს შორის უმნიშვნელოვანესია და პირადად მე იგი ერთ-ერთ საუკეთესოდაც მიმაჩნია. მაშინ დაისმის კითხვა – რატომ დაესხნენ თავს ასე ორკესტრირებულად მის ავტორს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. მართალია მაშინ სტალინური რეჟიმი ჯერ კიდევ ძალაში იყო, მაგრამ არც ავადსახსენებელი 37-იანი წლები იდგა.

ვინ იყო ამ დროისთვის შალვა ნუცუბიძე, ხომ არ იყო საზოგადოების ერთი რიგითი წევრი ან ხელმოცარული მეცნიერი, რომელიც აკვიატებული იდეების ტყვეობაში იმყოფებოდა? როგორია სინამდვილე? მივყვეთ თანმიმდევრობით:

შალვა ნუცუბიძემ 24 წლის ასაკში მოამზადა ფუნდამენტური მონოგრაფია – „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვის ფსიქოლოგიური საზოგადოების ჟურნალში – „Вопросы философии и психологии“. 1913, წიგნი I (116) და წიგნი II (117). ნაშრომმა მაშინვე მიიქცია ყურადღება და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა; ნუცუბიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1919-1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, 1920-1929 წლებში უნივერსიტეტის პრორექტორი, ახლადდაარსებულ უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი; 1922 წელს მან გამოაქვეყნა ორიგინალური მონოგრაფია – „ალეთოლოგიის საფუძვლები“, ხოლო 1919 წელს – სახელმძღვანელო – „ლოღიკა“; გასული საუკუნეების 20-იან წლებში გერმანიაში მივლინებაში ყოფნისას გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ფუნდამენტური მონოგრაფიები – „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ (ბერლინი და ლაიფციგი,1926) და „ფილოსოფია და და სიბრძნე“ (ბერლინი და კიონიგსბერგი, 1931), რომელთა შესახებ გამოქვეყნდა 12 რეცენზია (ეს არასრული რიცხვია), მათი ავტორები კი იყვნენ ცნობილი ავტორები – ბრუნო ბაუხი, კურტ გასენი, ა. მიულერი და სხვ. კ. გასენის აღნიშვნით, ნაშრომის „ყველაზე მასტიმულირებელ ნაწილს ჰაიდეგერთან კამათი წარმოადგენს“.

1937 წელს ნუცუბიძემ გამოსცა იოანე პეტრიწის შრომების მე-2 ტომი, რომელსაც დაურთო მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა პეტრიწის ფილოსოფიაზე. პირველი ტომის გამოცემა აღარ დასცალდა, რადგანაც 1938 წელს დააპატიმრეს; მან რუსულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გამოიცა 1941 წელს; 1941 წელს გამოქვყნდა მისი სტატია – „აღმოსავლური რენესანსის თეორია და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“, რაც ფაქტობრივად გახდა მისი მონოგრაფიის – „Руставели и восточный Ренессанс“ მომზადებისა და გამოცემის წინაპირობა. 1942 წელს კი გამოაქვეყნა „Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита“.

აი ეს „ბაგაჟი“ გააჩნდა ნუცუბიძეს, როცა მოამზადა და გამოსცა „Руставели и восточный Ренессанс“, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებდა ამგვარ რისხვას. მეცნიერმა დაწერა ნაშრომი, რომლის ქებაც შეიძლება და კრიტიკაც, მაგრამ ასეთი რისხვა?! მით უმეტეს, რომ ნუცუბიძის ნაშრომში მრავალი საკითხია განხილული და ნაცადია მათი ორიგინალური გადაწყვეტა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დრომ დაადასტურა ნუცუბიძის პოზიციის მართებულობა.

ერთი რამ ნამდვილად არ არის სადავო – ნუცუბიძის წინააღმდეგ ეს გამოსვლები იქნებოდა ბეჭდვითი თუ საჯარო, რეჟიმის ინტერესებს ემსახურებოდა და ნუცუბიძე ნამდვილად არ ყოფილა საბჭოთა რეჟიმისთვის სასურველი პერსონა. მსგავს გამოსვლებში არც სუბიექტური ფაქტორი უნდა გამოირიცხოს.

რაც მთავარია ამ ნაშრომში გამოჩნდა ნუცუბიძის დიდი ერუდიცია და შორსმჭვრეტელობა. მან უტყუარი ალღოთი დაინახა ნეოპლატონიზმის პროგრესული როლი კულტურის ისტორიაში და, აგრეთვე, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის უმნიშვნელოვანესი ძეგლის – არეოპაგიტული მოძღვრების დიდი მნიშვნელობა რენესანსული მსოფლმხედველობისთვის. ეს იყო ნუცუბიძის უდავო დამსახურება როგორც ქართული ფილოსოფიის, ისე საერთოდ ქართული კულტურის წინაშე.

შორენა მახაჭაძე

„გრილ ნიქარაში გამომწყვდეული“ პოეზია

(ჟუჟუნა ხაჯიშვილის „რჩეულის“ მიხედვით)

„ესა ვარ, რაც ვარ, გრილ ნიჟარაში
გამომწყვდეული ჟინი და კრძალვა“ –

ეს სტრიქონები ჟუჟუნა ხაჯიშვილის ლექსიდანაა „კოლხური დიადემა“, მისი ბოლო, 2022 წლის კრებულიდან – „რჩეული“ *(შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს).* ვფიქრობ, მათში იმალება მისი პოეზიის გასაღები: მის ლექსებში იგრძნობა თავშეკავებული ჟინი, ვნება და, იმავდროულად – ქალური კდემა, კრძალვა, იდუმალი თრთოლვა. სწორედ ამ, ერთი შეხედვით, შეუთავსებელ თვისებათა ჰარმონიული შერწყმა სძენს განუმეორებელ მომხიბვლელობას ჟუჟუნა ხაჯიშვილის პოეზიას. ის ფაქიზია, ნატიფი და, ასევე, – აფორიაქებული, მშფოთვარე, გულწრფელიცა და იდუმალიც, საყვარელი ადამიანებით გარშემორტყმული და მარტოსულიც ერთდროულად, რადგან:

„ალბათ სიყვარულზე სპეტაკია,
ასჯერ სპეტაკია სიმარტოვე“ („სიმარტოვე“, 3).

სიმარტოვის ეს განცდა ბუნებრივია პოეტი-ქალისთვის, ვინც რკინის საუკუნეში თავს ამორძალად გრძნობს, ყვითელი ულაყებით ლაღად რომ დაჰქრის ველ-მინდვრებზე, ვის მახვილსაც „ველური მზის ნაპერწკლები“ სცვივა:

„ო, როგორ გინდა, შენც ამ მოძახილს
თან გაჰყვე, როგორც უხმო ყიჟინა,
მაგრამ ქალი ხარ... და ამორძალი,
ხელთ ორლესული ხმალი გიჭირავს“ (11).

ამორძალი პოეტისათვის თავისუფლების, სიამაყის, შემართების, ასევე, ქალური მშვენიერების, მისი მძიმე ტვირთისა და სევდის სიმბოლოა:

„ამოგამღერებ, ლექსო, ამოგთქვამ,
ამ მტკივან ლექსებს გაგიბამ სიმად
და სევდას ჩემსას – ამაყ ამორძალს
ველურ სტრიქონებს დავკიდებ მძივად...“ (58).

ჟუჟუნა ხაჯიშვილის სტრიქონებში ახალი ეპოქის პირველი ქალის – ევას – წმინდა, სპეტაკი, ჰაეროვანი, თან ცოდვით დამძიმებული ლანდიც აისვეტება, ვინც გაორებულ განცდას ბადებს ადამიანებში: ღიმილსა და ცრემლს, აღფრთოვანებასა და განსჯას, სიამაყესა და სინანულს:

„ევა!..
ძახილი სამყაროს ქარებს,
ვით ჟრუანტელი, მოჰქონდა შენთან...
არც შეგინდობენ...
მაგ ცოდვის გამო
მაინც ყველაზე ახლოს ხარ ღმერთთან!..“ („ევა“, 17)

მარადიული ევა დღემდე „ედემურ ხსოვნით“ ინახავს თავისი განუყოფელი ნაწილის – ადამის – ხსოვნას, დღემდე თავის ცალს დაეძებს, მასში უნდა საბოლოოდ დამკვიდრება:

„ზეცის ბილიკი ამოვიარე,
გულზე მეკიდა მზე იაგუნდი,
გამოვერიდე იალ-ტიალებს,
ისევ და ისევ შენთან დავბრუნდი...“ (15).

მარადიული ქალი მშვენიერების უკვდავებას განასახიერებს. საოცარია თეთრად გადაპენტილი აკაციის ხისა და გაზაფხულივით ქორფა, ტურფა, თეთრ კაბასა და ქათქათა ფატაში გამოწყობილი გოგონას შედარება: ორივეს ბაგეები ნექტარითაა სავსე, სიტკბოს მოყვარულიც ბევრია, ნიავიც ფანტავს აკაციის თეთრ ყვავილებს, დედოფალიც მოიხდის ფატას, მზიან დღეებს ავდარი შეცვლის და შემოეძარცვებათ აკაციასა და გოგონას სპეტაკი სამოსი *(აქ შეიძლება გალაკტიონის ატმის ყვავილთა ვარდისფერი ბილიკებიც გაგვახსენდეს):*

„ნუთუ გულებსაც მოგვტაცებს ქარი,
როგორც პატარა ბუდეებს მერცხლის?“ („აკაცია“, 35)

ეს თეთრი ბაფთებითა და ყვითელი კაბით შემოსილი, მოციმციმე ყვავილივით გოგონა ხშირად იხსენებს თავის ფეხშიშველა ბავშვობას, მიმოზისფერ ყმაწვილქალობას (62), იმ დროს, როცა „თოთო კვირტები ესხა“ მის სხეულს და ფერადი სიზმრები ულამაზებდნენ ღამეს, ახლა კი, მწყერივით მობუზულს, ხშირად ენატრება სატრფოს სახე (39) და სინანულის განცდაც არაიშვიათად ეწვევა:

„ვერ შევიძელი ღმერთქალობა –
დუმილი უფლის,
ვერც სიყვარულში გავეჯიბრე ადამიანებს...
ჩამომეღვენთა მოციმციმე ნაფლეთი ღრუბლის,
გალუმპულ მხრებზე თოლიებმა გადამიარეს!..“ (45)

ფესვების ძიების, მათში ჩაღრმავების, შორეულ წინაპრებთან შინაგანი, უწყვეტი კავშირის განცდა ჟუჟუნა ხაჯიშვილის პოეზიის გამორჩეული ნიშანია. მისი ძირები მითიური სამყაროდან იწყება, შუამდინარეთში იღვიძებს ქალი და დედა, რომლის მოუცილებელი ტკივილი მისი შვილებისა და სამშობლოს მომავალია; მისთვის „ერისა და გენის“ უკვდავება უპირველესია, სწორედ ძველ შუმერთა გადამალულ აკლდამებში ეგულება პოეტს ულამაზესი, ღვთაებრივი ქართული ანბანის ყვავილებიც, რომელთაგან შემოქმედი ფერად-ფერად სტრიქონთა თაიგულებს კრავს:

„დედა ვარ, დედა...
და მტკივა მიწა, როგორც სხეული,
და მტკივა მიწა, როგორც სხეული,
ჩემივ სითბოთი,
ჩემივ სისხლით ამოვსებული!...“ („ჰოი, გილგამეშ!“)

„იცან სამშობლო – პირველი კერპი“ („თუბალ, გასჭედე“, 9) – ურარტუს ქვაბებში მოხეტიალე წინაპრის პირით შეგვახსენებს პოეტი, ეს მოწოდება მარადიული და წმიდათაწმიდაა იმ ქვეყნის შვილისთვის, რომელსაც აქვს:

„ზღვა – მობრიალე სფინქსის თვალები,
მთები – ნაჭედი, თითქო ხალიბის...
და ზედ, ვითარცა თეთრ ეტრატებზე,
გადაწერილი სისხლის ხალები“ (9).

მუდამ ყოფნა-არყოფნის ქარები ქროდნენ პოეტის სამშობლოში, გადაგვარება-გაქრობის ზღვარზე მყოფი ისევ წინაპართა მითებს აფარებდა თავს, ამიტომაც მისი სათხოვარი უზენაესისადმი ყველაჟამს უცვლელი იყო:

„სხალთის ქონგურზე, მზევ, გადიარე
და საქართველოს დასწერე ჯვარი!“ (40)

ჟუჟუნა ხაჯიშვილის საყვარელი ქალაქი კი, რა თქმა უნდა, ბათუმია, რომლის ქუჩებს ყელმოღერებული პალმები ამშვენებენ და თოლიები კოცნიან, სადაც მუდმივად ათასგვარი ხილის თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებს (43):

„არც კოლხას ხმლები და არც ღალატი,
ცაა ახატულ-ჩამოხატული...
და მაინც ბორგავს ჩემი ქალაქი –
დაუდგრომელი პონტოს ნათლული...“ („ბათუმი“, 51).

ჟუჟუნა ხაჯიშვილი ერთ-ერთ ჩანახატში (193) აღნიშნავს, რომ მისთვის გამორჩეული ლექსია „ეს მე ვარ – ვანენ!“ ის იხსენებს: როცა პირველად შედგა ფეხი სხალთის ტაძარში, დიდებული წინაპრები – ტბელ აბუსერისძე – მწერალი, ასტროლოგი და მისი და – დედოფალი ვანენი – ქველმოქმედი, ეკლესიათა მშენებელი, გაახსენდა, წარმოიდგინა, როგორ ლოცულობდნენ ხატებთან, თუმცა პოეტს თითქოს ვანენის კითხვიანი თვალები შემოეფეთა და ასე დაიბადა ეს ლექსი:

„ეს მე ვარ – ვანენ! ეს მე ვარ – ვანენ!
ველარ მიცანი, ძვირფასო, ალბათ,
შემჭრეს დალალი კახაბრის ველზე
დამიწვეს ჩემი ქათიბი – კაბა“ (12).

ეს ქალი-პოეტის არამოჟღარუნე და არაპათეტიკური, ფაქიზი, მოწკრიალე, მთრთოლვარე სტრიქონებია, დიდი სითბოთი და სიყვარულით სავსე, ამიტომაც ასეთი ინტიმურია სამშობლოს შეგრძნებაც:

„რა სტკივა მაინც ამ სულის ყვავილს,
რომ სამშობლოშო სამშობლოს ვეძებ?...
გახედე გაღმა, ჩემს სამშობლოში
უსამშობლოოდ დარჩენილ ტაძრებს!..“ (48)

მაგრამ ქართულ სულს მუდამ ჰყავდა უანგარო პატრონი და გულშემატკივარი; ასეთები იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, რომელსაც ქართული წიგნებით აჭარაში გაზაფხული შემოჰყავდა:

„თბილისიდან მერცხალი მოფრინდა,
მოდის გაზაფხული...
დიდაჭარას!..“ („ზაქარია ჭიჭინაძეს“, 51).

ასეთი იყო გულო კაიკაციშვილი, რომელსაც სამშობლო გროშებზე არასოდეს გაუყიდია, ნამუსი სამასხარაოდ არასოდეს გაუხდია („ძიავ, ქართველო მეგაზეთევ!“, 32).

ასეთები იყვნენ პოეტის წინაპრები: „ბებო – პირბადრი, მოქათქათე ლეჩაქში მთვარე“ („ოჩოკოჩია?!“ – 23), ბებო, „რომელშიც ფეთქავს უმეცრებისგან მინავლებული ქართული ძარღვი!“ („მარიავ, რას ტირი“, 25), რომელსაც „ვით ყაყაჩოებს კახაბრის ველზე, მკერდზე დამღებად აჩნია ჯვრები“ (25)...

ბაბუა – „შენ ჩემი ძველი ჯიშის და მოდგმის უღლის გამწევი იყავ ქართველი“ („ბაბუა“, 16), ბაბუა – ის ლომგულა აჭარელი, ვისაც არაერთხელ „დაუფრენია ტყიდან ასკერი!“ (16).

ჟუჟუნა ხაჯიშვილი ზუსტი, ორიგინალური შედარებების მეშვეობით ქმნის ასწლოვანი ბაბუას დაუვიწყარ მხატვრულ სახეს:

„გადაწკენტილი თეთრი ულვაში
თეთრად მოფიფქა ხინოს ნისლებმა!“ (57)

„ბაბუა, შენი ფერმიხდილი,
დიდი ხელები –
ეგ მარწუხები ბებერ მეთევზის,
აღარ მღერიან, როგორც ჩონგური –
სიმებდამწყდარი გიდევს მუხლებზე“ (55).

ამ მშვენიერ ლექსშიც კარგად ჩანს, თუ როგორ ემარჯვება პოეტს კონტრასტის გამოყენება, ტროპული მეტყველება:

„ბაღებში მღერის გაზაფხულის
თეთრი სინორჩე,
ბუხართან შენი სიბერე ტირის...“ (55).

ამგვარმა ნენიკოებმა და ბაბუებმა შემოუნახეს შთამომავლობას ქართული ენა და ტრადიციები, მათი დამსახურებაა, რომ დღეს „აჭარლები – ნამუსრი ძმები კვლავ იხსენებენ წმინდა გიორგის!“ (24), მათ აღუზარდეს საქართველოს ზნეობითა და ღირსებით სავსე, წინაპართა პატივისმცემელი თაობები, ისეთები, როგორებიც პოეტის მშობლები იყვნენ:

მამა – „სუფთა კაცი, ტკბილად და გულწრფელად მოუბარი...“, უღალატო, შრომისმოყვარე, ერთი შეხედვით, – მკაცრი, სინამდვილეში კი – გულჩვილი და რომანტიკული („მამა“, 192)...

დედა – უმშვენიერესი „ჯაფარიძიანთ ცქრიალა ქალი“, ვის სიყმაწვილესა და ცხოვრების დასასრულს ასე დიდოსტატურად ხატავს პოეტი ლექსში „დედა“, რომელიც დასრულებული პოეტური ნოველის ეფექტს ახდენს. კონტრასტული ჩანახატებით ცოცხლდება ყმაწვილქალის ქორწილის სცენა: შთამბეჭდავად იხატება დინამიკური, კოლორიტული სურათი მაყრიონისა, ისმის ჭიბონისა და დოლის ხმა, თოფების ჭექა, ცხენების ფლოქვების თქარუნი:

„თეთრი ცხენები ეხება ერთურთს,
უნებურ თრთოლას ქარები ფანტავს,
თმენის ფიალა ევსება ნეფეს,
ჯიქურ გადახდის დედოფალს ფატას“ (34).

დამაჯერებლადაა ნაჩვენები ნეფის მოუთმენლობა, მისი ემოციები ქალის მშვენიერების დანახვისას:

„გადმოიღვრება სითეთრე ქალის
და ჟრუანტელი დაუვლის ვაჟკაცს“ (34).

მაყრიონის ცხენებივით თვალის დახამხამებაში ჩაიქროლა ქალის მთელმა ცხოვრებამ, ტკბილმწარე წუთისოფლის ბოლო კი ყველა მოკვდავისთვის ერთია:

„მას შემდეგ, ჰაუ, რა დრო გასულა
ჯაფარიძიანთ ცქრიალა ქალო,
დასრულდა ჟამი შენი, დასრულდა,
უხმო საფლავთან ჩიორა გალობს...“ (34).

დედის განცდა კი უმძაფრესი და უფაქიზესია ჟუჟუნა ხაჯიშვილის პოეზიაში. ამაში გვარწმუნებს დედისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი უსათაურო ლექსი: „ისევ ჩამოხვალ სოფლიდან, დედა“ (50). ძალიან საყვარელი, თბილი, გულშიჩამწვდომი შედარებით იხატება უკვე სიბერეშეპარული დედის პორტრეტი:

„დამისკუპდები შუა ოთახში,
ვით თბილ ქვეყნებში გასაფრენი პატარა ჩიტი“ (50).

პოეტისათვის სოფლიდან დედის ჩამოსვლა, მისი სტუმრობა ზეცის გახსნას ჰგავს, ჩვეულებრივი ოთახი ფერს იცვლის, ჯადოსნური მელოდიებით ივსება:

„და ფერცქრიალა ჟუჟუნა წვიმებს გამოჰყვებიან
ტყის იდუმალი საგალობლები“ (50).

როგორც ვნახეთ, ჟუჟუნა ხაჯიშვილის პოეზია, მართლაც, გრილ, სასიამოვნო ნიჟარაში გამომწყვდეულ მარგალიტს ჰგავს, სანამ ბოლომდე არ გახსნი, არ ჩასწვდები, ვერ აღმოაჩენ შიგ არსებულ პოეტურ ნათელს, სანამ ყურს კარგად არ დაუგდებ, ვერ გაიგონებ შორეული ოკეანის ხმაურს, მიმზიდველ ხმებს, საუკუნეთა სიღრმიდან წამოსულსა და ასე ახლობელს, მშობლიურს ერთდროულად:

„ესა ვარ, რაც ვარ, საუკუნეთა
ჩუმ მღელვარების სითბო და ფერფლი,
არ შეშრობია პონტოს და მცხეთას
ჩემი პატარა, სოველი ტერფი“ („კოლხური დიადემა“, 4).

შემოქმედის უმთავრესი დანიშნულება ხომ კოლექტიურ არაცნობიერში შემონახული არქეტიპების მხატვრულ სახეებში გარდაქმნაა, ხალხის სანუკვარი ოცნებების ხატებად ქცევაა, ღვთიური მშვენიერების სიტყვებში მოქცევაა – ეს შეძლო ჟუჟუნა ხაჯიშვილმა და თავისი წილი სხივი შემატა ქართული პოეზიის ბრწყინვალე მნათობს.

ერთ ლექსში ჟუჟუნა ხაჯიშვილს აქვს სულისშემძვრელი და ერთგვარად წინასწარმეტყველური სტრიქონები, რომლებითაც მან ულამაზესად დაიტირა თავისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული და ღირსეულად შეუერთდა სულთა სამყაროს:

„ჰოი, ზეცაო, რას მპირდები,
მითხარ, სანაცვლოს,
მოენატრება მიწას ჩემი ცრემლის თოვება
და დააჩნდება მზესაც ლაქებად
ჩემი არყოფნის უსაზღვროება...
სავსე მაქვს ტანი, მზით და მიწით
სავსე მაქვს ტანი
და მებრალება განწირული სისავსე ჩემი,
დასტირის მიწა ჩემს ვარდისფერ
ჟრჟოლას და ამურს
და ცისკენ ჟონავს სული ჩემი –
გამდნარი ცრემლი...“ (28).

ასე ცრემლად და ღიმილად გადადნა უსასრულობაში პოეტი ჟუჟუნა ხაჯიშვილი, ჩვენ კი დაგვიტოვა ქალის თვალით დანახული, მისი დიდი სევდისა და ულევი სიყვარულის დამტევი, ყოვლისმპატიებელი გულით ნაგრძნობი და ღვთიური სულით შთაგონებული მშვენიერი პოეზია.

„არ გადაგვქართულდა!“

(მზია სალვარიძის პროზა)

„ღმერთია მოწმე, არც აქამდე წავხდენილვართ და
არც ამის იქითობას წავხდებით, მთავარია, ერთმანეთი
არ გადაგვქართულდეს!“

მზია სალვარიძე



ასე მთავრდება მზია სალვარიძის 2021 წელს დაბეჭდილი მოთხრობების კრებული „არ გადაგვქართულდა!“ (შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს). მისი მთავარი პათოსიც ამ სიტყვებშია გადმოცემული: ქართველი, რომელიც ქართულად არ მეტყველებს, ქართულად არ აზროვნებს, ქართულად არ უყვარს – ქართველი აღარ არის, ამიტომ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ მშობლიურ ენას, სადაც და როგორ პირობებშიც არ უნდა მოვხვდეთ, არ უნდა დავივიწყოთ, „არ უნდა გადაგვქართულდეს!“

დიახ, აქსიომაა: ენა ეროვნული იდენტობის უპირველესი მახასიათებელია. აქსიომაა ისიც, რომ დედა-მდინარის – სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი პატარა, ანკარა ნაკადულები – დიალექტებია. ეს კარგად იცის მზია სალვარიძემ და ამიტომაც ასე უფრთხილდება, თავს ევლება და ახალ სიცოცხლეს სძენს აჭარული დიალექტის თითოეულ ლექსიკურ ერთეულს; ამ სიტყვებით ქარგავსა და წნავს კოლორიტულ ამბებს ჩვენი კუთხის მცხოვრებთა ყოფიდან.

აბსოლუტურად ვეთანხმები ავტორს, რომ „დიალექტურ ნაწარმოებებზე მუშაობისას, უმნიშვნელოვანესია სალიტერატურო და სალაპარაკო ენებს შორის შუალედის მიგნება“ (3). ამ ოქროს შუალედს მიაგნო ვაჟა ფშაველამ, თუმცა აკაკისგან, რომელიც ილიასთან ერთად თავდაუზოგავად იბრძოდა ერთიანი სალიტერატურო ენის შექმნისათვის, შენიშვნა მაინც მიიღო:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..
მკითხველიც იმას მკისაო!“
(წერეთელი,1988:633)

საგულისხმოა გულნატკენი ვაჟას გენიალური პასუხი:

„გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა“.
(ვაჟა ფშაველა, 1957:102)

მართლაც, დიალექტების სიცოცხლე აუცილებელია, რათა ენას მუდმივად ჰქონდეს შინაგანი განახლება-გამდიდრების საშუალება. დიალექტების ზომიერად, ოსტატურად გამოყენება აუცილებელიცაა მხატვრულ ლიტერატურაში ამა თუ იმ კუთხის პერსონაჟთა სახეების დასახატავად, მათი მეტყველების თავისებურებების ნათელსაყოფად. ეს კარგად იცოდნენ ქართული მწერლობის კორიფეებმა. სწორედ ამის გამოა, რომ არასოდეს დაგვავიწყდება კლდიაშვილის მადლიანი კალმით დახატული იმერელი „აზნოურიშვილები“, მათი გადაპრანჭულ-კუდაბზიკური საუბარი, „აჩქარებულ-აცერცეტებული“ ტონი, მათ მიერ სიტყვის იმერულად მოქცევა, ან ნოდარ დუმბაძის მზიან-ღიმილიანი რომანების პერსონაჟების გურული დიალექტით დანთებული იუმორის ცეცხლი, არც დათა თუთაშხიას დარბაისლური, კოლხურად შეფერადებული ინტონაცია, ან გრაფი სეგედის დიდმოხელური დინჯი მეტყველება გამოეპარება ყურს. „დათა თუთაშხიაში“ 150-მდე პერსონაჟია და, გადაუჭარბებლად შეიძლება თქვას, რომ თითოეული მათგანის ენობრივი დახასიათება უნიკალურია: მკითხველი გრძნობს მათი ხმის განსაკუთრებულ მოდულაციას, სტილს. მასში ჩანს მათი სოციალური წარმოშობა, განათლება, ტემპერამენტი, მოკლედ, იმის დასტურად, რომ მეტყველების საშუალებით ხასიათის პერსონიფიცირება ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა მწერლის ხელში, შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა, მაგრამ კიდევ ერთ ნიმუშს მოვიხმობ და ამით დავასრულებ: ზურაბ გორგილაძის ცნობილ ლექსში – „უმღერებელი მუხამბაზი“ – არის ფრაზა:

„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ, ბღეზი ბეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები!“
(გორგილაძე, 2012:48)

ამ ორ სტრიქონში მხოლოდ ერთი სიტყვაა აჭარული დიალექტიდან გამოყენებული – „ბღეზი“ – და ის ზუსტად გვიჩვენებს, პირველი, იმას, რომ ლექსის ლირიკული გმირი აჭარის მკვიდრია (რადგან „ბღეზი“ სწორედ აჭარულში გამოიყენება ბრაზიანის, გაბრაზებულის მნიშვნელობით) და მეორე, ის სიტყვასთან – „ბოკვერი“ ერთად ქმნის განრისხებული, ბეწვაშლილი, საბრძოლველად მზადმყოფი ლომის ნაშიერის მხატვრულ-ემოციურ ხატს. ვფიქრობ, ესაა დიალექტური ფორმის ზომიერად, მიზანმიმართულად, დიდოსტატურად გამოყენების ბრწყინვალე ნიმუში. სწორედ ასეთი დიალექტური ფორმა ახდენს უდიდეს აზრობრივ, ემოციურ და ესთეტიკურ ზემოქმედებას მკითხველზე.

კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტოთ, რომ ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში დიალექტი გამოყენებულია პერსონაჟთა ენობრივი დახასიათებისთვის. მზია სალვარიძის კრებულში შესული პროზაული ტექსტების უმრავლესობა კი თავიდან ბოლომდე დაწერილია აჭარული დიალექტით. აქ ის აღარაა პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის შექმნის საშუალება, რადგან მწერლის მიერ არაა გამიჯნული ავტორისეული და პერსონაჟის მეტყველება.

კრებულმა „არ გადაგვქართულდა!“ დამარწმუნა, რომ ჩემი ნენიკულაის წასვლის შემდეგ ბევრი სიტყვა დამვიწყებია, ზოგიერთი მათგანი ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი აღმოჩნდა. ალბათ, გამართლებულია მსგავსი ტექსტების შექმნა ჩვენებურებისთვის (როგორც თავად აღნიშნავს, უპირველესად, სწორედ ამ მიზანს ისახავს მწერალიც). ქართველი მკითხველისთვის კი, მართალია, კონტექსტიდან გამომდინარე, ძირითადი აზრი გასაგებია, მაგრამ აუცილებელია ლექსიკური ერთეულების განმარტებების თანდართვა.

ზოგადად, აჭარული დიალექტით დაწერილი ნოველები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს: მზია სალვარიძეს ეხერხება ნოველისეული მოულოდნელი ფინალით მკითხველის გაოცება. ასეა პირველივე ნოველაში, რომლის სათაურმა განსაკუთრებით მიმიზიდა და კითხვასაც დიდი ენთუზიაზმითა და

მოლოდინებით სავსე შევუდექი, რადგან მეც მყავდა უტკბილესი და უსაყვარლესი, თან მჭევრმეტყველი, ფანტასტიკური თხრობის უნარითა და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ნენიკულაი. ნოველის კითხვისას შვილიშვილ დაუთთან ერთად ბოლომდე განვიცდიდი „ჭკვიდან არეკილი და გაფანტული“ ნენეის დაკარგვას.

მზია სალვარიძემ ოსტატურად შექმნა ინტრიგა, დაგვიხატა სასიყვარულო სამკუთხედი, საკმაოდ რთული ურთიერთობა დაუთის ბაბუასა და ნენეს შორის, ამიტომაც ნენეს უიღბლო სიყვარულის ისტორია გულგრილს არავის ტოვებს. შვილიშვილიც ამჩნევდა, რომ ყველასთან ენაწყლიანი და მარიფათიანი ნენე მხოლოდ ბაბუსთან იყო სიტყვაძუნწი, თავის მხრივ, ბრაზიანი და უხასიათო ბაბუც მხოლოდ ნენეს არ ეჩხუბებოდა. მკითხველის ყურადღებას ასევე იპყრობს ბაბუს მიერ თავისთვის ჩუმად ნათქვამიც: „ბოლოს მაინც გემეპარაო“ (7).

ამ ნოველას ორი ფინალი აქვს: ნენიკულამ სიკვდილის წინ, როგორც ჩანს, თავისი პირველი სიყვარულის ადგილებს მიაკითხა, იქ მიიცვალა, საკუთარი ხელით მოწნული ყვავილების გვირგვინით დამშვენებული, გულში მინდვრის ყვავილებმიხუტებული, ბედნიერი ღიმილით სახეზე. ის თავშალიც თავისი სიყრმის სიყვარულის სანიშნად მიაკოჭა მათი პაემნის ადგილის მახლობლად. ნენიკულამ, რომელმაც, ეტყობა, ბევრი ტკივილი და იმედგაცრუება იგემა ამ ცხოვრებაში, ბედნიერმა დატოვა ეს წუთისოფელი.

ვფიქრობ, ნოველის დამთავრება აქვე შეიძლებოდა და აჯობებდა კიდეც, მაგრამ მწერალი კიდევ ერთ ფინალურ სცენას გვთავაზობს: „ეზოსთან მოსულმა, უკანასკნელი ღონე მეიკრიბა და სხვებთან ერთად, მხრიდან ჩამეიღო კტარი. წელში გასწორდა და გამყინავი მზერა ესროლა დედეს. მთელი საუკუნის ნაგროვები ჯავრი დუუხვავა ფეხებთან და სიტყვა უთქმელი, ბერზე და გვარზე რამის დუუყვედრებელი, კინაღამ საუკუნის მერე ძლივაი სულჩაბრუნებული და გამარჯვებული გაბრუნდა უკან...“ (13). ბოლო წინადადებაში უხეშად მომხვდა სიტყვები: „ძლივაი სულჩაბრუნებული და გამარჯვებული“, რადგან თუკი ასეთი დიდი და დაუვიწყარი სიყვარული იყო ამ ორს შორის, საყვარელი ადამიანის წასვლის შემდეგ დედეს „სულჩაბრუნებული და გამარჯვებული“ არაფრით არ უნდა ეგრძნო თავი.

ძუნწი, ლაკონიური, მაგრამ ზუსტი შტრიხებით მშვენივრადაა გამოკვეთილი ნოველაში დაუთისა და უსუფ-აღას სახეები. შვილიშვილებს შორის დაუთი რომ გამორჩეულად უყვარდა ნენიკულას, გასაკვირი არცაა, ის მისი პირველი სიყვარულის სეხნია იყო, მის უბე-კალთაში გამოზრდილი, გულიანი, განათლებული, ალღოიანი: „რამე აღარ მიკითხავს ნენესთან მომყვანელისთვის. ჩემთათვინაი მივხტი ყველაფერს და გული მომეწურა“ (12).

„ნენიკულაში“ კარგადაა გადმოცემული ჩვენებურების ფესვების ტკივილიც, გავიხსენოთ დაუთის სიტყვები: „მაჭახელი ჩემი წილი გურჯისტანია, აჭარაა, და კიდევ ბათუმი, რომელსაც კარქ ამინდში, ქვაბითავის სერებზე ესული, ზეიდან ვუციცქირებ და ვესიყვარულები“ (6).

მზია სალვარიძე მაჭახლელია და ის ამაყობს იმით, რომ მისმა თანასოფლელმა ჩვენებურებმა შეინარჩუნეს ეროვნული იდენტობის უპირველესი ნიშანი – ენა და ტრადიციები. ისინი ყველა გზით იბრძოდნენ, რათა დამპყრობელს, ვინც იძულებით მოწყვიტა თავის ძმებს, არ შეეღწია მათ სულსა და გულში, ამიტომაც „დავჩით იმფერებად, რაფერებიც თავიდან ვიყავით“ (6). ბევრისმთქმელი დეტალია ისიც, როცა მოხუც ნენეს სიცოცხლის მიწურულს თურქული „გადაქართულდა“ და მის საუბარს ვეღარც ქალაქელი რძალი ხვდებოდა და ვერც მისი შვილები (ალბათ გაგვახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილის“ პერსონაჟი ანდრო კაიშაური, მას ხომ ფრანგული „გადაქართულდა“ და ვერც მას უგებდა ფრანგი რძალი).

მოზრდილ მოთხრობაში „სასელა“ ბაბუა უყვება შვილიშვილს – გულას – როგორ ცდილობდნენ თურქები გორაზე დადგმული საყდრის ქვებით დანგრევას, მაგრამ ქვებმა ისინი თავად მოიყოლია ქვეშ, სალოცავი კი გადარჩა. მას შემდეგ სოფლელები ქვების წინ მუხლს იყრიდნენ და „უბეში გადანახულ სანთლებს ანთებდნენ ძველებივით“ (35). მეორე ბაბუა, სოფლის ხოჯა კი გოგონას უხსნის, რატომ დაარქვა ხატო: სალოცავში კედელზე გამოხატული ხატივით ლამაზი თვალები გაქვს და იმიტომო (36). ასეთი, თხრობაში ალაგ-ალაგ გაფანტული მნიშვნელოვანი დეტალებით ავტორი გვიჩვენებს, რომ ჩვენებურები არასოდეს მოწყვეტიან ფესვებს და თავიანთ შთამომავლებსაც, შეძლებისდაგვარად, გადასცემდნენ წინაპრების ტრადიციებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას.

გულაც ახალი სახლის აშენებისას არ ანგრევს ძველ ბუხარს, რადგან ერთ-ერთ ქვაზე „ვენახის ფოთლებით მიმოხვევლი ჯვრის ჩუქურთმა აღმოაჩინა“ (43), კიდევ ერთხელ დარწმუნდა: „ბუხარში ჩვენი წინაპრების სული ტრიალებსო“ (43), მას დაეთანხმა სოფლის ხოჯა-ეფენდიც, რომელსაც არასოდეს დავიწყნია, ვინ იყვნენ მისი წინაპრები, ამიტომაც აფრთხილებდა ბავშვებს: „ზურგი ჯვარიგორისკენ არ მიაქციოთო“ (44). მისი ოჯახის წევრები ადრე მღვდლები იყვნენ, ხოჯასაც სათუთად აქვს შენახული მათი დანატოვარი ჯვრები და ხატები, თავად ამბობს: „ძალვან ძნელია იყო ხოჯა და გულით ჯვარს ატარებდე“ (46).

სამწუხაროდ, ჩვენებურების ახალმა თაობამ ნაკლებად იცის მშობლიური ენა, რაც დრო გადის, ურბანიზაცია და გლობალიზაცია თავის დაღს ასვამს მათ ყოფა-ცხოვრებას, ისინი სხვადასხვა ადგილებში იფანტებიან და ვეღარ ახერხებენ მშობლიური ენისა და ტრადიციების შენარჩუნებას.

მოთხრობაში „სასელა“ შესანიშნავადაა გამოკვეთილი მდიდარი და პატივსაცემი რეჯებაღას ოჯახის შვილიშვილის – გულას სახე. 12 წლის ონავარი, „სულუხსარი და ძგვეფაი“ (20) ბიჭი, რომელიც თავისი მოუსვენარი ხასიათითაა ცნობილი, მკითხველის თვალწინ ფიზიკურადაც იზრდება – „ხაშარივით იყრის“ ტანს (37) და პიროვნულადაც.

გულა განსაკუთრებით სოფლის ხოჯას და მის ბადიშს ემტერება, ახტაჯანა გოგოს, რომლის „ბრექვა და ავენვანობა“ (31) არასოდეს დავიწყნია, თუმცა, როცა ხოჯის ქალაქელ შვილიშვილს, ხატოს თოვლში ჩაჩუმქრულს, გაყინულსა და ფეხში დაჭრილს ნახავს, ყველაფერს აკეთებს მის გადასარჩენად. მოსაწონია, რომ მწერალი პერსონაჟის კონკრეტული ქმედებებით გვიჩვენებს, როგორი კეთილშობილი, მაღალზნეობრივი, გულიანი, გონიერი, დაფიქრებული და უშიშარი ახალგაზრდა იზრდება გულა.

ხუთი წელი გავიდა ამ ამბიდან, გულამ გიმნაზია დაამთავრა, განათლებულ კაცად დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, აქაც ქალაქიდან წამოღებული წიგნების კითხვაში ატარებს დროს; ის ზრდილი, უფროსების პატივისმცემელი მშრომელი ჭაბუკია. სოფელშიც სასურველი სასიძოა, თუმცა ხოჯის ბადიშის სიყვარულ-სიძულვილს ვერსად გაქცევია. გულასა და ხატოს ერთი ნახვით შეყვარების, როგორც რუსთაველი იტყოდა, „თვალხმის“ ისტორიას დიდი ტაქტით და ფაქიზად გვიყვება ავტორი: გვაგრძნობინებს, რომ გულა პირველი სიყვარულის ჟრუანტელმა ისე შეიპყრო, თავადაც ვერ მიხვდა, რა დაემართა: „იმფერი ლამაზი სახე-პირი მუუჩანდა კვარიშუქზე, რომ ტირილი მუუნდა გულას... უცბათაი სახეზე მუუცაცუნა ხელი და ხორშაკმა დუუარა ნამსხვანში“ (36). ის ვერ გარკვეულა თავის გრძნობებში, მორიდებული ყმაწვილი საკუთარ თავსაც ვერ გამოტყდომია ამ სიყვარულში, ვერ ხვდება, „ასე ადვილად რაფერ გამოყავდა ამ ციცას წყობიდან“ (58), არადა, კარგა ხანს უძალიანდებოდა გრძნობას, მაგრამ ქალაქელმა გოგონამ აჯობა ეშმაკობით: „ყოველი წუთი, რომელიც ხატოსთან უნდა გეეტარებია, დიდი ტკივილით და სიხარულით იყო სავსე“ (61). მწერალი ქვეტექსტებით, მცირე ნიუანსების აქცენტირებით გვაგრძნობინებს, რა ქარიშხალი ტრიალებს ახალგაზრდების სულში, როგორ ებრძვის გულას გულში ერთმანეთს სიამაყე და სიყვარული.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გულასა და ხატოს ურთიერთობის ყველა ეპიზოდი გამოირჩევა ღრმა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, ყოველგვარი ვულგარიზმის გარეშეა გამოხატული და გულგრილს არ ტოვებს მკითხველს შეყვარებული ქალ-ვაჟის ლტოლვა ერთმანეთისადმი: „მარტო აჩხერებული სისხლი და ქარიშხალივით აფორიაქებული სული დარჩენილიყო“ (64). ეს დღეს განსაკუთრებით დასაფასებელია და მწერლის ოსტატობაზეც მიგვითითებს.

მოთხრობაში კარგადაა დახატული ქალ-ვაჟის გულშემატკივარი უფროსების: ცხოვრებისეული სიბრძნითა და გამოცდილებით, წარსულის ტრადიციების, წინაპრებისადმი პატივისცემით სავსე და, რაც მთავარია, შვილიშვილების უზომოდ მოყვარული რეჯებაღასა და ხოჯა ეფენდის სახეები: რომ არა მათი თანადგომა, ხელშეწყობა ღვთისგან დალოცვილი წყვილის შესაერთებლად, ასეთი ბედნიერი და მშვენიერი დასასრული ვერ ექნებოდა სიყვარულის ამ ისტორიას, მკითხველიც ვერ აივსებოდა მომავლის რწმენით: გულამ „მადლიერი მზერა გააპარა ჯვარიგორისკენ, სადაც გორხულო ქვიებით გარშემორტყმული საყდარი წიწილებით კალთაამოვსებულ კრუხივით იდგა და მზრუნველ თვალს არ აშორებდა დუუთლელი დარდითა და სიხარულით ქვეყანაზე მიმობნევლ შვილებს...“ (65).

ნაწარმოების ასე თუ ისე ინტერპრეტაციის ერთ-ერთი უტყუარი გასაღები მისი სათაურია, ამიტომ, ჩემი აზრით, აჯობებდა ავტორს ამ მოთხრობისათვის მისი მთავარი მოქმედი პირის სახელი ეწოდებინა. „სასელა“ – ცოტა სხვა კუთხით – საკმაოდ საინტერესო, თუმცა პიკანტური ტრადიციისკენ – მიმართავს და ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. გულა კი, მართლაც, გამორჩეული, მხატვრულად კარგად დამუშავებულ-გამოკვეთილი სახე-ხასიათია, მისი წმინდა პირველი სიყვარულის მომხიბვლელობასა და განუმეორებლობას, მასთან დაკავშირებულ იდუმალ შიშს, გულუბრყვილო ცახცახსა და ფორიაქსაც ბრწყინვალედ ხატავს მწერალი. ესაა უმთავრესი და ყველაზე ღირებულიც ამ მოთხრობაში, ამიტომ მისი დედააზრის გამომხატველი ცენტრალური პერსონაჟიც გულაა: ამ ნაწარმოებით ხომ მწერალი კიდევ ერთხელ მაღალმხატვრულად ახსენებს მკითხველს მარადიულ ჭეშმარიტებას: ღმერთი – სიყვარულია.

მოულოდნელი და ეფექტური ფინალი აქვს ნოველას „დევისყელი“. ზოგადად, მზია სალვარიძის ნოველათა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია რეალობისა და ფანტასტიკის ურთიერთშეჭრა, გადაჯაჭვა და ეს დამატებით ინტრიგას სძენს მოთხრობილ ამბავს. დევებისა და მზეთუნახავების შესახებ ლეგენდები, ყვავილების დაკრეფისა და სუროში ჩაწვნის, გვირგვინების გაკეთების, დევისყელის ხიდზე გადმოფენისა და ვაჟების მიერ თვალნაჭირავისთვის ამ ყვავილწნულთა მირთმევის უძველესი ჩვეულებები განსაკუთრებულ კოლორიტს ჰმატებს თხრობას. აჭარული კულტურის ნატეხებია ის შაირები, რომლებიც ტექსტშია ჩართული. პატარა გოგოს ნასიზმრებ-ნაოცნებარი კი ფაქიზად და დიდი ტაქტითაა გადმოცემული.

ამ მოთხრობებში ყურადღებას იპყრობს ორიგინალური და უაღრესად კოლორიტული ტროპები: შედარებები – „ყურძნის ლერწებივით დასხრიკულები ებღაუჭებიან მიწას და ცოცხალი თავით არ იძვრიან ადგილისდედიდან“ (5); „ბუჯაღში მიმწყდეული თაგვივით ვეხეთქები ლინგებს“ (6); „ხაშარივით აყრილი ბაღანა“ (37); „ციციელდაცემულივით იდგა“ (39) და სხვა.

ეპითეტები: „ხელგამუუსლელი და ტვინაფუნგული“ (7); „თროშო წვიმა“ (7); „განიავქარებული ახალობა“ (14); „გულში აბურხალებული ქარი“ (35) და ა. შ.

მეტაფორები: „ძველი სახლის დედაბოძებს ბალანი ავუბურძგლოთ“ (126); „ერთმანეთი არ გადაგვქართულდეს!“ (139) და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხრობების კითხვისას იმდენად მივეჩვიე და შევიტკბე მშობლიური აჭარულით დაწერილი ტექსტები, რომ შემდეგი ნოველის სათაურიცა და მწერლის ენაც სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის – „გეიშა“. ამ ნოველამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ სიყვა-

რული ყველასთვის ძვირფასი გრძნობაა, ოღონდ ყველა ხალხს თავისი ტრადიციის, ტემპერამენტის მიხედვით უყვარს. უფრო მეტი, რამდენი ადამიანიცაა, იმდენნაირი განცდაა სიყვარულისა: ზოგიერთი მთელ თავის „მომავალს ამ ერთი სიყვარულისთვის“ (68) გეგმავს, ზოგიერთი სიყვარულის სახელით კლავს, ზოგიც – მარტოობისთვის სწირავს თავს. ეს ნოველა სალიტერატურო ქართული ენითაა შესრულებული. მისგან სრულიად განსხვავებული ენითა და სტილითაა დაწერილი მოთხრობა „სისხლის ყივილი“. მასში გვხვდება პოეტური პროზის ნიმუშები, თხრობა ძველი ქართული ენითაა სტილიზებული. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მზია სალვარიძის პროზაული ტექსტების კრებული შედგება აბსოლუტურად განსხვავებული ენისა და სტილის ნაწარმოებებისაგან. ასეთი ენობრივ-სტილური ეკლექტიზმი უცხო არაა პოსტმოდერნისტული ტექსტებისთვის, მაგრამ, „სისხლის ყივილში“ სტილიზების მიზანი ჩემთვის გაუგებარი დარჩა.

ვფიქრობ, აჯობებდა ისევ დიალექტით დაწერილი ტექსტებით შეედგინა ეს კრებული მზია სალვარიძეს, ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას, ემოციურ და ესთეტიკურ ზემოქმედებას ისინი ახდენენ. მათში ყველაზე მეტად ჩანს მწერლის ძლიერი შინაგანი ენერგეტიკა, მსუბუქი იუმორი, სიტყვის გრძნობა.

სწორედ ასეთი, აჭარული დიალექტით შესრულებული ტექსტი-მიმართვით მთავრდება კრებული: „არ გადაგვქართულდა!“ გულწრფელი, მზიანი, ღიმილიანი და იმედიანია დასასრული, რადგან მწერალს სჯერა ქართული გენისა და სისხლის უკვდავებისა – ეს კი ყველაზე ღირებული რწმენაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გორგილაძე ზურაბ, „უმღერებელი მუხამბაზი“, იხ. ერთტომეული, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2012.

2. ვაჟა-ფშაველა, „დაგვიანებული პასუხი აკაკის“, იხ. რჩეული, გამომცემლობა „საბლიტგამი“, თბილისი, 1957.

3. სალვარიძე მზია, „არ გადაგვქართულდა!“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2021.

4. წერეთელი აკაკი, „ვაჟა-ფშაველას“, იხ. რჩეული ნაწარმოებები, 5 ტომად, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988.

ნინო
დარგაისელი

პოეტური დემენცია

დემენცია – ვიცით, რაც არის.

პოეზია და პოეტურობაც – ასე თუ ისე, გასაგებია.

პოეზია რომ დემენციას ვერ უმკურნალებს, მაგრამ პროცესის შენელება რომ შეუძლია, როგორც არტთერაპიის სხვა საშუალებებს, ამის თაობაზე გუგლში ბევრი წერია!... ესეც არ იყოს, პირველი, რასაც ადამიანს მეხსიერების დაქვეითებისას ურჩევენ შინაურები თუ გარეულები, პატარ-პატარა ლექსების დასწავლა სცადე ყოველდღიურად, მეხსიერება მუდმივად ავარჯიშეო.

აბა, რა პოეტური დემენციაო, იკითხავთ ალბათ, ასეთი რამ არ არსებობსო!

და მართალიც იქნებით.

ცოტა... რაღა ცოტა, კარგა შორიდან დავიწყებ:

ბავშვობა ნუცუბიძეზე კერძო სახლში გავატარე, მხატვრების უბანში. ას ოცდამეექვსე სკოლამდე რომ მივსულიყავი, ყოველ დილა, მხატვრების ლამაზ-ლამაზი სახლებისთვის უნდა ჩამევლო. ის ხომ მოყოლილი მაქვს, რომ მეგონა, რომ არც ერთი ამ სახლებიდან ჩვენსას არ სჯობდა, რაც, რა თქმა უნდა, ჩემი გულუბრყვილო, ბავშვური აზრი იყო.

მხატვრების ნაწილს რამე, მცირე თუ დიდი რომ დასჭირდებოდა მშენებლობისას, ბუნებრივია, ჩვენთან მოდიოდა, როგორც უბნის ძველ მაცხოვრებლებთან, მოგვიკითხავდა ბავშვებს, ვესალმებოდით შეხვედრისას, უბანში მცხოვრებ ბევრ მხატვარს კი შინაურულად, მეტიც, მუშურად ჩაცმულს, ანუ ჩაუცმელს – შორიდან ვიცნობდი და ჩემი წარმოსახვები მქონდა, თუ როგორი ნამუშევრები ექნებოდა შინ, საოჯახო გალერეაში.

მე უფროსების ლაპარაკის მოსმენა და დამახსოვრება მიყვარდა.

მახსოვს, ერთხელ სუფრაზე შემოსწრებულმა ერთმა მხატვარმა თქვა, საქართველოში მხატვრის ბედი ასეთია: კაცი ან სულ გაჭირვებულია, უსახლკარო, არც სახელოსნო აქვს, მაგრამ ხატავს და ხატავს, იმ იმედით, რომ სიკვდილის მერე მაინც დაუფასდება ან არადა, დგას და სახლ-სახელოსნოს იშენებს, იშენებს და ემზადება, რომ ბოლოს დაჯდება და დახატავს, ამასობაში კი ცხოვრებაც გადის, კვდება და ყველაფერი ოხრად რჩება. კარგია, შვილი მაინც თუ დგას მხატვრობის გზაზე და სახლს სახელოსნოდ გამოიყენებს, არადა ხელად გაყიდის ამდენ ნაწვალებ სახლს ცოლ-შვილი, კორპუსებში გადავა და დარჩენილ ფულს – ფულად მოიხმარსო.

მორჩა ბავშვობის სევდიანი მოგონებები, ვბრუნდები დემენციისკენ:

მოხდა ისე, რომ უკვე კარგა დაქალებული და გადაქალებულიც სტუმრად მოვხვდი იმ მხატვრის სახელოსნოში, ყველაზე ლამაზი და დიდი სახლი რომ ედგა უბანში.

ეს ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ყოველ დილას „ჩაუცმელს“, შორიდან რომ ვხედავდით ბავშვები. მის შესახებ ლეგენდები მსმენოდა, ორმოცდაათიანი-სამოციანების თაობაში ყველაზე მეტად ნაქები, ლეგენდად ქცეული ვინმე იყო. სხვადასხვა თაობის მხატვრები ისეთი კრძალვით ახსენებდნენ მის სახელს, ჟრჟოლა აგიტანდა. არც არაფერს ფენდა, რომ მენახა. მგონი, პრინციპულად ჰქონდა უარი ნათქვამი ყოველგვარ გამოფენაში მონაწილეობაზე თუ რაღაც ასეთი.

სახლის შენება როგორც იქნა, დაემთავრებინა და ახლა მხატვრობას შედგომოდა. როგორც დიდ საიდუმლოსთან, მიგვიყვანა ახალ ტილოსთან, ვუყურებ, ვუყურებ და... რა ვიცი, მხატვრობა არ არის ჩემი სფერო, თავს უფლებას ვაძლევ, ის მომწონდეს, რაც მსიამოვნებს, ასეთი კი მეოცე საუკუნის დასაწყისს ოდნავ სცდება. მოკლედ, მუსიკისა არ იყოს, ჩარჩენილი ვარ ძველებში, აბა, სად შემიძლია ახალი აბსტრაქციებისთვის ალღოს აღება!

ნამუშევარი აბსტრაქტული იყო, ორივე ხელის ცერებისა და საჩვენებელი თითების შეერთებით, რაღაც კვადრატივით თუ უფრო რომბივით ჩარჩო გამოსდიოდა, ადებდა ტილოს ცალკეულ უბნებზე და თვით აღტაცებული შემოგვძახებდა: „ეს ნახეთ, როგორია! არა, ამას დაუკვირდით! აქ უყურეთ, რა მხეცური გამომივიდა! შედევრია, შედევრი!“

რას მაგონებდა ის ტილო?! ბავშვობაში ერთი ქვედაბოლო მერგო მემკვიდრეობით ჩემი დისაგან, რომელსაც თავისი მხრით, ბიძაშვილისგან ერგუნა. კლოში იყო, ჭრელი, აი, სხვადასხვანაირი წვრილი ფერად-ფერადი ძაფები ერთმანეთში რომ თან აიხვლანჯება, მაგრამ თან რაღაც დინებაშიც რომ ერთდებიან... მკერავები უფრო მიხვდებიან ადვილად, ძაფიან კოჭებს ერთ ყუთში ან ტომარაში თავჩაუმაგრებლად რომ ჩაყრი და ნჯღრევაში ერთმანეთში რომ აირევა და თუ არ გაწყვიტე, სასურველ ძაფს ვერ გამოაძრობ, რაღაც ისეთი იყო.

– აი, არტისტული დემენცია! – გავიფიქრე მაშინ, გარეგნულად აღტაცებული ღიმილით სხივმომფინარემ...

ახლა მხატვრობიდან პოეზიაზე გადმოვიდეთ.

მიმოიხედეთ, რამდენი ცნობილი პოეტია ჩვენს ირგვლივ, შემოქმედებითი აღმოჩენებით რომ იყო ცნობილი, დაბერდა და პრიმიტიულობაზე გადავიდა...

არაფერი ეიჯისტური!

აქ ასაკობრივს კი არა, შემოქმედებით დაბერებას ვგულისხმობ, თორემ ცოტა როდი ვიცი ასაკით უფროსი ავტორი, ახალგაზრდებზე ახალგაზრდა რომაა.

აქვე დაუყოვნებლივი თხოვნა მაქვს, მეც იმათ მიმათვალეთ, თორემ ვინმეს ეგონება კონკრეტული პიროვნება მყავს ნაგულისხმევი.

ხდება ხოლმე, ვკითხულობ, ვკითხულობ მათ ახალ ნაწერებს და ვფიქრობ, ახლა რომ წერს, ასე რომ დაეწყო წერა და მთელი ცხოვრება თავი გადაედო, იმ დონემდე რაიმე სასწაულით თუ მიაღწევდა, რომლითაც დაიწყო და ცნობილიც გახდა-მეთქი.

პრიმიტივიზმს თავისთავად არაფერს ვერჩი და ოსტატის ხელში ნაყოფიერიც არის. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ ხელოვანისგან „უმაღლესი პილოტაჟიც“ კი შეიძლება მოითხოვოს. მე მინდა ერთმანეთისგან განვასხვაოთ „პრიმიტივიზმი“, როგორც პრინციპული ესთეტიკური მოვლენა, რომელსაც ხელოვნების სხვადასხვა დარგში გამოვლენის შესაბამისი სპეციფიკა აქვს და გაპრიმიტიულება, როგორც პოეტური დემენციის ნიშანი...

და აქ მახსენდება ერთი თეორია ნერვიული ცენტრების ფუნქციონირების შესახებ. რომლის თანახმადაც, შეიძლება გვეთქვა, რომ მუდმივად დომინანტურ მდგომარეობაში მყოფმა ნაწილმა ტვინისა, რომელსაც დასასვენებლად, მოსადუნებლად რეცესიული ფაზები არა და არ ეძლეოდა, სა-

ბოლოოდ ატროფია განიცადა. ინერციის წყალობით ისევ მოქმედად გამოიყურება, რეალურად კი... არაპროდუქტიულიაო, ვერ ვიტყოდით, უბრალოდ, საბოლოო პროდუქტის დონე დიდად ჩამოუვარდება უწინდელს... ავტორის თვითდაჯერებულობა, რომელიც აქტიური შემოქმედების პერიოდში უფრო დაბალი იყო, ახლა მზარდი და მზარდია!

შემოქმედებითი თვითკონტროლის დაკარგვა შინაგანი ცენზორისგან გათავისუფლება ჰგონია.

მკითხველიც ძველ ინერციას მიჰყვება.

ნეტა კომპოზიტორებსაც თუ ემართებათ, რაიმე, ამისმაგვარი?...

ესეც პოეტური დემენციის შესახებ.

ანუ რა მჭირს მე და რას არ ვუსურვებ კოლეგებს კიდევ ასი წელიწადი.

„დარი არ დარობს დარულად“

(მონახაზი დარიანული დღიურების ქართულ წყაროთა შესახებ)

ცისფერყანწელების მიზანი იყო ქართული ლექსი ევროპული რადიუსით გაემართათ. ცხადია, ამას ესწრაფოდა მათი თავკაცი – პაოლო იაშვილი.

„რომ ჩემი კოცნა, სიყვარული, ხმაც ქართულია,

ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი სიგიჟე რომ მსურსო“

– ციკლის ერთ-ერთ პირველ ლექსში „უვერტიურა“, თითქოს სრულიად შეუფერებელ ადგილას, ეროტიკულ კონტექსტში... უცებ პატრიოტული მოტივი (!!) შემოაქვს მის ლიტერატურულ მისტიფიკაციას – ელენე დარიანს.

გავიხსენოთ, როგორ „ზის“ ეს მოულოდნელი განაცხადი მცირე ზომის ლექსის შიდა კონტექსტში:

პაოლო იაშვილი

უვერტიურა

ისე მოვედი, რომ არავინ არ მომელოდა,
მივეცი კოცნა მებაღეს და... გაიღო კარი,
მარტო ვიყავი!... ჩემს გარშემო ლურჯად ბნელოდა,
მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ტანზე ქამარი!...
გავყვეთ სიმღერებს! ჩემი ვნება ალდართულია
და ის მახარებს, მამაისებს ბაღში შემოსულს,
რომ ჩემი კოცნა, სიყვარული, ხმაც ქართულია,
ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი სიგიჟე რომ მსურს
ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორც ოცნება,
ჩემი წუხილი, სიხარულიც ტრფობის ბრალია,
ჩემს სხეულს მეფობს ხან სინაზე, ხან საოცრება,
დედოფლობს გული! ის ყოველთვის მომღერალია.

ეს, სხვათა შორის, ტექსტში მნიშვნელოვანი სათქმელის აქცენტირების რიტორიკული ხერხია.

მე ვფიქრობ, რომ „დარიანული დღიურების ყველაზე ქართული ძირები – „ვეფხისტყაოსანშია“. თუმცა ეს უჩემოდაც შენიშნულია და სხვადასხვაგვარად გამოთქმულიც (გ. ასათიანი, მ. ჯალიაშვილი და სხვ.).

...ვიდრე მკითხველი შემნიშნავდეს, ვიტყვი: დიახ, მახსოვს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მამამ იმთავითვე გაამეფა თინათინი, ანუ იგი მეფეა, მაგრამ ცოლქმრობაში იგი – დედოფალია, ანუ ქალის პოზიცია აქვს „ვით დედოფალს, ვით მონას და ცოლს“.

ავთანდილი – მისი შერთვით ხდება არა სრულუფლებოვანი მეფე, არამედ მეფე-კონსორტი, როგორც მაგალითად, დავით სოსლანი.

მე – ასეთი არგუმენტები მაქვს:

– ვინ არის „ვეფხისტყაოსნის“ სამეფო მიჯნურ წყვილთა შორის ის ქალი პერსონაჟი, რომელსაც ეროტიკულ ამბებს უკავშირებენ?

– თინათინი (გავიხსენოთ ამის თაობაზე ნ. ნათაძის წერილიც, რომელიც აგორაზე გვედო).

– ვინ არის ელენე დარიანივით სულ ლოდინის რეჟიმში?

– თინათინი.

– იგი – დედოფალია, მისი ქმარი – ავთანდილი კი „თავადი“.

რატომ უნდა მივიჩნიოთ ორივეგან – „ვეფხისტყაოსანშიც“ და შესაბამისად დარიანულ ნარატივშიც ქმარი – თავადად („თავადი დარიანი“), ყოველთვის, გარდა სასიყვარულო თავგადასავლის „აკმესი“ – იმ მომენტისა, როცა იგი მეფე/ნეფეა?

გავიხსენოთ ტრიოლეტების ეს თაიგული:

მეფის ქორწილი

ტრიოლეტები

1
ქორწილი ხარობს და სხივოსნობს მეფე ძვირფასი,
ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო;
მეფემ დედოფალს მიაწოდა მეფური თასი.
ქორწილი ხარობს და სხივოსნობს მეფე ძვირფასი.
ტახტის გარშემო ქალწულების გრძნეული დასი
უმღერის მეფეს: – „მოგვილოცავს დღე სამაისო“,
ქორწილი ხარობს და სხივოსნობს მეფე ძვირფასი,
ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო.

2
ანათებს დარბაზს ვეზირების ტანსაცმელები,
ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი,
ვერცხლის სურებში სჩქეხს ღვინო და სხვა სასმელები.
ანათებს დარბაზს ვეზირების ტანსაცმელები...
...და დაღალულან დედოფლის თეთრი ხელები,
დედოფლის სახე ფერმკრთალია, ვით ნისლში გედი.
ანათებს დარბაზს ვეზირების ტანსაცმელები,
ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი.

3
მოსწყინდა მეფეს აწ ნადიმი და სილამაზე,
სამეფო გზაზე ცისფერ ვარდებს შლიან მონები.
დილის სხივებმა გაიხარეს მტერდისფერ ცაზე...
მოსწყინდა მეფეს ეს ნადიმი და სილამაზე,
ამშვენებს რიჟრაჟს დედოფალის თეთრი სინაზე,
და მეფე მიდის, როგორც ძველი ფარაონები.
მოსწყინდა მეფეს ეს ნადიმი და სილამაზე,
სამეფო გზაზე ცისფერ ვარდებს შლიან მონები.

4
სეფედარბაზში მზის სხივების ცეცხლი ანთია;
აღარ არიან მონები და ტახტის ქალები.
ფერმკრთალ დედოფალს მეფემ მოხსნა ფარჩის მანტია...
სეფედარბაზში მზის სხივების ცეცხლი ანთია,
მეფის თვალები ორი შავი ბრილიანტია,
ვნებით დედოფალს უღამდება ბნელი თვალები.
სეფედარბაზში მზის სხივების ცეცხლი ანთია,
აღარ არიან მონები და ტახტის ქალები.

– ავთანდილი, თინათინისგან, ტარიელისა და ნესტანისგან იმით განსხვავდება, რომ იგი სამეფო წარმომავლობისა არ არის, თუმცა არაბეთის მეფის, როსტევანის კარზე მისი ოჯახი დიდად დაწინაურებულია, წარჩინებულია, ქართული სამეფო კარის იერარქიული მოდელის მიხედვით – თავადი.

რატომ არის ერთ პატარა ლექსში, „პირამიდებში“ სამჯერ ნახსენები (!!!) ცხენი, ხოლო დასაწყისშივე ხაზზგასმულია, რომ ეს ცხენი – არაბულია? (შემდგომ ორჯერ – რაშად – ჯადოსნურ ცხენად მოიხსენიება).

იმიტომ ხომ არა, რომ ავთანდილი – სწორედ არაბეთიდანაა?

პირამიდებში

იქ, სადაც სდუმან პირამიდები
მზის ქორწილის დროს მე დავწვები მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც სდუმან პირამიდები
შენ მომინდები,
შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე.
შენ მოგაფრენს ცხენი არაბული,
თვალებ დანაბული,
საყვარელ ხელებს მივეცემი როგორც ნაზ საწოლს
და შენ დამკოცნი ვით დედოფალს, ვით მონას და ცოლს.
ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩვენი თამაში

მზიურებს მაშინ
არაფერი მოგვაგონდება...
პირამიდებში ატირდება ლოდინით რაში
ლურჯ სფინქსთან მივა, დიდხანს უცქერს და დაღონდება.
სილიან ტანით მდინარისკენ გავეშურებით
მწვანე ტალღებში დავამშვიდებთ ჩვენს ვნებას ალურს;
გამოფხიზლდება შენი რაში სფინქსის ყურებით,
დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვარულს.

ჩემი აზრით, ელენე დარიანის ამბავი – ანუ ნარატივი, როგორც ახლა მოდაშია თქმა – ეს არის პასუხი კითხვაზე, თუ „რა ხდება დიდი ამბის, ზღაპრის მერე? – იმის მერე, როცა გმირები საწადელს ეწევიან, როგორ გრძელდება ოჯახური ცხოვრება შეყვარებული წყვილისა ქორწილის მერე?

ელენე – სახელი სონორული, მღერადი სიტყვაა და რამდენიმე დინებას აერთიანებს.

მერე რა, რომ რეალობაში ეს სახელი პაოლოს ერთ-ერთ ქალსაც ერქვა. იმ დროს ხომ ძალიან გავრცელებული იყო.

რაც შეეხება დარიანს, გავიხსენოთ,

რას ეუბნება როსტევანს ვეზირი, როცა ამცნობს ტარიელის საშველად ავთანდილის გაპარვის ამბავს:

მზე აღარ მზეობს ჩვენთანა,
დარი არ დარობს დარულად.

ავთანდილის დაბრუნება – გამოდარებაა, დარის დარობა, დარიანი დღის დადგომა და ასე შემდეგ.

ვფიქრობ, პაოლოს ლიტერატურული მისტიფიკაციის პოეტურ-ალქიმიურ შენადნობში ასე მონაწილეობს ქართული მხარე.

რუსული – ბრიუსოვია, ამაზე ადრე ვისაუბრეთ, ჩემამდე – ლევან ბრეგაძეს წერილიც აქვს, დანარჩენ ევროპულ წყაროთა შესახებ – დევს ფეისბუქზე ჩემი თეზისები.

#ქართული_პოეზიის_საგანძურიდან

* * *

პაოლო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაცია – ელენე დარიანი, თუმცა დედოფლად იხსენიება, მხატვრულ თუ ვირტუალურ რეალობაში ერთი საწყალი, დღენიადაგ მოღალატე თავადი ქმრის მომლოდინე არსებაა, – მიტოვებული, მაგრამ არც ბოლომდე მიტოვებული, ცხოვრებაზე იმედგაცრუებული და მაინც მეოცნებე...

პოეტური ჩანაფიქრის მიხედვით, მთელი მისი სითამამე თუ სიმამაცე ალბათ იმაში გამოიხატება, რომ დღიურს დაუფარავად „უამბობს“ თავისი უბედო სიყვარულის ამბავს. დღიურის მეშვეობით გულახდილობს თავის თავად ქმართან, რომელსაც ეს ამბები ან აინტერესებს, ან არა...

ცხადია, ელენე დარიანის არსება დინამიურ სახედ არის ჩაფიქრებული, აქვს თავისი აღმართ-დაღმართები, თუმცა მისი მხატვრული ყოფა – ძირითადად დაბლა მოემართება. აქ მინდა, მკითხველ-

მა გაითვალისწინოს მისტიფიკაციის, ნიღბის ქმნადობის ერთი მომენტი: როდესაც ავტორის მიერ, პერსონა ძირითად ხაზებში, პარამეტრებში ჩასმულია, ასე ვთქვათ, უკვე „არსებობს“, არაა საჭირო, მისი ამბის გადმოცემა რეალური ყოფის ქრონოლოგიას მისდევდეს (მაგალითად, დაბადება-ჩვილობა-ბავშვობა-ყრმობა- მოწიფულობა და ასე შემდეგ).

ავტორის ნებაა, ვირტუალური რეალობის ქრონოლოგიიდან თავისთვის სასურველ მომენტს მაშინ შეეხოს, როცა მოესურვება (დარიანული ამბები მისი პარიზში გამგზავრებით მთავრდება).

ეს რომ ასე არ იყოს, ქრონოლოგიურად პირველი ლექსები „უვერტიურა“ (შესავალი) და „მეფის ქორწილი“ გვექნებოდა, ანუ ციკლს ექნებოდა გამოკვეთილი, კონცეპტუალური დასაწყისი და დასასრული, მაშინდელ ავტორთა მისტიფიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილის დარად.

შეიძლება თუ არა, საერთოდ, „დარიანული დღიურების“ ჩარჩო-ნარატივზე მსჯელობა?

ვფიქრობ, შეიძლება, ოღონდ ფრთხილად და არაკატეგორიულად...

აქ ვწყვეტ მსჯელობას და გტოვებთ პირისპირ ამ უმშვენიერეს ლექსთან:

პაოლო იაშვილი

ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად

ამაღამ მგონი იქნება ქარი...
ვაი დედოფალ ტყემლების ბრალი.
დაღონებული წავიდა ქმარი
და დაბრუნდება დილაზე მთვრალი.

დიდი ხანია ამ ბუხრის ალში...
ტკივილით იწვის ჩემი ოცნება...
ქმარმა გასცვალა მომღერალ ქალში
ჩემი ცოდვილი პატიოსნება.

ალბათ მოჰყვება მას სავარცხელი
უფრო უბედურ ჩემი მეტოქის,
მეტყვის ბრძანებით: – მომეცი წყალი
ჩემი ფერადი, სპარსული დოქის!

ცოლი ვარ მე მისთვის სასახელო
(მე ის მკოცნიდა სხივიან დღეში)
ღვინით გასვრილი მისი საყელო.
გადავარდება მყუდრო კუთხეში.

ქმრის სითამამე ჩემი ბრალია,
არ ვწუხვარ ბევრჯერ რომ მოვეხათრე.
რადგან ძვირფასი მეტად მთვრალია,
დაეძინება მას ჩემზე ადრე.

ვინ არის ადრესაჯი იოსებ გრიშაშვილის ლექსისა – ქალს ულვაშებით, კეპით და ჯოხით

ამ ერთი კვირის წინ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა პაატა ნაცვლიშვილის „ლიბროკუბისტური ჩანაწერები“, რომელიც პაოლო იაშვილის ლიტერატურულ მისტიფიკაციას შეეხებოდა.

ამ ჩანაწერში ჩამოყალიბებული კონცეფცია ძალზე საყურადღებოა და კიდევ ერთ მყარ დასაყრდენს ქმნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული აზრისათვის, რომელსაც მე სავსებით ვემხრობი და რომელიც მოკლედ ასე გამოითქმის:

ავტორი „დარიანული დღიურებისა“ არის პაოლო იაშვილი.

პაატა ნაცვლიშვილი ჩანაწერში იხსენებს ერთ ისტორიასაც.

თამარ ბარბაქაძეს აღმოუჩენია და 2017 წელს ლექსმცოდნეობითი ასპექტით გაუშუქებია გრიშაშვილის ლექსი, რომლის სათაურიც ზემოთ უკვე დასახელებული გვაქვს. ამ მოხსენების განხილვისას პაატა ნაცვლიშვილს გამოუთქვამს აზრი, რომ ლექსის ადრესატია ელენე ბაქრაძე (ელენე დარიანი) და პაოლო იაშვილს ეხება... რაკი ზეპირად ვწერ, მეპატიოს ეს თავისუფლება! პაატა ნაცვლიშვილის აზრით, ლექსში ლაპარაკია პაოლო იაშვილად – (კაცად) გადაცმულ ქალზე, ანუ პირზე, რომელიც პაოლო იაშვილის ქმნილებათა ავტორობას ითვისებდა...

ვნახოთ ლექსი:

მე რომ მიწოდონ ფადიშახი, დიდი თამაზი,
ძველ მინარეთში, სადაც ჩემთვის სუფევს ნამაზი,
პოეზიისთვის შენი სახე გაიმეფება.

ჩვენს სიახლეზე კვლავ დაიწყებს მტერი მასლაათს,
ტერცინებისთვის გამოვიწვევ ჰაფიზს და საადს
და ჩემი ლექსიც მხოლოდ შენთვის დაიყეფება.

გიყვარს ოპერა და ბიჭურად როცა ირთვები,
მკერდის დარაბით გეხურება ვერცხლის ბირთვები,
შენში დავლეკე ჩემი ლექსი – გრძნობის ნაჟური.

მაღელვებს შენი – არა, უნდა დავასახელო –
ულვაში. ქუდი. ლურჯი კაშნე. რბილი საყელო
და გამოხედვა ვნებიანი, ცელქი, ვაჟური.

ტფილისელი ვარ! არ გამკიცხავ, ვიცი, ამაზე,
რომ შენი სტილი დღეს ამ ლექსით ავალამაზე –
ხარ უსათუოდ პოეტური, კოხტა, ფარეზი.

მსურს შენ – უცხოელს – აზიელზე დაგწერო ჯვარი.
მსურს, უცხოთათვის საქართველოს მიჯნა და ზღვარი
იყოს ტფილისი – ეს ირაკლის ძველი ზღაპარი.

ლექსის ტექსტის გულმოდგინედ წაკითხვამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ გარდა უმნიშვნელოვანესი მომენტის – 1922 (!!!) – ელენე ახვლედიანის გათხოვებისა და ამ ლექსის გამოქვეყნების თარიღის იგივეობისა, ლექსში იკვეთება სამი რეალია, ასე ვთქვათ, რეალიათა სამკუთხედი „ფრეიმი“:

1. ქალის ჩაცმა კაცურად (ტრავესტი),
2. ოპერის სიყვარული,
3. პარიზი, როგორც თბილისში გათხოვების ალტერნატივა.

1. ოციან წლების დასაწყისში იოსებ გრიშაშვილი შეყვარებული იყო მხატვარ ელენე ახვლედიანზე, რომელიც იმ დროს, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ძალიან წარმატებული იყო, 18 ნამუშევარი ჰქონდა გამოფენილი ცნობილ მხატვართა გამოფენაზე და როგორც მაშინდელი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების უმრავლესობა, გზებს ეძებდა პარიზში გასაღწევად.

2. 1922 წელს ჟურნალ „ილიონის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ეს ლექსი სწორედ ამ პერიოდს ასახავს. იგი შექმნილი ჩანს ელენეს გათხოვებამდე აგრონომ კაკაბაძეზე. იმ უზარმაზარ ქორწილს ესწრებოდა გრიშაშვილიც და პატარძლისადმი მწარე-მწარე ლექსების გამოთქმით ებრძოდა მძიმე განცდებს (ლექსები და მათზე ელენეს პასუხებიც არსებობს). ამის შემდეგ ახლად შეუღლებული წყვილი ჯერ იტალიაში მიდის და იქიდან, ერთ წელიწადში ქმარს გაშორებული ელენე ახვლედიანი მარტო მიემგზავრება პარიზში, სადაც ოთხი-ხუთი წელი რჩება, 1927-ში დედის ავადმყოფობის გამო სამშობლოში დაბრუნებამდე.

3. ოპერის სიყვარული აქ უბრალო რამ არ გახლავთ (ოპერაში სიარულის სიყვარული სხვა რამაა, ბევრიც დადიოდა).

მხატვრის ახლო მეგობრის, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის მოგონებიდან ცნობილია, რომ სწორედ იმ პერიოდში, როგორც სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ელენე ახვლედიანი ოპერაში სტაჟიორად იყო; ხოლო ბიოგრაფიიდან – დამატებით ცნობილია, რომ ელენე ახვლედიანი ბავშვობიდან მუსიკოსის კარიერისთვის ემზადებოდა. მისი ბედი ამ მხრივ გადაწყვიტა მამამისისადმი სკლიფასოვსკის სიტყვებმა – „არ ვიცი, როგორი მუსიკოსი დადგება, მაგრამ როგორც მხატვარს კი დიდი მომავალი გარანტირებული აქვსო“.

პარიზიდან დაბრუნებული ელენე ახვლედიანი თეატრალური მხატვარი იყო, თანამშრომლობდა კოტე მარჯანიშვილთან, არაერთი ოპერაც აქვს მხატვრულად გაფორმებული. მუშაობისას მუდამ კლასიკას უსმენდა და ბოლომდე განიცდიდა, რომ კლასიკურ მუსიკას ვერ გაჰყვა.

4. ტრავესტი – გადაცმა – ოციანი წლების გაგებით იყო ელენე ახვლედიანის ჩაცმულობა, რადგან მამაკაცურად ჩაცმა ქალისა – დღეს აღარავის უკვირს. მაშინ კი ჰალსტუხიანი და მამაკაცის პიჯაკიანი, „არაქალური“, თუმცა გრიშაშვილის ნათქვამით, მაინც ქალური ელენე ახვლედიანი – ქართულ სივრცეში – დიდი უცნაურობა იყო.

ნაკლებრელევანტურია, მაგრამ ალბათ მაინც აღნიშვნის ღირსია ერთი ნიუანსი, მამაკაცის ნიშნისმოგებითი, ირონიულად შეფერილი, ამავე დროს ეროტიული გამონათქვამი „მკერდის დარაბით დახურულ ვერცხლის ბირთვებზე“.

ჩემი ფიქრით, ულვაშები, კეპი და ჯოხი – პოეტური უტრირებაა, თავისებური გროტესკი. საუბარია „სტილზე“ – ევროპულზე, რომელსაც „აზიურად“ ამკობს გრიშაშვილი.

საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე ეს შემიძლია ვთქვა.

ლექსის გადამკითხველთათვის

რაც ყველაზე ნაკლებად იდება აგორაზე, ეს ალბათ ქართული პოეზიაა.

გარეშე ადამიანს ცოტა უცნაურადაც შეიძლება მოეჩვენოს – პოეტი და ლექსმცოდნე ქმნის და ხელმძღვანელობს დახურულ ჯგუფს, სადაც საერთოდ არ დებს არა მხოლოდ საკუთარ ლექსებს, არამედ იშვიათად დებს სხვა ავტორებსაც.

საქმე ის გახლავთ, რომ აგორაზე ჩვენ ისეთი წევრები და მკითხველები გვყავს, რომ პირადად მე დიდად ვუფრთხილდები მათ დროს, ყურადღებასა და გემოვნებას.

ჩემი მხრით კი მუდამ მზად ვარ, არგუმენტირებულად განვმარტო, თუ რატომ შევარჩიე ესა თუ ის ნაწარმოები და რატომ ჩავთვალე მათი ყურადღების ღირსად.

და თუ ყოველ ჯერზე პოსტის დადებისთანავე ასე არ ვიქცევი, ეს უდროობის ბრალია.

ამას წინათ ეს ლექსი დავდეთ. აღმოვაჩინე შემთხვევით, რომ გარეთ ხმაური მოჰყოლია. ვიდრე საკითხში ასე თუ ისე გავერკვეოდი, ჩავთვალე, რომ ავტორმა გადაწყვიტა ეპატაჟით მიეპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება და ტელევიზიის თანამშრომლები თუ კოლეგები ეხმარებოდნენ, როგორც შეეძლოთ.

გავიხსენოთ პირველი ქართული ლიტერატურულ-კულტურული ეპატაჟი ას წელზე მეტი ხნისა შესრულდა და უკავშირდება პაოლო იაშვილის სახელს.

„ოო, წმინდაო გულუბრყვილობავ!“

ეს ჩემი მინი რეცენზიაა მომხდარის გამო.

მზია სალვარიძეს

რაღაც არასასიამოვნო ამბებმა მოაღწია ფეისბუქის წყალობით, ოკეანის გაღმამდე, მე არ ვიცი, რა ხდება თქვენს ტელევიზიაში და მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს.

რაც შეეხება ამ ლექსს, აგორაზე გვედო და შემიძლია, ვთქვა, რომ უჩვეულოდ დიდი რეიტინგი ჰქონდა.

კონკრეტულად დაინტერესების შემთხვევაში, შემიძლია ფოტო მოგაწოდოთ.

ახლა საკუთრივ ლექსზე:

კომპოზიცია კარგადაა გააზრებული, გამართული.

ფინალური ტვისტი თუ პუანტი, რომელი ტერმინიც გინდათ, გამოიყენეთ, ასევე, კარგად არის მომარჯვებული.

სურვილების სფეროდან – მე ლექსის ექსპოზიციურ ნაწილს უფრო დავაკომპაქტებდი,

მაგრამ ეს სუბიექტური აზრია და მისი გაზიარება სავალდებულო სულაც არაა. ყველას თავისი გემოვნება აქვს.

მომეჩვენა, მაგრამ იქნებ ვცდები, რომ მკითხველთა ერთ ნაწილს ბოლომდე არ წაუკითხავს ტექსტი და უთუოდ ამის გამო, ვერ მიმხვდარა, შიგ რა ხდება. ყველაფერი ხომ სწორედ ფინალში „იხსნება“.

ლექსის ნარატიული მონახაზი კი ასეთია:

მოძალადე ქმრის ხელში, ძალადობრივ გარემოში მოქცეული ქალი წარმოსახვით საკუთარ „მომავალში შეირბენს“. წარმოიდგენს, რა ტიპობრივ პერსპექტივასთან მოუხდება პირისპირ შეყრა, თუ ძალას მოიკრებს და ამ გარემოს ბავშვიანად გაექცევა.

დიახ, მისი გამწარებული ფიქრ-ოცნებები არეულ-დარეულია, ვერც მაინცადამაინც მონასტრულ, სულიერებით გაცისკროვნებულ მომავალ ცხოვრებაზე ეფიქრება.

გულწრფელი და შეულამაზებელია, „მოუპირკეთებელი“ ავტორის მიერ გადმოცემული ქალური განცდები...

და ბოლოს აღმოხდება:

„პატიებას გთხოვ, უფალო, რომ ეს ყველაფერი ვერ შევიძელი“...

პროტესტი დამცხრალია. ქალმა შეგუების გზა ირჩია...

როგორც ათ გათხოვილ ქალში ხუთმა მაინც საქართველოში.

სიბერეს გულჩვილობა მოჰყვება. სწორედ ამ ბოლო ორმა სტრიქონმა მომგვარა სევდა. გამახსენდა დიდი გალაკტიონი –

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის“.

წარმატებებს გისურვებთ
ნინო დარბაისელი სტრონი

ესეც ლექსი, რომ გაგახსენდეთ

სამი მარაო
(სხვისი ჭირი ღობის ჩხირი როდემდე იყოს?!)

მსუბუქი ყოფაქცევის ქალი თქვენსკენ მოიკითხეთ.
მე თავისუფალი ქალი ვარ.
როცა თამამ ნაბიჯებს პირველად ვდგამდი,
მეც მეგონა რომ ბოზი ვიყავი.
არა უშავს,
მაშინ თქვენნაირად ვაზროვნებდი...
მეპატიება,
რადგან არასაკვირველს ვიკვირვებდი,
გრძნობები გარყვნილებაში მერეოდა,
ბუნებრივი მოთხოვნილება
მხოლოდ ტუალეტში მოსასაქმებელი მეგონა...
მხოლოდ მერე,
როცა თქვენი განვითარების ფაზებს გავცდი,
პეროგაყრილი უკანალების ნაცვლად
რეალური სამყაროს კანონზომიერების წიაღში მოვხვდი,
მივხვდი
რომ ე. წ. ტუალეტი
ჩემი ჩაცმულობისა და მოკაზმულობის სარკეებიან მაგიდასაც წარმოადგენდა.
ამ მაგიდაზე კი,
ფერუმარილთან ერთად,
ჩემი ცვედანი გრძნობების გასაფერთხ-გასანიავებელი მარაოებიც ელაგა.

ყველა მარაოს თავისი ისტორია ჰქონდა.

პირველი მარაო ჩემს მიერ დალეწილი ცოცხისგან შევკარი.
ეს ის ცოცხი იყო,
ჩემი კუდიანი დედამთილი,
ვითომ უნებურად,
მაგრამ ყოველთვის ჩვენს საწოლზე მიყუდებულს რომ ტოვებდა...
ჰოდა ერთხელაც,
როცა თავისი ქალიშვილი საგანგებოდ დაარიგა,
რომ საწოლზე ცოცხი არ მიაყუდო,
თორემ მასზე აბობღებული ეშმაკები
საწოლზე გადავლენ და ქმართან ურთიერთობა გაგიფუჭდებაო,
სიტყვის უთქმელად გამოვიტანე ცოცხი ჩემი საძინებლიდან
და დედამთილის თვალწინ,
სიმწრით გაღიმებულმა
მუხლზე გადავიმტვრიე...

ამას ჩვენში კატის გახლეჩას ეძახიან.
მართლა კატას ხომ არ გავხლეჩდი?
მაგრამ მისახვედრი მივახვედრე და მერე,
როცა მის შვილს გავცილდი,
დიდი ხანი იკვლევდა,
ეშმაკი თავიდან მყავდა შეჩენილი თუ თვითონ მომიჩინა საცდუნებლად...

ქმრიდან წამოსული
ისევ გამზრდელი ბებიის კარზე მივედი.
ბევრისგან განსხვავებით,
პირდაპირ არ გავსულვარ ქუჩაში.
ეს თქვენ გამაგდეთ გარეთ.
თქვენ მიბიძგეთ საძრახისი ქცევისკენ.
თქვენ ამომგლიჯეთ ნამუსის ძარღვი შუბლიდან...
დიახ, თქვენ
ყოვლისმცოდნე და არაფრისმაქნისო ბიძიებო,
ყოველმხრივ უზრუნველყოფილო და არაფრისმომცემო მამიდებო,
განსწავლულო, თუმცა უმეცარო დეიდებო...
დიახ, თქვენ!
რადგან ობოლ და უპოვარ გოგოს
მდიდარი ქმრის მიტოვება არ მაპატიეთ.
რადგან არ გაუწვდინეთ ხელი ჩემს მიერ უქმროდ გაჩენილ შვილს...
ეგ კიდევ არაფერი,
ჩემი შემფარებელი ბებია მოიძულეთ,
უარყავით და ჩემი უკეთურობის წამქეზებლად მონათლეთ...

ბებია რომ მოკვდა,
თქვენს მიერ მის გასასვენებლად გამოგზავნილ ფულებზე
თქვენი სახელები დავაწერე,
ჯოხებზე წამოვაცვი და
ასე შევკარი მეორე მარაო.

ახლა თქვენზე ფიქრებს, როგორც თაროზე დადებულ მტვერს, ისე ვიფერთხავ გულიდან.

...და კიდევ,
ყოველ ღამე სათითაოდ ვკითხულობ თქვენს სახელებს და
ლოცვების ნაცვლად,
წყევლებში მოგიხსენიებთ...

რაც შეეხება ბებიაჩემს,
იგი საეჭვო გზით,
მაგრამ ჩემს მიერ გამომუშავებული ფულით გავასვენე.
თქვენი ფულისგან განსხვავებით,
დამადლებული მაინც არ იყო და მწამდა,
მას უფრო შეიწირავდა ღმერთი...

მე ხომ არასოდეს მიმრუშია?
არც მეძავი ვყოფილვარ გათხოვებამდე.
უბრალოდ მას შემდეგ გავბოზდი,
როცა შიშველი ხელებითა და მშიერი კუჭით შემატიეთ ცხოვრებას.
ჰოდა თქვენ,
ვისაც ჭკუის გარდა არაფერი დაგირიგებიათ,
ჰოდა თქვენ,
ვისაც არასოდეს გამოგიწვდენიათ დახმარების ხელი,
ჰოდა თქვენ, ვისაც თავი ჩემს მიერ შერცხვენილად მოგაქვთ,
იცოდეთ,
რომ ეს მე ვარ თქვენგან შერცხვენილი...
ეს მე მრცხვენია
თქვენი დიდი ხნის დასანგრევი,
მაგრამ „ხალხი რას იტყვის“ გამო დაუნგრეველი ოჯახების...
ეს მე მრცხვენია,
თქვენი შვილების გამო,
რომლებიც უსიტყვო მორჩილების „ფუფუნებაში“ იზრდებიან
და აზრად არ მოსდით მერე,
როცა თავადაც დაოჯახდებიან,
გასაპროტესტებელი გააპროტესტონ.

და ეს იმიტომ,
რომ თქვენ,

ქმრის ხელის შემყურე და უსიტყვოდ მორჩილო,
დედამთილის წინაშე თავდახრილო,
შვილებზე გადამკვდარო და მოსამსახურედ ქცეულო დედებო,
თქვენი განწირული თუ შეწირული ცხოვრება
მაგალითად მოგყავთ შვილებისთვის
და ბრძოლის ნაცვლად,
მორჩილებისკენ მოუწოდებთ...

მერე ქმრები არიან დამნაშავე ცოლების მკვლელობაში...

მერე ცოლები არიან დამნაშავე
ქმრებზე თავსლაფისდასხმაში და ა. შ. დაუსრულებლად...

ჩემი შვილი კი,
ჩემი შვილი,
არავისგან დამადლებული,
არავისგან კეთილმოწყობილი,
არავისგან გაწერილი ცხოვრებით ცხოვრობს.
შენი შვილისგან განსხვავებით,
მისი საძინებლის კედლის მიღმა
არ ტირის ნაღალატევი დედა,
არც სხვის ცოლზე ატორღიალებული მამა სცემს ბოლთას,
ზოგჯერ ცოლსაც...
მისი სამყარო სუფთაა და თავისუფალი...

...და შენ,
ჩემი საყვარელი მამაკაცის ცოლო,
დაიმახსოვრე,
რომ ჩემს შვილს ვერასოდეს უწოდებ ბოზიშვილს!
ვინაიდან თუ კარგად გავარჩევთ,
მასეთი შენი შვილები უფრო გამოდიან.
...და იცი რატომ?
იმიტომ რომ შენ,
მთელი ცხოვრება,
ბავშვობიდან დიდობამდე მოყოლებული,
გაფრთხილებდნენ,
რომ ერთი ადგილისთვის განსაკუთრებით უნდა მოგევლო...
გაფრთხილებდნენ და შთაგაგონებდნენ,
რომ შენი პატიოსნების ზღვარი
ჭიპზე გადიოდა,
ოღონდ არა ზემოდან ქვემოთ, არამედ პირიქით...
ჰოდა შენც,

„ჭკვიანურ“ შეგონებებზე ჩაციკლულს,
გავიწყდებოდა კი არა,
აზრადაც არ მოგსვლია,
რომ კანონიერად,
მაგრამ უსიყვარულოდ ქმართან წოლა,
ღალატის მოთმენა შვილების ხათრით,
სხვისკენ თვალის გაქცევა და მაინც ქმართან დაწოლა
კანონზომიერება კი არა მრუშობაა...
მაგრამ შენ ამას როგორ გაიაზრებ?
როგორ გაისიგრძეგანებ მაშინ,
როცა მხოლოდ ერთი ადგილის პატიოსნება დაგავალეს?

მათ ხომ არ უთქვამთ,
რომ გულსაც უნდა მოუფრთხილდე,
რომ არავის უნდა აფათურებინო მასში ბინძური ხელი?
არც ის უთქვამთ,
რომ ნათელი გონებისთვის მშვიდი გარემო და ჭეშმარიტი სიყვარულია საჭირო...
არ უთქვამთ,
არა...

ამიტომაც მე გეტყვი,
როცა შენ დაქალებთან ვერ ყვები პირად უბედურებებზე
რეპუტაციის შელახვის მიზნით...
როცა ბედნიერი ოჯახის ილუზიის შექმნის მოტივით იგონებ ათას სისულელეს,
მაშინ,
ზუსტად მაშინ,
სხვებთან ერთად თავსაც იტყუებ და
ღვთისა და კაცის წინაშე
ისეთივე ცოდვილი ხარ,
როგორიც მე...
ოღონდ მე,
შენგან განსხვავებით,
ჩემი თავისუფლების სიდიადეზე მხოლოდ იმიტომ ვერ ვყვები,
რომ სხვებს შურით გული არ გავუხეთქო...
წარმოუდგენლად დიდი ფუფუნებაა თავისუფლება,
ნაღალატევო ცოლებო,
წარმოუდგენლად დიდი და
იცოდეთ,
რომ მესამე მარაო,
თქვენი ქმრების მიერ მოწერილი სასიყვარულო ბარათებით შევკარი,
რადგან არც ერთი მათგანი ღირდა ჩემი თავისუფლების დაკარგვად...

ახლა კი ვდგავარ და მათით თქვენზე ფიქრებს ვინიავებ...

განა, მე მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რაზეც ახლა ვიბოდიალე?
განა, ვერ ვხდები,
რომ ტყუილუბრალოდ ვიგულიანებ თავს და დედამთილის შიშით
არათუ საწოლზე მიყუდებულ ცოცხს,
ასანთის ღერსაც ვერ გადავტეხ ამ ჭკუით?
განა არ ვიცი,
ივლის, ივლის და მაინც სახლში რომ მოვა ჩემი ქმარი?
განა ქმარზე გაცილებამდე არ უნდა ვიფიქრო იმაზე,
რომ არავის ვენდომები შვილებიანად?
განა, რა მიხვედრა უნდა იმას,
რომ ჩემი ქმრის მიერ
საყვარლისთვის ნაყიდი ბროლის ბროში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია,
ვიდრე ჩემს არათითზე წამოცმული რგოლის ბეჭედი?...
ვიცი,
ყველაფერი ვიცი...
ისიც კი,
რომ მომაკვდინებელი ცოდვაა ყველაფერი,
რაც ამ ფურცელზე დავწერე,
რაც გულში გავივლე და უნებლიედ დავუშვი...
რაც წარმოვიდგინე და შესაძლო გეგმად დავისახე
და
ამიტომაც,
მუხლებზე დაცემული პატიებას გთხოვ
უფალო,
რომ ყველაფერ ამის გასაკეთებლად
ძალა არ შემწევს...

მზია სალვარიძე

P.S. ჩემს პოსტს ბატონი სანდრო ბერიძე გამოეხმაურა და რაკი ჩემი პასუხი კვლავ ლექსის კომპოზიციას ეხება, აქაც გადმომაქვს:

ბატონო სანდრო, მადლობა კეთილი სიტყვისთვის, მაგრამ ახლაც, ისევე როგორც შემთხვევათა დიდ ნაწილში, როცა რაღაცას მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება, სულ არ მგონია საჭირო, ავტორიტეტის, რაღაც რენომეს გამო ვინმე ტვინგაუნძრევლად მენდოს. ჩავთვალოთ, რომ ლიტერატურასთან შეხება საერთოდ არა მაქვს.
აგერ დევს ფაქტი, აგერ არის მკითხველი.

ჩემი რევიუ ძალიან მოკლეა. არ მქონია მიზნად გამოკვლევის წერა. უბრალოდ, ერთსაც დავამატებდი მკითხველის დასაკვალიანებლად.
არსებობს კლასიკური ინტერაქციული მოდელი:
აქცია – რე-აქცია.

უცებ რომ გაერკვეს მკითხველი, რას ვგულისხმობ, მოვიყვან ტლანქ მაგალითს ცხოვრებიდან.

ერთ ზაფხულს ნათესავი ბავშვი მყავდა დასასვენებლად წაყვანილი და მეზობელი საყვედურით მოვიდა, ჩემი შვილი უცემიაო.

ბოდიში მოვუხადე და დავპირდი, რომ საქმის ვითარებას გავარკვევდი:

რატომ ცემეთ-მეთქი, თან ორმა ერთი და აბა, რა გვექნა, დედა შეგვაგინაო... და ასეთმა კარგმა აღზრდილმა ბავშვმა დედა რატომ შეგაგინათ-მეთქი? – საგონებელში ჩავვარდი.

რატოო და ხუმრობით ორივემ ხელფეხით ავწიეთ, ვითომ ნაგვის ბუნკერში ვაგდებდითო...

ლექსი იწყება არა აქციით, არამედ რე-აქციით.

პირველივე ფრაზა ტიპობრივი საოჯახო კონფლიქტის ლექსიკიდანაა:

„მსუბუქი ყოფაქცევის ქალები თქვენკენ მოიკითხეთ“

(ანუ საპირისპირო მხარემ უკვე რაღაც უწოდა)

ეს ფრაზა არის ლექსის გასაღები.

ნარატივის წინარე ვითარება – ანუ ახლად „დამთავრებული“ კონფლიქტი ასე მიგნებულად, ეფექტურად არის შემოტანილი.

ჭოროხი 5

2022

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2022 malkhaz.pagava@gmail.com